

სოფიკო ლობჯანიძე
მარიკა სიხარულიძე
გიორგი ურეხაშვილი

ციფრული მთქალაქეობა საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში

გამოწვევები და დანერგვის გზები



სსიპ მასწავლებელთა
პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრი

მონოგრაფია

სოფიკო ლობჯანიძე, მარია სიხარულიძე,
გიორგი ურჩხაშვილი

ციფრული მოქალაქეობა საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში

გამოწვევები და დანერგვის გზები

მონოგრაფია



სსიპ მასწავლებელთა
პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრი

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

2024



მონოგრაფია მომზადდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფუნდამენტური კვლევების სახელმწიფო სამეცნიერო გრანტის ფარგლებში „ციფრული მოქალაქეობა საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში: გამოწვევები და დანერგვის გზები“ (N FR-19-7716)

The monograph was supported by Shota Rustaveli National Scientific Foundation of Georgia (SRNSFG) under the Project “Digital Citizenship in General Education Schools in Georgia: Challenges and Ways of Implementation N FR-19-7716

რედაქტორი: ნინო ჭიკაბრიშვილი

რეცენზენტი: მარიამ დახუნდარიძე
ნატალია ინგოროყვა

© 2024 მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

ISBN 978-9941-34-490-9

რეზიუმე

წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება ციფრულ მოქალაქეობას, ცოდნას მისი სწავლების შესახებ და წარმატებულ საერთაშორისო გამოცდილებას. კვლევის ძირითადი მიზანია ციფრული მოქალაქეობის დანერგვის ხელშეწყობა სასკოლო საზოგადოებაში. ნაშრომი 5 თავისაგან შედგება. პირველ თავში ციფრული მოქალაქეობისა და განათლების არსის ზოგადი მიმოხილვაა მოცემული. მეორე თავში გაანალიზებულია ციფრული მოქალაქეობის სამართლებრივი საფუძვლები და მისი სწავლების საერთაშორისო გამოცდილება. მესამე თავი ციფრული მოქალაქეობის სწავლების პრაქტიკულ გამოცდილებას აღწერს. მეოთხე თავში მიმოხილულია სასკოლო კურიკულუმში ციფრული მოქალაქეობის ასპექტები, მეხუთე თავში კი წარმოდგენილია საერთაშორისო პუბლიკაციები, რომლებიც აჯამებენ რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ მხარდაჭერილი ფუნდამენტური კვლევის – „ციფრული მოქალაქეობა საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში: გამოწვევები და დანერგვის გზები“ შედეგებს.

კვლევის ფარგლებში შესწავლილია ციფრული მოქალაქეობის, ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების და შესაბამისი კომპეტენციების არსებითი ასპექტები. კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ ქართულ საჯარო სკოლებში პედაგოგებს ციფრული მოქალაქეობისა და ციფრული წიგნიერების შესახებ მჭირი ინფორმაცია აქვთ და ეს არ არის დამოკიდებული მათი სკოლების გეოგრაფიულ მდებარეობასთან. როგორც სოციოლოგიურმა გამოკითხვამ ცხადყო, მასწავლებლების კომპეტენცია დაბალია ციფრული მოქალაქეობის საკითხების მიმართ, ამიტომ, ვერ ახერხებენ მოსწავლეებთან აღნიშნულ საკითხებზე საგნობრივ მსჯელობას. გამოკითხვამ ასევე გამოავლინა, რომ მიუხედავად იმისა, მასწავლებლებს, მოსწავლეებსა და მშობლებს წვდომა აქვთ როგორც ინტერნეტთან, ასევე ტექნოლოგიურ მოწყობილობებთან, მათი ცოდნა ციფრული ტექნოლოგიების მიზნობრივ და უსაფრთხო გამოყენებასთან დაკავშირებით არის დაბალი. ნაშრომში დეტალურად არის შესწავლილი ციფრული მოქალაქეობის შესახებ საერთაშორისო და ადგილობრივი სამეცნიერო ლიტერატურა, ჩარჩო დოკუმენტები, არსებული საუკეთესო პრაქტიკა და ციფრული კომპეტენციების განვითარების მოდელები. დასაბუთებულია ციფრული მოქალაქეობის სწავლების მნიშვნელობა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში და გაანალიზებულია ამ მიმართულებით ცნობილი საერთაშორისო პრაქტიკა ციფრული მოქალაქეობის

სწავლებისადმი, როგორცაა კემბრიჯის ციფრული წიგნიერების სასწავლო პროგრამა. თვალსაჩინოებისთვის, ავტორი გვთავაზობს სწავლების პროგრამას მოსწავლეებისთვის საფეხურების მიხედვით. ნაშრომის აქტუალობა ნათელია. გარდა იმისა, რომ ციფრული ტექნოლოგიები ჩვენი ყოველდღიურობის განუყოფელი ნაწილია, მისი მნიშვნელობა კოვიდპანდემიის დროს კიდევ უფრო მეტად თვალსაჩინო და გარდაუვალი გახდა. ამასთან, ნაშრომის აქტუალობა ციფრული განათლების მნიშვნელობა გამოწვეულია ტექნოლოგიების გამოყენების ასაკიდანაც, რაც დასაბუთებულია როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივი კვლევების შედეგებით. კერძოდ, ევროპელ ბავშვთა დიდი უმრავლესობა ტექნოლოგიების გამოყენებას 2 წლამდე ასაკში იწყებს, ხოლო 3-დან 4 წლამდე ასაკის ბავშვები დღეში საშუალოდ 71 წუთს ატარებენ ონლაინ და ეს დრო 14-17 წლის ასაკის მოზარებში კიდევ უფრო გაზრდილია. აქედან გამომდინარე, ამ ნაშრომის მიზნობრიობა, კერძოდ ციფრული განათლების დანერგვა სკოლებში, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ნაშრომის მთავარი ღირებულებაა ისევე როგორც „ციფრული მოქალაქეობის“ კონცეფციის კომპლექსურობის გაცნობიერებისთვის, ასევე სასკოლო საზოგადოებაში ციფრული მოქალაქეობის დანერგვის თვალსაზრისით. შეიძლება ითქვას, რომ ნაშრომში პრობლემემატიკა სრულყოფილად არის შესწავლილი.

მარიამ დახუნდარიძე

მედიაწიგნიერების განვითარების დეპარტამენტის უფროსი
კომუნიკაციების კომისია

რეზიუმე

თანამედროვე სამყარო დღეს ინფორმაციულ ეპოქაში ცხოვრობს. ციფრული ტექნოლოგიების განვითარება თითოეულ ადამიანს ერთდროულად მედიაპროდუქტის შემქმნელად და მომხმარებლად აქცევს. ციფრულმა შესაძლებლობებმა მსოფლიო და მასში მიმდინარე მოვლენები შემოიყვანა ჩვენს საკლასო ოთახებსა და სასწავლო აუდიტორიებში, რამაც გაამარტივა ინფორმაციასთან წვდომა და შესაძლებელი გახადა მისი გამოყენება საჭიროებისამებრ.

ციფრულ სამყაროს სიკეთესთან ერთად, საფრთხეებიც ახლავს. ინფორმაციის ნაკადიდან საჭირო და სასარგებლო ინფორმაციის გამოცალკევება, მისი გაგება და ანალიზი, მედიასთან ურთიერთობისას მეტი სარგებლისა და ნაკლები ზიანის მიღება, ინფორმაციის კრიტიკულად გააზრების უნარის განვითარება, მედიაპროდუქტის შექმნაში გააფუძვლება და მისი სამართლებრივად გამოყენება, დღევანდელი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევაა.

წინამდებარე მონოგრაფიაში საინტერესოდ არის წარმოდგენილი საქართველოში ციფრული მოქალაქეობისა და მისი სწავლების შესახებ არსებული ცოდნა და გამოცდილება. კვლევა აღწერს საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში ამ მიმართულებით არსებულ მდგომარეობას და განხორციელებული ინტერვენციების შედეგებს.

ნაშრომის პირველი თავი მიმოიხილავს ციფრული მოქალაქეობის განათლების არსს, მეორე თავი ეთმობა ციფრული მოქალაქეობის სამართლებრივი საფუძვლების გაანალიზებას და საერთაშორისო გამოცდილებას. ციფრული მოქალაქეობის სწავლების პრაქტიკულ გამოცდილებას მესამე თავი აღწერს. ხოლო, მეოთხე თავში, სასწავლო ეროვნულ გეგმასთან მიმართებაში, ციფრული მოქალაქეობის ასპექტებია განხილული.

მონოგრაფიის მნიშვნელოვანი ნაწილი კვლევის ძირითად მიგნებებს ეთმობა: კვლევამ ცხადყო, რომ ქართულ სინამდვილეში ციფრული მოქალაქეობა ახალი დარგია და ჯერ-ჯერობით სამართლებრივი ბაზა ამ მიმართულებით მწირია. რაც შეეხება ციფრულ უსაფრთხოებას და ინტერნეტის უსაფრთხო გამოყენებას, მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებელს და მშობელსაც აქვს ინფორმაცია ციფრული სამყაროს საფრთხეებთან დაკავშირებით, ისინი არ ფლობენ საფრთხის პრევენციისა და თავიდან აცილებისთვის საჭირო უნარებს – „როგორც მასწავლებლების გამოკითხვამ აჩვენა, ისინი ვერ ერკვევიან

ციფრული მოქალაქეობის საკითხებში და ამიტომ ვერ ახერხებენ მოსწავლეებთან აღნიშნულ საკითხებზე საუბარს. გამოკითხული პედაგოგების სრული უმრავლესობა დამატებით გადამზადებას ითხოვს ციფრული მოქალაქეობის მიმართულებით.“ კვლევამ გამოამჟღავნა, რომ მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები ამ ეტაპზე არ მონაწილეობენ ისეთ მოქალაქეობრივ აქტივობებში, რომელიც გააუმჯობესებს ციფრული მოქალაქეობის მდგომარეობას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში.

მონოგრაფიაში წარმოდგენილი ციფრული მოქალაქეობისა და მისი სწავლების შესახებ დაგროვილი ცოდნა და გამოცდილება, საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში ამ მიმართულებით არსებული მდგომარეობის ანალიზი და კვლევის მიგნებები, შედეგები და რეკომენდაციები მნიშვნელოვანია განათლების თანამედროვე პარადიგმის გააზრებისა და მომავლის, ანუ ციფრული მოქალაქის აღზრდისთვის.

ნატალია ინგოროყვა

მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის
განათლების ციფრული სახლის პროგრამის მენეჯერი, სოციალურ
მეცნიერებათა დოქტორი

ანოტაცია

მონოგრაფიაში წარმოდგენილია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით განხორციელებული სამწლიანი ფუნდამენტური კვლევის შედეგები, რაც უკავშირდება საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ციფრული მოქალაქეობის კომპეტენციის არსებული მდგომარეობის შესწავლასა და დანერგვის ხელშეწყობას. საქართველოში ციფრული მოქალაქეობის კომპეტენციის კვლევა წარმოადგენს ინოვაციას, როგორც სამეცნიერო საზოგადოებისთვის, ისე საგანმანათლებლო სისტემისთვის. იგი მნიშვნელოვანია პრაქტიკული ღირებულების თვალსაზრისითაც, რადგან კვლევის ფარგლებში განხორციელდა სკოლების საჭიროებაზე მორგებული ინტევენციები. კვლევის შედეგად შეიქმნა ახალი ფუნდამენტური ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება სასკოლო საზოგადოების ციფრული მოქალაქეობის კომპეტენციის და მისი განვითარების პერსპექტივების შესახებ. კვლევის შედეგები შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს როგორც სფეროს მკვლევართა თუ პრაქტიკოსთა, აგრეთვე განათლების პოლიტიკის განმსაზღვრელთა მიერ.

ANNOTATION

This monograph presents the outcomes of a three-year fundamental study conducted with the support of the Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia. The current research focuses on assessing the existing status of digital citizenship competence in general schools across Georgia and promoting its implementation. The study of digital citizenship competence represents an innovation for both the scientific community and the educational system. It holds practical significance, as interventions were carried out based on the identified needs of schools within the research framework. The research has yielded new fundamental knowledge and practical experience regarding the digital citizenship competence of the school community, along with insights into its potential development. The results of the study are applicable to both field researchers and practitioners, as well as educational policymakers.

სარჩევი

შესავალი.....	11
თავი I – განათლება ციფრული მოქალაქეობის შესახებ	15
1.1. ციფრული მოქალაქეობის არსი	15
1.2. ციფრული მოქალაქეობის საგანმანათლებლო მხარდაჭერა	21
თავი II – ციფრული მოქალაქეობის სწავლების ნორმატიული საფუძვლები და განხორციელებული პროექტები	23
2.1. ციფრული მოქალაქეობის სწავლების საერთაშორისო ნორმატიული საფუძვლები და განხორციელებული პროექტები	23
2.1.1. განათლება ციფრული მოქალაქეობისთვის ევროსაბჭოს წევრ ქვეყნებში	24
2.1.2. საქართველოს განათლების პოლიტიკის ძირითადი დოკუმენტების მიმოხილვა	25
თავი III – სწავლება ციფრული მოქალაქეობის შესახებ – ციფრული მოქალაქეობის 10 ელემენტი	27
3.1. ჩართულობა ონლაინსივრცეში	27
3.1.1. წვდომა და ინკლუზია	28
3.1.2. სწავლა და შემოქმედებითობა	29
3.1.3. მედიაწიგნიერება და ინფორმაციული წიგნიერება	30
3.1.4. მასალის კრიტიკულად გაანალიზება	34
3.2. კეთილდღეობა ონლაინსივრცეში	35
3.2.1. ეთიკა და ემპათია	36
3.2.2. ჯანმრთელობა და კეთილდღეობა	37
3.2.3. ინტერნეტსივრცეში თავის წარმოჩენა და კომუნიკაცია	39
3.2.4. კიბერბულინგი	40
3.3. უფლებები ონლაინსივრცეში	43
3.3.1. აქტიური მონაწილეობა	43
3.3.2. უფლებები და პასუხისმგებლობები	44
3.3.3 პერსონალურ მონაცემთა დაცვა და უსაფრთხოება	46
3.3.4 კიბერუსაფრთხოება, როგორც მზარდი საფრთხე	48
3.3.5 ეთიკური საკითხები და რისკები	50
3.3.6 სამომხმარებლო ცნობიერება	50
თავი IV – ციფრული მოქალაქეობა სასკოლო კურიკულუმებში	53
4.1. Common Sense Education–ის მიდგომა ციფრული მოქალაქეობის კურიკულუმისადმი ...	53
4.1.1. Common Sense Education–ის ციფრული მოქალაქეობის კურიკულუმის შინაარსი და სტრუქტურა	55
4.1.2. Common Sense Education–ის სასწავლო გეგმის მიმოხილვა	61
4.1.3. Common Sense Education–ის კროსკურიკულარული ჩარჩო	63
4.2. კემბრიჯის ციფრული წიგნიერების სასწავლო პროგრამა	79
თავი V კვლევა – მოქალაქეობა საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში: გამოწვევები და დანერგვის გზები	83

5.1. კვლევის აქტუალობა, მიზანი და ამოცანები	83
5.2. კვლევის დიზაინი, მიდგომა, მეთოდოლოგია, სამიზნე ჯგუფი.....	85
5.3 რაოდენობრივი კვლევის მიზანი, ამოცანები, საკვლევი კითხვები და ჰიპოთეზა	90
5.4. კვლევის შედეგები და დისკუსია	93
5.5 კვლევის ძირითადი მიგნებები.....	108
თავი VI- პრაქტიკის კვლევა	111
6.1. პრობლემის აქტუალობა	111
6.2. კვლევის მიზანი და საკვლევი კითხვები	112
6.3 დიაგნოსტიკის ეტაპი.....	112
6.4 ინტერვენციების ეტაპი	114
6.5 ინტერვენციების შედეგების შეფასება.....	117
თავი VII კვლევის შედეგების გავრცელება საერთაშორისო დონეზე	119
7.1. Digital Citizenship In Georgia’s Teachers, Students And Parents	119
7.2. Executing The National Curriculum Of Digital Citizenship Education In The Country Of Georgia.....	147
Keywords	148
Introduction.....	149
Bibliography	177
დანართი N 1— ციფრული წიგნიერება ეროვნულ სასწავლო გეგმაში.....	185
დანართი N2 – მასწავლებელთა კითხვარი ციფრული მოქალაქეობის შესახებ.....	193
დანართი N3 – მოსწავლეთა კითხვარი ციფრული მოქალაქეობის შესახებ.....	211
დანართი N4 – მშობელთა კითხვარი ციფრული მოქალაქეობის შესახებ	229

შესავალი

XXI საუკუნეში ციფრული ტექნოლოგიები სულ უფრო მეტად ხდება ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილი. თანამედროვე საზოგადოებას ტექნოლოგიების გამოყენებამ სრულიად ახალი განზომილება შესძინა, როგორც კომუნიკაციისა და ურთიერთობების, ისე სწავლისა და შემეცნების, განვითარებისა და თვითრეალიზაციის თვალსაზრისით. კოვიდპანდემიის პირობებში ვირტუალურმა სამყარომ, ხშირ შემთხვევაში, ჩანაცვლა რეალური და კაცობრიობა კიდევ უფრო დამოკიდებული გახდა ტექნოლოგიებზე. ტექნოლოგიების ასეთ მძაფრ შემოჭრას თანამედროვე სამყაროში აქვს ისეთი დადებითი მხარეები, როგორიცაა: ინფორმაციაზე შეუზღუდავი წვდომა; ინკლუზიურობა და ხელმისაწვდომობა მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან; კულტურული, სოციალური და გენდერული ბარიერების მოშლა; თვითრეალიზაცია და შემოქმედებითი უნარების განვითარება; სოციალური კომუნიკაცია მრავალფეროვანი საშუალებებით (ინფორმაციის, ფოტოების, აუდიო, ვიდეოფაილების გაზიარება და სხვ.); განათლებისა და მეცნიერების განვითარების ხელშეწყობა (საგანმანათლებლო პროექტები და აპლიკაციები, ონლაინ სწავლა-სწავლება, სამეცნიერო და საგანმანათლებლო ფორუმები და ა.შ.) და სხვ.

ცხადია, ციფრულ სამყაროსთან ურთიერთობას ახლავს გამოწვევებიც და საფრთხეებიც, კერძოდ: მედია და ინფორმაციული წიგნიერების დეფიციტი; ინფორმაციის გამოყენებასთან, გავრცელებასა და საავტორო უფლებებთან დაკავშირებული ფაქტორები; ყალბი ან საზიანო ინფორმაციის იდენტიფიცირება და გავრცელებლობის პასუხისმგებლობა; პირადი მონაცემების ხელყოფა; კიბერბულინგი და ღირსების შემლახველი მასალის გამოქვეყნება; პროვოცირება/ტროლინგი; სექსუალური ხასიათის ონლაინზეწოლა; სოციალური ქსელის მეშვეობით მართული სუიციდური თამაშები: „ლურჯი ვეშაპი“, „F 57“, „Momo challenge“ „ვეშაპების ზღვა“ და სხვა; Granny, Bully, RapeLay — საშინელებათა ჟანრის ან ძალადობრივი აპლიკაციები/თამაშები; ფსიქო-ემოციური ფაქტორები: დამოკიდებულება, ნევროზები, ფსიქოზები, დეპრესია, მშობლებთან დაპირისპირება და სხვ. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია, თანამედროვე ადამიანს ჰქონდეს ციფრული სამყაროში უსაფრთხო და ეთიკური მოქმედებისათვის საჭირო კომპეტენციები, რაც მას წიგნიერ ციფრულ მოქალაქედ აქცევს.

თანამედროვე მოზარდები, განსხვავებით მათი მშობლების თაობისაგან, ციფრული ეპოქის სრულყოფილებიან მემკვიდრეებად დაიბადნენ. მათი ციფრული ცნობიერება და უნარები მნიშვნელოვნად აღემატება უფროსი თაობებისას, თუმცა, როდესაც საქმე უფლებებსა და მოვალეობებს ეხება, აქ ზრდასრულთა როლი ფასდაუდებელია. მოზარდებში ციფრული მოქალაქეობის კომპეტენციების განვითარება სკოლისა და ოჯახის საზრუნავი უნდა იყოს.

საკითხის აქტუალობას განაპირობებს მოზარდების უდიდესი ნაწილის მაღალი ხარისხის ჩართულობა სოციალურ ქსელებში, ინტერნეტში (საქსტატი, 2021), ზოგადად ტექნოლოგიური გაცემებისა და სოციალური ქსელების გამოყენების მაღალი ტენდენცია, აგრეთვე მშობელთა/მეურვეთა, პედაგოგთა და სკოლის ადმინისტრატორთა კომპეტენციის დეფიციტი ინფორმაციული საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ეთიკის ნორმების დაცვით გამოყენების თვალსაზრისით (სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი, 2015). ამას ემატება ციფრული სამყაროს მზარდი გლობალური საფრთხეები სხვადასხვა გამოწვევისა თუ მართული თამაშის სახით, რომელსაც, რიგ შემთხვევაში, ლეტალურ შედეგამდეც კი მივყავართ (Duggan, 2017). ზემოთქმულიდან გამომდინარე, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ხელი შევუწყოთ ციფრული მოქალაქეობის კომპეტენციის განვითარებას სასკოლო საზოგადოებაში.

თანამედროვე განათლება „რა“ (სწავლების შინაარსი) კითხვასთან ერთად კიდევ უფრო აქტუალური გახდა „როგორ“ (სწავლების მეთოდი) კითხვამ პასუხი. ციფრულმა ტექნოლოგიებმა გამოიწვია იმ ინსტრუმენტებისა და პლატფორმების შეცვლა, რომელიც გამოიყენებოდა სწავლებისა და სწავლისათვის. ცოდნის გადაცემის ტრადიციული მეთოდი ჩაანაცვლა ინტერაქტიულმა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ინსტრუმენტებმა, რომელიც გულისხმობს ვებგვერდებს, ელ. ფოსტით კომუნიკაციას, ონლაინ სასაუბრო სივრცეებს, ვიდეო კონფერენციებს, ონლაინ სემინარებს, ონლაინ აპლიკაციებს, რობოტოტექნიკას, დრონებს, ვირტუალურ რეალობასა და ა.შ. ბეჭდური წიგნები ჩაანაცვლა ელექტრონულმა წიგნებმა, ენციკლოპედია — ვიკიპედია და ა.შ.

ციფრული სამყაროს ამგვარი მრავალფეროვნების ფონზე მნიშვნელოვანია, სკოლამ იზუნოს და ხელი შეუწყოს მოსწავლეების ონლაინ სივრცეში უსაფრთხო ნავიგაციას, მათში მედიაწიგნიერების უნარების განვითარებას, ონლაინ კომუნიკაციის მიზნობრივ გამოყენებას, ონლაინ ეთიკის დაცვას და სხვ.

საკითხის გლობალური აქტუალობიდან და, კონკრეტულად, საქართველოს, როგორც დემოკრატიის გზაზე მდგარი ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევებიდან გამომდინარე, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მკვლევართა ჯგუფმა, რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, ციფრულ სამყაროსთან და ციფრული მოქალაქის აღზრდასთან დაკავშირებული სირთულეები კვლევის საგნად აქცია და მიზნად დაისახა საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ციფრული მოქალაქეობის კომპეტენციის განვითარების ხელშეწყობა.

წინამდებარე მონოგრაფიაში წარმოგიდგენთ ციფრული მოქალაქეობისა და მისი სწავლების შესახებ დაგროვილ ცოდნასა და წარმატებულ გამოცდილებას, საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში ამ მიმართულებით არსებულ მდგომარეობას და, ასევე, ფუნდამენტური კვლევის ძირითად მიგნებებს, განხორციელებულ ინტერვენციებს, მის შედეგებსა და რეკომენდაციებს.

მეოთხე თავში, კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, მიმოხილულია ქართულ სკოლებში ციფრული მოქალაქეობის მდგომარეობა, მეხუთე თავში მოცემულია ერთ-ერთ სკოლაში განხორციელებული პრაქტიკის კვლევის შედეგები, ხოლო მეექვსე თავში შეჯამებულია მთელი კვლევის პროცესი.

თავი I – განათლება ციფრული მოქალაქეობის შესახებ

1.1. ციფრული მოქალაქეობის არსი

XXI საუკუნეში ციფრული ტექნოლოგიები ყოველდღიურობის ნაწილია, ხოლო სოციალური ქსელები — სასიცოცხლოდ აქტუალური. ეს გარემოება განსაკუთრებით თვალსაჩინო მსოფლიო კოვიდპანდემიის პირობებში გახდა. 2022 წლის სტატისტიკის მიხედვით, ინტერნეტს ყოველდღიურად 5.03 მილიარდი მომხმარებელი ჰყავს (statista, 2022). დიდი ბრიტანეთის ტელე- და რადიოკომპანიების მარეგულირებელი არასამთავრობო სააგენტო აცხადებს, რომ ევროპელ ბავშვთა დიდი უმრავლესობა ტექნოლოგიების გამოყენებას 2 წლამდე ასაკში იწყებს, ხოლო 3-დან 4 წლამდე ასაკის ბავშვები დღეში საშუალოდ 71 წუთს ატარებენ ონლაინ. 5 წლამდე ასაკის ბავშვების რიგით მე-2 საყვარელ საქმიანობად იქცა „YouTube“-ზე განთავსებული ვიდეოების ყურება, მაშინ, როცა, ამ ასაკში ბავშვის ფიზიკური, გონებრივი და სოციალ-ფსიქოლოგიური უნარების განვითარებისა და ჩამოყალიბებისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელია ფიზიკური აქტივობა და თამაშის საშუალებით სწავლა (Ofcom, 2022).

გაეროს ბავშვთა ფონდის 2017 წლის ანგარიშის (UNICEF, 2017) თანახმად, 15-დან 24 წლამდე ახალგაზრდები ინტერნეტის ყველაზე ხშირი მომხმარებლები არიან, 18 წლამდე ასაკის მოსწავლეები კი წარმოადგენენ მსოფლიო მასშტაბით ინტერნეტის ყოველ მესამე მომხმარებელს. მათგან 70%-ზე მეტი 24 საათის განმავლობაშია ინტერნეტში ჩართული. 15 წლამდე ბავშვები უფრო ხშირად იყენებენ ინტერნეტს, ვიდრე 25 წლის ზემოთ. სოციალური ქსელები ახალგაზრდა თაობის „ძილისპირულია“. ტექნოლოგიების ასე მძაფრად შემოჭრას თანამედროვე სამყაროში აქვს თავისი დადებითი მხარეები, კერძოდ:

- ინფორმაციაზე შეუზღუდავი წვდომა;
- ინკლუზიურობა და ხელმისაწვდომობა მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან (კულტურული, სოციალური და გენდერული ბარიერების მოშლა);
- თვითგამოხატვა და შემოქმედებითი უნარების განვითარება;
- სოციალური კომუნიკაცია (ინფორმაციის, ფოტოების, აუდიო, ვიდეოფაილების გაზიარება და სხვ.);
- განათლებისა და მეცნიერების განვითარების ხელშეწყობა (საგანმანათლებლო პროექტები და აპლიკაციები, ონლაინ სწავლა-სწავლება, სამეცნიერო და საგანმანათლებლო ფორუმები და სხვ.

ამასთანავე, მომრავლდა ციფრულ სამყაროსთან ურთიერთობის გამოწვევები და საფრთხეები, კერძოდ:

- მედია და ინფორმაციული წიგნიერების დეფიციტი;
- ინფორმაციის გამოყენებასთან, გავრცელებასა და საავტორო უფლებებთან დაკავშირებული ფაქტორები;
- ყალბი ან საზიანო ინფორმაციის იდენტიფიცირება და გაუვრცელებლობის პასუხისმგებლობა;
- პირადი მონაცემების ხელყოფა;
- კიბერბულინგი და ღირსების შემლახველი მასალის გამოქვეყნება; პროვოცირება/ტროლინგი;
- სექსუალური ხასიათის ონლაინზეწოლა;
- სოციალური ქსელის მეშვეობით მართული სუიციდური თამაშები: „ლურჯი ვეშაპი“, „F 57“, „Momo challenge“ „ვეშაპების ზღვა“ და სხვა;
- Granny, Bully, RapeLay — საშინელებათა ჟანრის ან ძალადობრივი აბლიკაციები/თამაშები;

ფსიქო-ემოციური ფაქტორები: დამოკიდებულება/შეჩვენვა, ნევროზები, ფსიქოზები, დეპრესია, შშობლებთან/მეურვეებთან დაპირისპირება (UNICEF, 2017).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, თანამედროვე ადამიანს ჰქონდეს ციფრულ სამყაროში უსაფრთხო და ეთიკური მოქმედებისთვის საჭირო კომპეტენციები, რომლებიც მას წიგნიერ ციფრულ მოქალაქედ აქცევს.

ციფრული მოქალაქე არის ადამიანი, რომელიც ივითარებს უნარებსა და ცოდნას ინტერნეტისა და სხვა ციფრული ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენებისთვის, განსაკუთრებით სოციალურ და სამოქალაქო აქტივობებში პასუხისმგებლობით მონაწილეობისთვის.¹ ციფრული მოქალაქეობის კონცეფცია ხაზს უსვამს ტექნოლოგიების პოზიტიურ ასპექტს — ციფრულ სამყაროში ნავიგაციის საყოველთაო ხელმისაწვდომობას. დღეს ტექნოლოგიების არამიზნობრივად გამოყენების უამრავი მაგალითი გვაქვს, მაგ.: თაღლითობა, კიბერბულინგი, მასალების არალეგალურად, საავტორო უფლებების დარღვევით გამოყენება და სხვ. ამგვარი შემთხვევების თავიდან აცილებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ციფრული მოქალაქეობის კომპეტენცია. ციფრულმა მოქალაქემ უნდა იცოდეს, როგორი ქცევაა მისაღები ციფრულ სამყაროში. სამწუხაროდ, დღეს სკოლა მოსწავლეებს ასწავლის, თუ როგორ

¹ <https://www.dictionary.com/browse/digital-citizen>

უნდა გამოიყენონ ტექნოლოგიები და ნაკლებ ყურადღებას აქცევენ იმას, თუ რა არის მისაღები და დასაშვები ციფრულ სამყაროში.

ტერმინ „მოქალაქის“ ერთ–ერთი განმარტება ასეთია: კონსტიტუციური სამართლის მიხედვით, პირი, რომელიც სამართლებრივ საფუძველზე მიეკუთვნება განსაზღვრულ სახელმწიფოს. მოქალაქეს გააჩნია უფლებები, თავისუფლებები და აკისრია მოვალეობები (Civil ენციკლოპედიური ლექსიკონი). ციფრულ მოქალაქს ამ ტრადიციულ პასუხისმგებლობებთან ერთად ინტერნეტისა და სხვა ციფრული ტექნოლოგიების ეფექტურად და ეთიკურად გამოყენების პასუხისმგებლობაც ეკისრება (Ribble & Bailey, 2007). ციფრული მოქალაქეობა შეიძლება შევავასოთ როგორც გარკვეული ნორმების ცოდნა ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებით, ესენია:

1. ციფრული წვდომა: სრული ელექტრონული ჩართულობა (მონაწილეობა) საზოგადოებაში;
2. ციფრული კომერცია: საქონლის ყიდვა–გაყიდვა ინტერნეტით;
3. ციფრული კომუნიკაცია: ინფორმაციის ელექტრონული გაცვლა;
4. ციფრული წიგნიერება: ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობა და იმის ცოდნა, როდის და როგორ გამოიყენოთ ის;
5. ციფრული ეტიკეტი: ონლაინ ქცევის წესები და სტანდარტები;
6. ციფრული კანონი: იურიდიული უფლებები და შეზღუდვები, რომლებიც არეგულირებს ტექნოლოგიების გამოყენებას;
7. ციფრული უფლებები და მოვალეობები: პრივილეგიები და თავისუფლებები, რომლებიც ვრცელდება ყველა ციფრულ მომხმარებელზე და მათთან დაკავშირებული ქცევითი მოლოდინები;
8. ციფრული ჯანმრთელობა და კეთილდღეობა: ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებული ფიზიკური და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობა;

ციფრული უსაფრთხოება: სიფრთხილის ზომები, რომლებიც უნდა უზრუნველყოს ტექნოლოგიის ყველა მომხმარებელმა, პირადი და ქსელის უსაფრთხოებისთვის (Ribble & Bailey, 2007).

ეს ცხრა ელემენტი წარმოადგენს ციფრული მოქალაქეობის ამოსავალ წერტილს.

ციფრული მოქალაქეობისთვის აუცილებელი წინაპირობებია:

ციფრულ ტექნოლოგიებზე წვდომა. ციფრულ ტექნოლოგიებზე წვდომის გარეშე შეუძლებელია დემოკრატიული მოქალაქეობის უზრუნველყოფა,

ვინაიდან დღევანდელ საზოგადოებაში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა.

უსაფრთხო ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა საშუალებას აძლევს ყველა ასაკის მოქალაქეს თავდაჯერებითა და უსაფრთხოების განცდით ჩაერთოს ვირტუალური საზოგადოების ფარგლებში განხორციელებულ აქტივობებში.

ცოდნა უფლებებისა და პასუხისმგებლობების შესახებ უმნიშვნელოვანესია ციფრული მოქალაქის რანგში აქტიური ჩართულობის უზრუნველსაყოფად.

მონაწილეობის უნარები დამოკიდებულია მთელ რიგ შემეცნებით და პრაქტიკულ უნარებზე, რომელთა ჩამოყალიბებაც იწყება ოჯახში, ადრეული ასაკიდან და გრძელდება სკოლაში. აღნიშნული უნარები მოიცავს იმის ცოდნას, თუ რა, როდის და როგორ უნდა ისაუბროს ადამიანმა, როგორ გამოხატოს ემპათია და გაითვალისწინოს კულტურული თავისებურება, რათა სრულად ჩასწვდეს აზრს; ასევე, მოიცავს კრიტიკულ აზროვნებასა და აზრის ზეპირი და წერილობითი გამოხატვის უნარებს.

მოქნილი აზროვნება და პრობლემის მოგვარება გულისხმობს მაღალ შემეცნებით უნარებს, ხელთ არსებული საკითხების გააზრებას, ანალიზს, სინთეზს, ინდუქციასა და დედუქციას.

კომუნიკაცია მოიცავს როგორც უნარებს, ასევე იმ ინსტრუმენტებს, რომლებსაც ვიყენებთ სხვა ადამიანებთან ურთიერთობისას, ინფორმაციის გავრცელებისა და მიღებისას.

მოქალაქეობის შესაძლებლობა ბოლო და მნიშვნელოვანი პრინციპია, რომლის გარეშეც ციფრულ მოქალაქეებს არ ექნებათ საშუალება გამოიყენონ მოქალაქეობასთან დაკავშირებული უნარები, ისარგებლონ საკუთარი უფლებებით და აიღონ პასუხისმგებლობა. მოქალაქეობის შესაძლებლობა ითხოვს მოქნილ, ღია, ნეიტრალურ და უსაფრთხო ჩარჩოს, რომელშიც მომხმარებლებს აქვთ გამოხატვის თავისუფალი არჩევანი, შეუძლიათ გამოხატვის გზები საკუთარ საჭიროებებს მოარგონ და აზრი ანგარიშსწორების მიზის გარეშე გამოთქვან.

მოქალაქეობა ციფრულ ეპოქაში და თვით ციფრული მოქალაქეობის კონცეფცია უფრო და უფრო იკვეთება პოლიტიკურ თუ სხვა სფეროებში და ფართო მსჯელობის საგანი ხდება (Netsafe, 2018), (Ribble M. , Digital Citizenship in Schools: Nine Elements All Students Should Know, 2015), (Common Sense Education, 2021), (Council of Europe, 2017), (Australian

eSafety Commissioner).² მიუხედავად ამისა, არ არსებობს ერთიანი აზრი ციფრული მოქალაქეობის კონცეფციის შესახებ.

ლიტერატურაში არსებობს ციფრულ მოქალაქეობასთან მჭიდროდ დაკავშირებული სინონიმები და კონცეფციები. ესენია:

„გლობალური მოქალაქეობა“ (Parker & Fraillon, 2016);

„გლობალური ცოდნა“ (OECD, 2016);

„ციფრული ცოდნა“ (Vuorikari, Punie, Carretero, & Van den Brande, 2016);

„ციფრული ცნობიერება“ (Institute for Responsible Online and Cell-phone Communication, 2015);

„ციფრული განათლება“ (Meyers, Erickson, & Small, 2013);

„განათლება ციფრული მედიის დარგში“ (Gordon & Mihailidis, 2017);

„მედია-განათლება და საინფორმაციო განათლება (Alava, Frau-Meigs, & Hassan, 2017) და სხვ.

ციფრული მოქალაქეობის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაშიც და სამოქალაქო საზოგადოების ბევრ ინიციატივაშიც შემოთავაზებულია განსხვავებული, თუმცა, ერთმანეთის შემაგვებელი განმარტებები. ამ განმარტებებში გამოიყოფა რამდენიმე ელემენტი და სწორედ ამ ელემენტების საფუძველზე შექმნილია ციფრული მოქალაქეობის დამახასიათებელი ნიშნები.

ციფრული მოქალაქეობის ძირითადი ელემენტი, რომელიც მოცემულია ბევრ განმარტებაში, არის ციფრული „ჩართულობის“ ცნება, ანუ ციფრული ტექნოლოგიის კომპეტენტური გამოყენება. მაგალითად, ავსტრალიის მთავრობის უსაფრთხოების კომისიის სამსახურის მიხედვით ციფრული მოქალაქეობა არის „ციფრულ ტექნოლოგიებთან თავდაჯერებული და დადებითი ურთიერთობა“, მათი ეფექტური გამოყენება საზოგადოებაში აქტიური მონაწილეობისთვის, სხვა ადამიანებთან ურთიერთობისთვის, ციფრული მასალის შექმნისა და მოხმარებისთვის. ციფრულ ცხოვრებაში ჩართვა არის „სოციალურ, კულტურულ და სამოქალაქო საზოგადოებაში ჩართვის მძლავრი საშუალება“, რადგან ციფრულ მოქალაქეს შეუძლია თავისუფლად შეათავსოს ციფრული უნარები, ცოდნა და დამოკიდებულებები საზოგადოების ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისთვის, ის უწყვეტად სწავლობს. ამას გარდა, ციფრული მოქალაქეობა არის მუდმივი „მონაწილეობა და პასუხისმგებლობა“, „უკეთესი

² eSafety Commissioner (eSafety) – ავსტრალიის მთავრობის უსაფრთხოების კომისიის სამსახური – ავსტრალიის დამოუკიდებელი ონაილინ უსაფრთხოების მარეგულირებელი, რომელმაც საქმიანობა 2015 წელს დაიწყო <https://www.esafety.gov.au/>

სამყაროსთვის წვლილის შეტანის შესაძლებლობა“ (Netsafe, 2018).

ციფრული მოქალაქეობისთვის საჭირო კონკრეტული ცოდნა და უნარ-ჩვევები ხშირად მოიხსენიება ლიტერატურაში. ციფრული ცოდნა არის ზოგადი ცოდნა, რომელიც შეიძლება განისაზღვროს, როგორც „საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების თავდაჯერებული, კრიტიკული და შემოქმედებითი გამოყენება მუშაობასთან, დასაქმებასთან, სწავლასთან, დასვენებასთან, საზოგადოების ცხოვრებაში ჩართვასთან ან/და მონაწილეობასთან დაკავშირებული მიზნების მისაღწევად“ (Parker & Fraillon, 2016). ადამიანის, როგორც გლობალური მოქალაქის, მონაწილეობა ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით ციფრული მოქალაქეობის თავისებურებაა. გლობალური მოქალაქეობა გულისხმობს მოქალაქეობის გაფართოებულ გაგებას სახელმწიფოს საზღვრებს მიღმა, რაც ცოდნის, დამოკიდებულებების და ღირებულებების გარდა, გამოიხატება აგრეთვე სოციალური და პოლიტიკური კონტექსტებით, შესაძლებლობებით და რესურსებით. ის „ეხება უფრო ფართო თანამეგობრობისა და, ზოგადად, კაცობრიობისადმი კუთვნილების განცდას“ და „ხაზს უსვამს ადგილობრივის, ეროვნულისა და გლობალურის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ურთიერთდამოკიდებულებას და ურთიერთკავშირს“ (UNESCO, 2015).

ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ გლობალიზებულ კონტექსტში ციფრული ცოდნის გამოყენება მოითხოვს გლობალური და კულტურათაშორისი საკითხების კრიტიკულ და მრავალმხრივ გაანალიზებას, იმის გაგებას, თუ როგორ მოქმედებს განსხვავებები ალქმაზე, მსჯელობებზე, როგორ აცალიბებს წარმოდგენებს საკუთარი თავისა და სხვების მიმართ, მოითხოვს აგრეთვე საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებთან ღია, სათანადო და ეფექტურ ურთიერთობას ადამიანის ღირსების ზოგადი პატივისცემის საფუძველზე (OECD, 2016).

ამგვარად, მოქალაქეების მიერ ციფრულ და გლობალიზებულ კონტექსტში ქმედითი მონაწილეობისთვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებას საფუძვლად უდევს განათლებისადმი მუდმივი სწრაფვა. ციფრული მოქალაქეობის თანმდევი უპირატესობების გამოსაყენებლად საჭიროა ციფრული ტექნოლოგიების შესაძლებლობების ზუსტი ცოდნა და მათდამი დადებითი დამოკიდებულება; ურთიერთობების ჩამოყალიბების, განვითარების და შენარჩუნების უნარი; საკუთარი თავისადმი რწმენა; ნებისმიერი ასაკის, კულტურისა და სქესის ადამიანებთან პატივისცემასა და ღირსების აღიარებაზე დამყარებული

ურთიერთობა; მოსაზრებებისა და ემოციების გამოხატვა საკუთარი ღირებულებების შესაბამისად (Institute for Responsible Online and Cell-phone Communication, 2015).

1.2. ციფრული მოქალაქეობის საგანმანათლებლო მხარდაჭერა

ციფრული მოქალაქეობის საგანმანათლებლო მხარდაჭერა მოიცავს ციფრულ სამყაროში ცხოვრებისთვის საჭირო ისეთ პერსონალურ, ტექნოლოგიურ და ინტელექტუალურ უნარ-ჩვევებს (Digital Youth Summit, 2015), როგორიცაა „შექმნა, დამუშავება, გაზიარება, სოციალიზაცია, კვლევა, თამაში, ურთიერთობა და სწავლა“ (Meyers, Erickson, & Small, 2013). ციფრული განათლება გულისხმობს მედია-განათლებას და ანალიზის, შეფასების, გააზრების და შექმნის უნარ-ჩვევებს, აგრეთვე დაგეგმვას, მონაწილეობას, გადამუშავებას, კულტურის გათავისებას, მრავალფეროვნებაში ჩართვას, მოსმენასა და კულტურათაშორის კვლევებს (Gordon & Mihailidis, 2017).

მედია-განათლების და საინფორმაციო განათლების კონცეფცია ჩამოყალიბდა სამი განსხვავებული მიმართულების – საინფორმაციო განათლების, მედია-განათლების და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიური ანუ ციფრული განათლების გასაერთიანებლად. ის, როგორც ყოვლისმომცველი კონცეფცია, ახალი საგანმანათლებლო კონსტრუქტია, რომელიც ეხმარება ადამიანებს, საზოგადოებებსა და ერებს მონაწილეობა მიიღონ და საკუთარი წვლილი შეიტანონ გლობალურ ცოდნაზე დამყარებულ საზოგადოებებში (Global Education Monitoring Report Team, 2014). მედია-განათლება და ინტერნეტის მართვა განათლების „ახალი საფუძვლებია“, რომელსაც შეუძლია მოზარდებში თანამშრომლობის, შემოქმედების და სოციალური სიახლეების მიღების უნარ-ჩვევები და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებები განავითაროს, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს უფრო ღია საზოგადოებების აშენებას (Milenkova, Peicheva, & Marinov, 2018).

მედია-საინფორმაციო განათლების საფუძველზე აგებული განათლების ახალი პოლიტიკა საშუალებას გვაძლევს რეალური მონაწილეობა მივიღოთ საზოგადოების ცხოვრებაში. ბოლო კვლევების შედეგები ცხადყოფს, რომ მედია-განათლება არის ციფრული მოქალაქეობის განხორციელების მნიშვნელოვანი რესურსი (Martens & Hobbs, 2015).

ციფრული მოქალაქეობის მიზანია მოზარდებში სწავლის შესაძლებლობების წახალისება და მათი ონლაინ უნარ-ჩვევების, ჩართულობისა და შემოქმედებითი

უნარების განვითარება.

ციფრული მოქალაქეობისთვის განათლება ნიშნავს „გლობალური მოქალაქეობის განხილვას საგანმანათლებლო კონტექსტში, სადაც ცოდნის, უნარ-ჩვევების, ღირებულებებისა და დამოკიდებულებების ჩამოყალიბება ხდება გლობალური მოქალაქეობისთვის განათლების მეშვეობით“ (Parker & Fraillon, 2016).

ციფრული მოქალაქეობისთვის განათლება ხორციელდება ფორმალურ ან არაფორმალურ კონტექსტში. მოქალაქეთა უფლებების გაფართოების გადამწყვეტი როლის გათვალისწინებით, ფორმალური საგანმანათლებლო დაწესებულებების ამოცანაა ციფრული მოქალაქეობისთვის განათლების შესაბამისი კომპლექსური პროგრამის შემუშავება და გვეგმიურად შეტანა სასკოლო სასწავლო პროგრამებში მისი ეფექტური განხორციელებისთვის.

შეიძლება ითქვას, რომ ციფრული მოქალაქეობა არის:

- ციფრულ ტექნოლოგიებთან გააზრებული და დადებითი ურთიერთობა (შექმნა, დამუშავება, გაზიარება, სოციალიზაცია, კვლევა, თამაში, ურთიერთობა და სწავლა);
- მონაწილის აქტიურობა და პასუხისმგებლობა (ღირებულებები, დამოკიდებულებები, უნარ-ჩვევები, ცოდნა) საზოგადოების ყველა დონეზე (ადგილობრივი, ეროვნული, გლობალური) და ყველა სფეროში (პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და კულტურათაშორისი);
- უწყვეტი ფორმალური და არაფორმალური განათლების პროცესი;
- ადამიანის ღირსების მუდმივად დაცვა.

ამ მიზნების შესაბამისად აგებული საგანმანათლებლო სტრუქტურა აუცილებელია არა მარტო სწავლების პირველ წლებში, არამედ მთელი ცხოვრების მანძილზე და ყველა დონეზე ეფექტური სწავლის შესაძლებლობების განვითარებისთვის. ის უაღრესად მნიშვნელოვანია როგორც მოქმედი, ასევე დამწყები მასწავლებლებისთვის. გლობალური მოქალაქეობისთვის განათლება შეტანილი უნდა იყოს „მასწავლებელთა მომზადების პროგრამებში კომპლექსური მიდგომის საფუძველზე (Guo—Brennan, 2014).

თავი II – ციფრული მოქალაქეობის სწავლების ნორმატიული საფუძვლები და განხორციელებული პროექტები

2.1. ციფრული მოქალაქეობის სწავლების საერთაშორისო ნორმატიული საფუძვლები და განხორციელებული პროექტები

ტერმინი – „ციფრული მოქალაქეობის სწავლება“ (Digital Citizenship Education), როგორც გამჭოლი მიმართულება გასული საუკუნის 90–იანი წლებიდან იღებს სათავეს ამერიკის შეერთებულ შტატებში, როცა, ტექნოლოგიების საგანმანათლებლო სფეროში დამკვირდებლასთან ერთად, გამოიკვეთა მათი უსაფრთხოდ და ეთიკურად გამოყენების სწავლების საჭიროება.

ზემოხსენებული ტერმინი ევროპული განათლების სისტემაში მას შემდეგ გაჩნდა, რაც ევროპის საბჭოს განათლების პოლიტიკის დეპარტამენტმა დაიწყო ციფრული მოქალაქეობის სწავლება. თავდაპირველად ამას სარეკომენდაციო პუბლიკაციების სახე ჰქონდა და მოიცავდა შემდეგ ნაშრომებს:

„ციფრული მოქალაქეობის სწავლების 10 ელემენტი“, რომელშიც წარმოდგენილია ციფრული მოქალაქეობის ათი ელემენტი და სამი ძირითადი მიმართულება (Council of Europe, 2017).

„ციფრული მოქალაქეობის სწავლება: მიმოხილვა და პერსპექტივები (ნაწილი 1)“ მოცემულია ციფრული მოქალაქეობის, როგორც გამჭოლი კომპეტენციის კონცეფცია და მისი ძირითადი პოსტულატები (Frau-Meigs, O'Neill, Soriani, & Tomé, 2017);

„ციფრული მოქალაქეობის სწავლება: დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების ანგარიში (ნაწილი 2)“ (Richardson & Milovidov, Digital citizenship education – Volume 2: Multi-stakeholder consultation report, 2017);

„ციფრული მოქალაქეობის სწავლების ცნობარი: ონლაინ რეჟიმში ყოფნა, ონლაინ კეთილდღეობა, ონლაინ უფლებები“ (Richardson & Milovidov, 2019), რომელშიც წარმოდგენილია დაინტერესებული მხარეების და პროგრამაში ჩართული ქვეყნების პირველადი კვლევის ანგარიში.

სწორედ ზემოხსენებული გამოცემების საფუძველზე დაიწყო ევროპის საბჭოს განათლების პოლიტიკის დეპარტამენტმა ციფრული მოქალაქეობის შესახებ სწავლება და ამ გამჭოლი კომპეტენციის დანერგვა წევრ ქვეყნებში.

2.1.1. განათლება ციფრული მოქალაქეობისთვის ევროსაბჭოს წევრ ქვეყნებში

უკანასკნელი წლების საერთაშორისო მოვლენებმა ახალი პერსპექტივით დაგვანახა მოქალაქეობა თანამედროვე მსოფლიოში, სადაც ონლაინ და რეალური ცხოვრების მიჯნები წაშლილია ან ფერმკრთალი, სადაც ახალი ამბებს შეიძლება გავეცნოთ არა მეინსტრიმ-მედიაში, არამედ სოციალურ ქსელებში ან სხვა არასანდო წყაროებში.

ციფრული მოქალაქეობა, როგორც განათლების ახალი სფერო, უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში აქტიურად ინერგება ამერიკის შეერთებულ შტატებში. მას შემდეგ, რაც ევროპის საბჭოს განათლების პოლიტიკის დეპარტამენტმა, წამოიწყო პროგრამა სახელწოდებით „ციფრული მოქალაქეობის სწავლება“, ევროსაბჭოს ქვეყნებში (46-დან 27 სახელმწიფო) დაიწყო პროგრამის დანერგვა და მისი აქტიური პროპაგანდა. განათლების სახელმწიფო უწყებებმა ციფრული მოქალაქეობა შეიტანეს სახელმწიფო კურიკულუმებსა და საგანმანათლებლო სტანდარტებში; შემუშავდა დანერგვის სტრატეგიები; დაიწერა გზამკვლევები პედაგოგებისათვის; შემუშავდა სპეციალიზებული სახელმძღვანელოები. ციფრული მოქალაქეობის სწავლება ინტერდისციპლინურია, იგი ფარავს ევროპის საბჭოს დემოკრატიული კომპეტენციების ჩარჩოს ოთხივე კომპეტენციას (უნარები, დამოკიდებულებები, ცოდნა და კრიტიკული გააზრების უნარი), დემოკრატიული კულტურის კომპეტენციები კი, ნებისმიერი სასკოლო კონტექსტისათვის ინტერდისციპლინურ ჩარჩოდ არის აღიარებული (Richardson & Milovidov, 2017). ციფრული მოქალაქეობა გამჭოლია და ეხება უკლებლივ ყველა საგანსა და დისციპლინას. მეტიც, თუკი გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ტექნოლოგიებით სწავლება თანამედროვე ცივილიზებული სამყაროს განუყოფელი რეალობაა, ციფრული მოქალაქეობის კომპეტენციის განვითარება ტექნოლოგიების მეშვეობით სწავლების ქვაკუთხედს წარმოადგენს (Frau-Meigs, O'Neill, Soriani, & Tomé, 2017).

ცვლილებები განხორციელდა საქართველოს, როგორც ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნის, საგანმანათლებლო სივრცეშიც.

2.1.2. საქართველოს განათლების პოლიტიკის ძირითადი დოკუმენტების მიმოხილვა

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში ციფრული მოქალაქეობის სწავლების კუთხით მნიშვნელოვანი წინსვლა არის გასულ წლებთან შედარებით, რაც გამოიხატება განათლების პოლიტიკის დოკუმენტებში შესაბამისი ცვლილებებით.

საქართველოს განათლების პოლიტიკის დოკუმენტებში, კერძოდ, 2020 წლის ეროვნული სასწავლო გეგმისა და მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის განახლებულ ვერსიებში პირველად გაჩნდა ჩანაწერი ციფრული მოქალაქეობის თაობაზე. მესამე თაობის (2018–2024) ეროვნული სასწავლო გეგმის 2020 წლის რედაქციის პირველი კარის მეორე თავში – „სწავლა–სწავლების მიზნები და საგანმანათლებლო პრინციპები“ — აღნიშნულია, საკომუნიკაციო და ციფრული ტექნოლოგიების ხანაში ციფრული წიგნიერებისა და მედიაწიგნიერების, როგორც ზოგადი წიგნიერების კომპონენტების მნიშვნელობა. მოსწავლეებში ციფრული წიგნიერების კომპეტენციის განვითარება არის არა მარტო კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნის სტანდარტით განსაზღვრული, არამედ ის არის და უნდა იქცეს გამჭოლ კომპეტენციად. სტანდარტი მიმოიხილავს როგორც ციფრული წიგნიერების, ასევე კიბერცნობიერების, მედიაწიგნიერებისა და ინფორმაციული წიგნიერების მიმართულებებს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ეროვნული სასწავლო გეგმა ასახავს არამარტო მისალწევ შედეგებს, არამედ განასხვავებს კომპეტენციის დონესა და მის ინდიკატორებს და გვთავაზობს შესაბამის მაგალითებს (ეროვნული სასწავლო გეგმა, 2018–2024). დანართის (იხ. დანართი N1) სახით გთავაზობთ ამონარიდს ეროვნული სასწავლო გეგმიდან, რომელიც ნათელს მოჰფენს სტანდარტის სტრუქტურასა და კონცეფციას.

რაც შეეხება მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს, 2020 წელს მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა მასწავლებლის ზოგადი კომპეტენციების ნაწილში (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, 2020). ისეთი კომპეტენციები, როგორებიცაა მედიაწიგნიერება, ინფორმაციული და ციფრული წიგნიერება სავალდებულო გახდა როგორც პროფესიაში შემსვლელი, ასევე მოქმედი მასწავლებლებისთვის. მაგალითად, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტების მე–2 თავის მე–5 მუხლის დ. ქვეპუნქტში ვკითხულობთ: „მასწავლებელმა უნდა შეძლოს „სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ინფორმაციულ–საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება და ციფრული მოქალაქეობის პრინციპების გათვალისწინება“,

ხოლო სასწავლო რესურსების მუხლში ცალკე პუნქტი ეხება მასწავლებლებში მედიაწიგნიერების კომპეტენციის მნიშვნელობას: მასწავლებელი ვალდებულია შეძლოს „სასწავლო მიზნისა და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით, სასწავლო რესურსის მოძიება ან/და მომზადება მედიაწიგნიერების პრინციპების გათვალისწინებით“ (მეორე თავი, მეშვიდე მუხლი, პუნქტი ე) (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, 2020).

ამრიგად, ზოგადი განათლების განმსაზღვრელი პოლიტიკის ორივე ფუნდამენტურ დოკუმენტში – როგორც ეროვნულ სასწავლო გეგმაში, ისე მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტში, გათვალისწინებულია ციფრული მოქალაქეობის ძირითადი კომპონენტები.

გარდა ზემოხსენებული განათლების პოლიტიკის დოკუმენტებისა, აღსანიშნავია საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული დოკუმენტი „საქართველოს კიბერუსაფრთხოების 2021–2024 წლების ეროვნული სტრატეგია და მისი სამოქმედო გეგმა“ (საქართველოს მთავრობა, 2021), რომელიც დამტკიცდა 2022 წელს. აღსანიშნავია, რომ კიბერუსაფრთხოების სტრატეგიის დოკუმენტი წარმოადგენს მესამე რედაქციას და მასში პირველად არის გათვალისწინებული განათლების კომპონენტი, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს ზოგადი და უმაღლესი განათლების საფეხურებს, სადაც ციფრული მოქალაქეობის სწავლება – როგორც მრავალდარგობრივი მიმართულება, მოიცავს როგორც კიბერცნობიერებას, ისე ციფრული უსაფრთხოების, მედიაწიგნიერების, ციფრული წიგნიერებისა და სხვა მომიჯნავე კომპეტენციების ერთობას. სტრატეგიის სამოქმედო გეგმა გულისხმობს მის აღსრულებას არაერთი აქტორის, მათ შორის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ჩართულობას. სტრატეგიის მესამე რედაქცია მოქმედია 2024 წლის ჩათვლით. სტრატეგიაში მნიშვნელოვან ამოცანებად აღნიშნულია: „კიბერსივრცეში უსაფრთხოდ და დაცულად ფუნქციონირებისთვის სკოლის მოსწავლეებისა და სტუდენტებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარება და განათლების დონის ამაღლება (ამოცანა 1.1); „კიბერსივრცეში უსაფრთხოდ და დაცულად ფუნქციონირებისთვის კიბერუსაფრთხოებისა და რისკების შესახებ ინფორმაციული საზოგადოებისა და ორგანიზაციების ცნობიერების ამაღლება (ამოცანა 1.2) და ციფრული მოქალაქეობის ხელშეწყობის მიზნით სასწავლო კურსებისა და სასწავლო მასალების უზრუნველყოფა (საქართველოს მთავრობა, 2021).

თავი III – სწავლება ციფრული მოქალაქეობის შესახებ – ციფრული მოქალაქეობის 10 ელემენტი

წინა თავებში აღვნიშნეთ, რომ ევროპის საბჭოს განათლების პოლიტიკის დეპარტამენტმა დაადგინა 10 ძირითადი ელემენტი, რომლებიც გაერთიანდა 3 მსხვილი მიმართულების ქვეშ. ეს მიმართულებები გახლავთ: ჩართულობა ონლაინსივრცეში, კეთილდღეობა ონლაინსივრცეში და უფლებები ონლაინსივრცეში (Council of Europe, 2017).

ათი ელემენტი შემდეგნაირად ჯგუფდება ზემოხსენებული სამი მიმართულების ქვეშ:

ჩართულობა ონლაინსივრცეში

1. წვდომა და ინკლუზია
2. სწავლა და შემოქმედებითობა
3. მედიაწიგნიერება და ინფორმაციული წიგნიერება

კეთილდღეობა ონლაინსივრცეში

4. ეთიკა და ემპათია
5. ჯანმრთელობა და კეთილდღეობა
6. ინტერნეტსივრცეში თავის წარმოჩენა და ელექტრონული კომუნიკაცია

უფლებები ონლაინსივრცეში

7. აქტიური მონაწილეობა
8. უფლებები და პასუხისმგებლობები
9. პერსონალურ მონაცემთა დაცვა და უსაფრთხოება
10. სამომხმარებლო ცნობიერება

3.1. ჩართულობა ონლაინსივრცეში

ევროპის საბჭოს წლიურ ანგარიშში მოყვანილია 2017 წლის მონაცემები, რომელთა მიხედვითაც მოქალაქეების 79,6%-ი ინტერნეტის ყოველდღიური მომხმარებელი იყო. ეს ნიშნავს იმას, რომ ევროპაში ყოველ მეხუთე ადამიანს ჯერ არ აქვს წვდომა ინტერნეტთან. ამიტომაც ევროსაბჭოს მიზანია უზრუნველყოს თანაბარი ხელმისაწვდომობა. შესაბამისად, პირველ ელემენტად ჩამოყალიბდა ჩართულობა ონლაინსივრცეში, რაც ასოცირდება ციფრულ გარემოზე წვდომასთან და მოიცავს მთელ რიგ კომპეტენციებს, მომავალი ციფრული მოქალაქეებისთვის საჭირო უნარებს. ციფრული მოქალაქისთვის აუცილებელია ტექნოლოგიებთან წვდომა.

3.1.1. წვდომა და ინკლუზია

ციფრულ მოქალაქედ ჩამოყალიბების აუცილებელ, თუმცა, არასაკმარის წინაპირობას წარმოადგენს ციფრულ ტექნოლოგიებზე წვდომა. ონლაინსამყარო უკიდვანაა და უსასრულო შესაძლებლობებით არის სავსე. ის სხვადასხვა მიმართულებით უფრო მეტ მოთხოვნებს გვიყენებს, ვიდრე რეალური სამყარო. მაგალითისთვის გამოგვადგება მისი თუნდაც მხოლოდ ორი მახასიათებელი: ინფორმაციის მყისიერი გავრცელება და ანონიმურობის დაცვა. სწორედ ამის გამო, ონლაინსივრცეზე წვდომა მოითხოვს არა მხოლოდ ტექნიკურ უნარებს, რომლებიც საჭიროა მის უსასრულო ლაბირინთებში გზის ეფექტურად გასაკვალად, არამედ პასუხისმგებლობის გრძნობასა და სხვების მიმართ პატივისცემას, ისეთ ფუნდამენტურ ღირებულებებზე დაყრდნობით, როგორიცაა ადამიანის ღირსება და ადამიანის უფლებები.

ტექნოლოგიებზე წვდომა გვთავაზობს ახალ, ნებისმიერი ფორმისა და შინაარსის სასწავლო, საკომუნიკაციო და შემოქმედებით ინსტრუმენტებსა და პლატფორმებს. აღნიშნული მოიცავს არა მხოლოდ პერსონალურ კომპიუტერებს, ნოუტბუქებს, მობილურ ტელეფონებს, პლანშეტებს, ვიდეოთამაშების კონსოლებსა და აპლიკაციებს, არამედ რობოტებს, ინტერნეტის ქსელში ჩართულ ნივთებსა და სათამაშოებს. ციფრული მოქალაქეების ერთ-ერთი ძირითადი მოვალეობაა ამ ციფრულ სივრცეებზე უმცირესობათა ჯგუფების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და ყველა კატეგორიის ადამიანის წვდომის უზრუნველყოფა. სწორედ ამას გულისხმობს ტერმინი „ინკლუზია“.

მაშასადამე, **წვდომა და ინკლუზია** გულისხმობს წვდომას ციფრულ გარემოზე და მოიცავს მთელ რიგ კომპეტენციებს, რომლებიც უკავშირდება არა მხოლოდ ციფრულ გარემოზე წვდომასთან ასოცირებული სხვადასხვა სირთულეების დაძლევისა და ბარიერების გადალახვას, არამედ მომავალი მოქალაქეების ციფრულ სივრცეში მონაწილეობისთვის საჭირო უნარებსაც. ეს სივრცე ღიაა ყველა ტიპის უმცირესობათა წარმომადგენლისათვის და ნებისმიერი განსხვავებული აზრის დაფიქსირებისთვის. ტექნოლოგიებთან წვდომა შემოქმედებითობის განვითარების და გამოხატვის განსხვავებულ გზებს გვთავაზობს სხვადასხვა პლატფორმის გამოყენებით. ინტერნეტი გვთავაზობს უამრავ იდეას, რესურსსა და სწავლის შესაძლებლობას. ინტერნეტზე თანაბარი წვდომის, ინკლუზიისა და ციფრული წიგნიერების საბაზისო უნარების განვითარების ხელისშემშლელი კულტურული და სოციალური ბარიერების გადალახვა თანაბრად რთულია და ეს ბარიერები ყოველთვის

უშუალოდ როდი უკავშირდება ოჯახის სოციოეკონომიკურ სტატუსს. დღეს ჩვენ ციფრული უთანასწორობის სრულიად განსხვავებული ფორმა გვაქვს, როდესაც ტექნოლოგიებით აღჭურვილი მოზარდები გარკვეული რისკის ქვეშ ექცევიან, რადგან ისინი მოკლებული არიან მეთვალყურეობას და/ან ზედმეტ დროს ატარებენ ტექნოლოგიებთან. ეს რისკი ხშირად სკოლამდელი ასაკიდან იწყება, რაც ბავშვებს ასაკის შესაბამისი სოციალური და ფიზიკური საქმიანობის საშუალებას არ აძლევს და ზიანს აყენებს.

3.1.2. სწავლა და შემოქმედებითობა

აქტიური მოქალაქეობა, სკოლაში თუმის გარეთ, ვირტუალურ თურეალურ სივრცეში, ნიშნავს მონაწილეობის, იდეების შეთავაზების, მოსაზრებების ჩამოყალიბებისა და ნებისმიერი დებატების დროს ორიგინალური პერსპექტივების წინ წამოწევის უნარს. აღნიშნული მოითხოვს მთელ რიგ შემეცნებით უნარებს, დაწყებული მონაცემთა წყაროების ანალიზის უნარით, დამთავრებული ინფორმაციის დახარისხების, გააზრებისა და ინტერპრეტირების უნარებით. აღნიშნული უნარები განეკუთვნება მაღალი დონის შემეცნებით უნარებს, რომელთა განვითარებაც ხდება კვლევის საფუძველზე სწავლისა და გამოცდილების გზით და არა ცოდნის გადაცემის საშუალებით. ამ უნარების გამოყენება გარკვეულწილად მოითხოვს შემოქმედებით უნარს, რაც უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენს პრობლემის გადაწყვეტის დროს. ამ უნარების გამოყენება ასევე საჭიროებს მოზარდების მიერ საკუთარი მოსაზრებების თანმიმდევრულად გამოთქმისა და გამოხატვის უნარს და სხვების მიერ გამოთქმული მოსაზრებების მოსმენისა და გაგების უნარს. მეორე ელემენტი — **სწავლა და შემოქმედებითობა** უკავშირდება ციფრულ სამყაროში სწავლის მიმართ პირად დამოკიდებულებას. იგი მოიცავს მოქალაქეთა პირადი და პროფესიული კომპეტენციების განვითარებას, ტექნოლოგიურად მდიდარი საზოგადოების გამოწვევებისა და ინოვაციური გზებისთვის მზადყოფნას.

3.1.3. მედიაწიგნიერება და ინფორმაციული წიგნიერება

რა არის მედია? ამ ტერმინის წარმოშობა უკავშირდება ლათინურ სიტყვას — medium, რაც საშუალებას ნიშნავს. დღეს მედიას ვუწოდებთ კომუნიკაციის ნებისმიერ საშუალებას, გარდა პირისპირ კომუნიკაციისა.

მედიის ძირითად ფუნქციებია:

- საზოგადოების ინფორმირება: ადამიანების უზრუნველყოფა სანდო და ზუსტი ინფორმაციით;
- ცოდნის გავრცელება: მედია არამხოლოდ აწვდის საზოგადოებას ინფორმაციას, არამედ აძლევს ცოდნას და უზრუნველყოფს გაშუქებული საკითხის მიუკერძოებელ ანალიზს;
- პლურალიზმის უზრუნველყოფა: უზრუნველყოფს მოსაზრებათა მრავალფეროვნებას, ხელს უწყობს საჯარო დებატებს და ამ პროცესში მედიატორის როლს ასრულებს, რითაც დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბებაზე ახდენს გავლენას;
- გართობა: მხატვრული ფილმები, გადაცემები, სპორტული პროგრამები და შოუები საზოგადოების განტვირთვის ფუნქციას ასრულებს;
- მარკეტინგი: მედია რეკლამისა და სერვისების შეთავაზების წყაროა, რითიც ხელს უწყობს ეკონომიკის განვითარებასა და სხვადასხვა ინოვაციური იდეის პოპულარიზაციასა და გავრცელებას.

არსებობს მედიის ოთხი სახეობა:

1. ბეჭდური — წიგნი, გაზეთი, ჟურნალი, ბუკლეტი, ფლაერი, კომიქსი, ბილბორდი, დაბეჭდილი მაისური, დაბეჭდილი ჩანთა ან ჭიქა და სხვა;
2. ვიზუალური მედია — კინოფილმი, დოკუმენტური ფილმი, სატელევიზიო გადაცემა, ფოტომასალა, ნახატი, ლოგო და სხვა;
3. აუდიომედია — მუსიკა, ოპ3 ფაილები, რადიო და სხვა;
4. ციფრული მედია — ინტერნეტი, სამაუწყებლო პორტალები, სოციალური ქსელები, ელექტრონული ფოსტა, ვიდეოთამაშები და სხვა.

უნდა შევეხოთ ინფორმაციის განმარტებასაც. **ინფორმაცია** არის ნებისმიერი მოვლენის შესახებ ფაქტებისა და მათი თანმიმდევრობის ერთობლიობა. ინფორმაცია უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ სამ ძირითად კრიტერიუმს: სიზუსტე, სრულყოფილება, ბალანსი. ინფორმაციის გამავრცელებელი შეიძლება იყოს სხვადასხვა წყარო: ადამიანური წყაროები — მოიცავს პირველად წყაროებს (პროცესის უშუალო მონაწილე, თვითმხილველი) და მეორეულ წყაროებს (ექსპერტი, კონკრეტული სფეროს, ხელისუფლების თუ სხვა

ჩართული/დაინტერესებული მხარის წარმომადგენელი). ფიზიკური წყაროები — დოკუმენტები, ფოტო და ვიდეომასალა, ჩანაწერები, სტატისტიკა, ცნობები, სტატიები და ა.შ. ციფრული წყაროები — მოიცავს როგორც ადამიანურ, ასევე ფიზიკურ წყაროებს, თუმცა, მათი ტრანსლირება ხდება ციფრული გზით.

ძირითადად 2 ტიპის ინფორმაცია ვრცელდება: 1. ფაქტები — ანუ ის, რისი გადამოწმებაც შეიძლება; 2. მოსაზრებები — კონკრეტული პირის/პირთა ჯგუფის შეხედულებები, რომლებიც შესაძლოა ემყარებოდეს ფაქტებს, თუმცა, იყოს სუბიექტურ დამოკიდებულებებსა და ემოციებზე დამყარებული.

ციფრული მოქალაქეობის მსგავსად, მედიაწიგნიერებასა და ინფორმაციულ წიგნიერებას ბევრი განმარტება აქვს და ამ ცნებების აღსანიშნავად მრავალი განსხვავებული ტერმინი გამოიყენება. მიუხედავად იმისა, თუ რომელ ტერმინს ვიყენებთ, იქნება ეს მედიაწიგნიერება, ინფორმაციული წიგნიერება, ინტერნეტწიგნიერება თუ სხვა, მნიშვნელოვანია ის, რომ წიგნიერება გულისხმობს მედიისა და საინფორმაციო არხებით მიზნობრივ სარგებლობას.

მედიაწიგნიერება და ინფორმაციული წიგნიერება წარმოადგენს მედიისა და ჩვენს საზოგადოებაში მისი როლის გაცნობიერების ძირითად საშუალებას. მედიაწიგნიერება და ინფორმაციული წიგნიერება ხელს უწყობს იმ უნარების განვითარებას, რომელიც საჭიროა კრიტიკული აზროვნების, ანალიზის, თვითგამოხატვისა და შემოქმედებითობისთვის – ანუ იმ უნარების განვითარებას, რომლებიც მოქალაქეებს ესაჭიროებათ დემოკრატიულ საზოგადოებაში მონაწილეობისათვის. კრიტიკული აზროვნება ფასდაუდებელი უნარია მოქალაქეების, ზოგადად, და, განსაკუთრებით, ახალგაზრდა მოქალაქეებისათვის, რომლებსაც უწევთ პრობლემების პირისპირ დგომა და მათი გადაჭრა, ინფორმაციის მოძიება, აზრისა და მოსაზრების ჩამოყალიბება, ინფორმაციის წყაროების შეფასება და სხვ. ინტერნეტსივრცეში ხელმისაწვდომი უამრავი მონაცემისა და ჭეშმარიტი თუ მცდარი ინფორმაციის გათვალისწინებით, მედიაწიგნიერება და ინფორმაციული წიგნიერება უმნიშვნელოვანეს უნარს წარმოადგენს.

მედია და ინფორმაცია მოქალაქეებისათვის ხელმისაწვდომია მრავალფეროვანი ფორმატით, დაწყებული ბეჭდური მედიითა და რადიომაუწყებლობით და დამთავრებული ვიდეოებითა და ინტერნეტით; მოქალაქეს შეუძლია ამ მისთვის ხელმისაწვდომი მედიისა და ინფორმაციის ანალიზი, მოხმარება და მათი საშუალებით კონტენტის³ შექმნა. საძიებო სისტემის

³ წარმოდგება ინგლისური სიტყვისაგან content (ქართულად „შინაარსი“), რომელიც დამკვიდრდა

სწორად გამოყენების სწავლა ციფრული მოქალაქისთვის მნიშვნელოვანია. ინფორმაციის მიღებისა და დამუშავებისთვის საჭიროა ისეთი გამჭოლი უნარების გამოყენება, როგორიცაა კრიტიკული აზროვნება, ინტერნეტის საშუალებით განსხვავებული წყაროების მოძებნა და მათი შედარება. უნარი, რომელიც გულისხმობს ინფორმაციის კრიტიკულ ანალიზს, დახარისხებასა და საჭირო ინფორმაციის გამოყოფას, ეხმარება ციფრულ მოქალაქეებს სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებული ცოდნის შეძენაში.

მედიის, საინფორმაციო არხებისა და ინტერნეტის საყოველთაო ხასიათი ქმნის შთაბეჭდილებას და ბადებს განცდას, რომ ციფრულმა ეპოქამ ყველა ადამიანი მედიის მომხმარებლად აქცია და რომ ყველგან ყველაფერი, მათ შორის სკოლაშიც, ციფრულ რეჟიმზეა გადასული. თუმცა, რეალურად ეს ასე არ არის, განსაკუთრებით, როცა სკოლაზე ვსაუბრობთ. სკოლა არის დაწესებულება, რომლის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს მომავალი მოქალაქეების მომზადება, რათა მათ შეძლონ აღიქვან, კრიტიკულად გაანალიზონ და შექმნან ინფორმაცია. სწორედ სკოლებში იძენენ მომავალი ციფრული მოქალაქეები კრიტიკული აზროვნების უნარს, რომელიც მომავალში საშუალებას მისცემს მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებში.

მედიაწიგნიერება და ინფორმაციული წიგნიერება 21-ე საუკუნის ამბიციური მიზანია, იმ გამოწვევის გამო, რომელიც უკავშირდება ინდივიდუალური პირისთვის ხელმისაწვდომი უკიდურესად ფართო სპექტრის მედიის კრიტიკულად შეფასებას, გაანალიზებასა და გამოყენებას. დღევანდელ მომხმარებლებს არა მხოლოდ ესაჭიროებათ მედიაწიგნიერება ტრადიციული მედიისა და გამოსახულებათა მიღმა არსებული გზავნილების გასაგებად, არამედ მედიაწიგნიერება ესაჭიროებათ ახალი ტექნოლოგიების ასათვისებლად და იმ აპლიკაციების დასაუფლებლად, რომლებიც ინფორმაციის გავრცელების სრულიად ახალ გზებს გვთავაზობს.

მედიაწიგნიერებისა და ინფორმაციული წიგნიერების გარეშე, ამჟამად ხელმისაწვდომი მრავალფეროვანი მედიის არსებობის პირობებში, ადამიანები ვერ შეძლებენ იმოქმედონ პასუხისმგებლობის მქონე ციფრული მოქალაქეების მსგავსად.

მედიაწიგნიერება და ინფორმაციული წიგნიერება წარმოადგენს ცნებას,

შესაბამის ლიტერატურაში და ნიშნავს სერვერის, ან საინფორმაციო კომპლექსის, ინფორმაციული თვალსაზრისით მნიშვნელოვან შიგთავსს: ტექსტი, გრაფიკა, მულტიმედია, რომელთა ჩამოყალიბება ვებ გვერდების სახით, ჰიპერტექსტური მონიშვნის საშუალებით ხდება. კონტენტის არსებითი პარამეტრებია მისი მოცულობა, აქტუალობა და რელევანტობა.

რომელიც მოიცავს სამ, ერთმანეთისგან მკაფიოდ გამიჯნულ განზომილებას: ინფორმაციული წიგნიერება, მედიაწიგნიერება და საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებთან დაკავშირებული ციფრული წიგნიერება. მედიაწიგნიერება და ინფორმაციული წიგნიერება აერთიანებს დაინტერესებულ მხარეებს. მათ შორის არიან ინდივიდუალური პირები, საზოგადოებები და სახელმწიფოები, რომლებსაც საკუთარი წვლილი შეაქვთ საინფორმაციო საზოგადოების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში (UNESCO, 2015).

მედიაწიგნიერება და ინფორმაციული წიგნიერება მოიცავს იმ კომპეტენციების მთელ სპექტრს, რომელთა ეფექტური გამოყენება აუცილებელია მედიაწიგნიერებისა და ინფორმაციული წიგნიერების სხვადასხვა ასპექტების კრიტიკულად შეფასებისთვის.

თანამედროვე მოზარდებს გართობისა და დასვენებისთვის მედიის მოძიებისა და გამოყენების გამორჩეული უნარი აქვთ. საკითხავია, ასეთივე წარმატებით იყენებენ ისინი მედიას ისეთი მიზნებისთვის, როგორიცაა საინტერესო კითხვაზე პასუხის მოძიება, მტკიცებულებებზე დაფუძნებული კვლევის წარმოება, დებატების წამოწყება ან ახალი ამბების მიღება?

მოზარდებისთვის ხელმისაწვდომია ყველანაირი კონტენტი და, შესაბამისად, აუცილებელია, იცოდნენ ღირებული და ღირებულების არმქონე, ობიექტური და ყალბი/ცრუ ინფორმაციის ერთმანეთისაგან გარჩევა. ეს მოითხოვს ინფორმაციის დამუშავებისა და ინტერპრეტირების უნარს. მნიშვნელოვანია ონლაინ თამაშებთან, სხვადასხვა შინაარსის ვიდეოებთან დაკავშირებული რისკებისა და პოტენციური შედეგების გაცნობიერება, რომლებიც მედიით სარგებლობას უკავშირდება. მათ უნდა შეეძლოთ ინფორმაციის დამუშავება, ანალიზი და გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება და სწორედ ამ უნარების განვითარებაში გაუწევს მათ სამსახურს მედიაწიგნიერება და ინფორმაციული წიგნიერება.

ხშირად ციფრულ მოქალაქეობას აიგივებენ მედიაწიგნიერებასა და ინფორმაციულ წიგნიერებასთან, რადგან ციფრული მოქალაქეობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს მედიისა და ონლაინ ტექნოლოგიების, ინსტრუმენტებისა და ინფორმაციის კრიტიკულად შეფასების უნარი. უნდა გავითვალისწინოთ, რომ მედიაწიგნიერება და ინფორმაციული წიგნიერება გულისხმობს იმას, თუ როგორ აღვიქვამთ (კრიტიკულად) ჩვენს გარშემო არსებულ მედია საშუალებებს, მაშინ როცა ციფრული მოქალაქეობა გულისხმობს იმას, თუ როგორ ვცხოვრობთ და როგორ ვსარგებლობთ ჩვენს

გარშემო არსებული და ჩვენთვის ხელმისაწვდომი ყველა ტექნოლოგიით. მედია, ისევე როგორც ტექნოლოგიები, მრავალი განსხვავებული ფორმით, მათ შორის, კომბინირებული ფორმითაც გვხვდება.

მაშასადამე, **მედიაწიგნიერება და ინფორმაციული წიგნიერება** გულისხმობს ციფრული მედიის საშუალებით მოწოდებული ინფორმაციის ინტერპრეტირებისა და გაგების და ასევე შემოქმედებითი აზროვნების გამოყენებითა და ციფრული მედიის საშუალებით საკუთარი აზრის დაფიქსირების უნარს. მედიაწიგნიერება და ინფორმაციული წიგნიერება საჭიროებს განვითარებას, რაც მიიღწევა განათლებითა და გარემოსთან ინფორმაციის გაცვლის უწყვეტი და მუდმივი რეჟიმით, კრიტიკული აზროვნების გამოყენებით საზოგადოებაში სრულფასოვანი და ეფექტური მონაწილეობისას (Council of Europe, 2020).

3.1.4. მასალის კრიტიკულად გაანალიზება

ინფორმაციის სიუხვის პირობებში მნიშვნელოვანია მისი კრიტიკულად გაანალიზება. ინფორმაციის კრიტიკული გააზრებისთვის შემდეგ გარემოებებს უნდა მივაქციოთ ყურადღება: ერთმანეთისგან უნდა განვასხვაოთ ახალი ამბავი/ფაქტი და სარედაქციო თვალსაზრისი/მოსაზრება. სასურველია, დავსვათ შემდეგი საორიენტაციო კითხვები:

- მასალა ანონიმურია, თუ მას ავტორი ჰყავს?
- რამდენად სანდოა ავტორი?
- წარმოდგენილია თუ არა მასალაში, სულ მცირე, ორი დამოუკიდებელი წყარო?
- რამდენად მრავალფეროვანია წყაროები?
- მასალაში/ინფორმაციაში გამოყენებულია თუ არა ორმაგი სტანდარტი სხვადასხვა წყაროსთან მიმართებით?
- აქვს თუ არა შესაძლებლობა მკითხველს, გაეცნოს სხვადასხვა მხარის არგუმენტებს, რათა ჩამოაყალიბოს საკუთარი მოსაზრება?
- ამბავი ნეიტრალურად არის გადმოცემული, თუ ის რომელიმე მხარის პერსპექტივიდანაა გაშუქებული?
- ახდენს თუ არა ავტორი ფაქტების ინტერპრეტირებას?
- გამოტოვებულია თუ არა ამბის გასაგებად არსებითი რაიმე საკითხი?
- გადმოცემულია თუ არა კონტექსტი?
- შეესაბამება თუ არა სათაური და ფოტო ტექსტს?

- რამდენად ნეიტრალურ ენას იყენებს ავტორი?
- თუ საკითხი საჯარო ინტერესის საგანია, გაშუქებულია თუ არა, როგორც მთავარი ამბავი (სიუჟეტის შემთხვევაში — საინფორმაციო გადაცემის მთავარ ბლოკში, გაზეთის ან ონლაინგამოცემის შემთხვევაში — წამყვან ბლოკში)?

აშუქებს თუ არა ყველა მეინსტრიმული მედიასაშუალება ერთსა და იმავე მნიშვნელოვან ახალ ამბავს, თუ რომელიმე მედიასაშუალება საზოგადოებისთვის აქტუალური გარკვეული საკითხების გაშუქებას თავს არიდებს? (კინწურაშვილი, 2022).

მაშასადამე, ინფორმაციის გასააზრებლად უნდა დავფიქრდეთ და პასუხი გავცეთ შემდეგ კითხვებს: 1. ვინ შექმნა ეს მესიჯი? 2. როგორია წყარო? 3. როგორაა ის აწყობილი და რა ინფორმაცია შეიძლება იყოს გამოტოვებული? 4. რა არის ამ მესიჯის მიზანი? 5. ვისზეა ეს მესიჯი გათვლილი: ადგილობრივ, ეროვნულ თუ გლობალურ აუდიტორიაზე?

3.2. კეთილდღეობა ონლაინსივრცეში

ევროპის საბჭოს ციფრული მოქალაქეობის კომპეტენციის ჩარჩოში (Council of Europe, 2017) თანმიმდევრულად არის განსაზღვრული ის უნარები, რომლებიც მოზარდებმა უნდა განივითარონ თანამედროვე სამყაროში ორიენტაციისთვის. მაგალითად, მოსმენის, დაკვირვებისა და თანამშრომლობის ძირითადი უნარები, ცოდნისა და კრიტიკული გააზრების შემეცნებითი უნარების საფუძველია. საზოგადოების საერთო ღირებულებები და დამოკიდებულებები, როგორებიცაა: სამართლიანობა, კეთილსინდისიერება, თანასწორობა და მოქალაქეობრივი აზროვნება, თვითრეალიზაციისა და თვითგამოხატვის მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალებას გვაძლევს. ტექნოლოგიებმა ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების თითქმის ყველა ასპექტში შემოაღწია, რაც მოქალაქეებისგან მოითხოვს, მუდმივად იყვნენ ინფორმირებულნი არსებული გამოწვევების შესახებ და მზად იყვნენ ციფრული სამყაროს უარყოფით ასპექტებთან გასამკლავებლად.

3.2.1. ეთიკა და ემპათია

მეორე მიმართულების პირველი ელემენტი — ეთიკა და ემპათია გულისხმობს ეთიკურ ონლაინ ქცევას, ანუ იმგვარ ურთიერთობას, როდესაც შეგვიძლია გრძნობების ამოცნობა, გაგება და სხვების პატივისცემა. ეთიკა მოიცავს მორალურ პრინციპებს, რომლებიც განსაზღვრავს ადამიანების ქცევას განსხვავებულ ცხოვრებისეულ აქტივობებში. მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად, ეთიკა ემყარება იმას, რაც მოცემულ საზოგადოებაში ან ჯგუფში მიღებულია მორალურად გამართლებულად და გაუმართლებლად, ციფრულ გარემოში განხორციელებული ქცევა სშირად ემიჯნება ეთიკურს. ამის ერთ-ერთი ტიპური მაგალითია ჩაგვრა (ბულინგი), როდესაც ადამიანები ცდილობენ შეურაცხყოფელი კომენტარებით დაჯახნონ ერთმანეთი. მეტიც, რადგან ციფრული ტექნოლოგიის უსაზღვრო სამყარო საშუალებას გვაძლევს ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე გადავინაცვლოთ ერთი სოციალური ჩარჩოდან ან საზოგადოებიდან მეორეში, ის, რაც ერთ საზოგადოებაში მიღებულია, როგორც მორალურად გამართლებული, შეიძლება სხვა ჩარჩოში ან საზოგადოებაში მიუღებელი აღმოჩნდეს და, პირიქით. ემპათია წარმოადგენს ადამიანის უნარს, გაიგოს ან შეიგრძნოს ის, რასაც სხვა ადამიანი განიცდის — გააცნობიეროს სხვათა პერსპექტივა და რეალობა, საკუთარი თავი მათ ადგილას წარმოიდგინოს. იმის გამო, რომ ემპათია საჭიროებს სხვისი ინტერესების, საჭიროებებისა და პერსპექტივების გაცნობიერებას, ის არის ზნეობრივი ქცევის მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორი და ზნეობრივი საზოგადოების საფუძველი. ის ხედვის ჩამოყალიბების მამოძრავებელი და არსებითი ფაქტორია და, ფაქტობრივად, მისი საშუალებით ჩვენ აღვიქვამთ ადამიანს ან ადამიანთა ჯგუფს. ამგვარად, ემპათია „აფერადებს“, ავსებს ოჯახისა და საზოგადოების მიერ შექმნილ ეთიკის ჩარჩოს, რაც თითოეულ ადამიანს საშუალებას აძლევს ეტაპობრივად შექმნას საკუთარი ე.წ. ფილტრი, რომლის საშუალებითაც იგი შეძლებს ინფორმაციის გაანალიზებას, მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმას თუ გადაწყვეტილებების მიღებას.

ეთიკა და ემპათია დინამიკურ ხასიათს იძენს მას შემდეგ, რაც ადამიანები ერთმანეთთან ურთიერთობის საფუძველზე იწყებენ ერთმანეთის გაცნობას და გავლენას ახდენენ ერთმანეთის შეხედულებებსა და გაგება-აღქმაზე. როცა მოზარდები იწყებენ საკუთარი სოციალური წრის გაფართოებასა და ინფორმაციის წყაროების გამდიდრებას, როგორც ვირტუალურ, ასევე რეალურ სივრცეში გაცნობილ ადამიანებთან მეგობრული ურთიერთობების დამყარებითა

და სოციალური მედია ინსტრუმენტებისა და პლატფორმების გამოყენებით, ისინი იფართოვებენ პერსპექტივებს, რაც მათი ეთიკისა და ემპათიის უნარის ჩამოყალიბებაზე ახდენს ზეგავლენას. ეთიკა უკავშირდება ურთიერთობებსა და ზრუნვას საკუთარი თავისა და გარშემომყოფების კეთილდღეობაზე; იმის გაცნობიერებას, თუ რა არის მისაღები და მიუღებელი იმ სოციალურ ჩარჩოებში, რომელთა ნაწილსაც ჩვენ წარმოვადგენთ. ის გულისხმობს ინფორმირებულობასა და ერთგულებას იმის მიმართ, თუ ვინ ვართ და რას ვემსახურებით. ეთიკა დინამიკური ცნებაა და წარმოდგენილია ევროპის საბჭოს მიერ შემუშავებული დემოკრატიული მოქალაქეობის კომპეტენციათა ჩარჩოს (ევროპის საბჭო, 2018) მთელ რიგ ჯგუფებში, როგორც უწყვეტი კომპეტენცია, რომლის განვითარებაზე გავლენას ახდენს გამოცდილება, როთულ კითხვებზე პასუხის ძიება, პერსპექტივების გაფართოვება და სხვ.

3.2.2. ჯანმრთელობა და კეთილდღეობა

ჯანმრთელობა და კეთილდღეობა ციფრული სამყაროს შესახებ ინფორმირებულობას უკავშირდება. ონლაინ ტექნოლოგიების არამიზანმიმართული და ზღვარგადასული გამოყენება ზრდის როგორც ფიზიკური, ისე ფსიქიკური დაავადების რისკებს. ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის სფერო ფართო სპექტრის საკითხებსა და გამოწვევებს მოიცავს, დაწყებული ტექნოლოგიების მიზნობრივი გამოყენებიდან და არასანდო, დამახინჯებული ინფორმაციის ზეგავლენიდან, დამთავრებული იმით, თუ როგორ ზემოქმედებს და ცვლის ტექნოლოგიები ადამიანთა ყოველდღიურ ურთიერთობებს. ახალი საგანმანათლებლო მიდგომები ითვალისწინებს მოზარდებისა და ახალგაზრდებისთვის ისეთი შესაძლებლობების შექმნას, რომელიც მათ მოსმენისა და კვლევის უნარის, სოციალური პრინციპებისა და სისტემური მიდგომების გაცნობიერებაში, ემპათიის გრძნობის, მრავალფეროვნების დაფასებასა და მრავალი სხვა უნარის განვითარებაში დაეხმარება. დღევანდელ საზოგადოებებში ხშირად გაიგონებთ ფრაზას — “Mens sana in corpore sano” — „ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია“⁴, რომელიც ახალ მნიშვნელობას იძენს, რადგან თანდათანობით ვაცნობიერებთ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ბალანსის დაცვა ტექნოლოგიებზე მიჯაჭვულ ვირტუალურ ცხოვრებასა და საზოგადოებაში რეალურ ცხოვრებას შორის. ჯანმრთელობა და კეთილდღეობა მთელი ცხოვრების განმავლობაში ადამიანის პიროვნული ზრდისა

⁴ ეკუთვნის სოკრატეს ეპოქამდე მოღვაწე ბერძენ ფილოსოფოსს, თალესს.

და განვითარების უმთავრესი ფაქტორებია. მათ გარეშე ადამიანი ვერ შეძლებს თვითრეალიზაციას — შესაძლებლობას, გააცნობიეროს და გამოიყენოს თავისი, როგორც აქტიური ციფრული ან სხვა ტიპის მოქალაქის, სრული პოტენციალი. ჯანმრთელობა და კეთილდღეობა დამოკიდებულია და განაპირობებს ადამიანის ისეთ შესაძლებლობებს, როგორიცაა მოსმენა, დაკვირვება, თანაგრძნობა, თანამშრომლობა და სხვ. ეს კომპეტენციები ისეთი შემეცნებითი უნარების საფუძველია, როგორებიცაა: პრობლემების გადაჭრა და კონფლიქტების მოგვარება. აღნიშნული კომპეტენციები, თავის მხრივ, ხელს უწყობს ადამიანის ფუნდამენტური უფლებების, სამართლიანობის, თანასწორობის გაცნობიერებასა და კულტურული მრავალფეროვნების, განსხვავებული მსოფლმხედველობისა და პრაქტიკისადმი შემწყნარებლური დამოკიდებულებისათვის მზაობას, რაც დემოკრატიისა და სამართლიანობის ქვაკუთხედს ქმნის. მოქალაქეები, რომელთა მსოფლმხედველობაც ნეგატიური ან შეზღუდულია, რაც მათი კეთილდღეობის დეფიციტით არის გამოწვეული, ნაკლებად შეძლებენ აქტიური წვლილის შეტანას საზოგადოებაში.

მაშასადამე, ჯანმრთელობა და კეთილდღეობა ის ელემენტია, რომელიც ფართო სპექტრის საკითხებსა და გამოწვევებს მოიცავს, დაწყებული ტექნოლოგიების სათანადო და მიზნობრივი გამოყენებიდან და არასანდო და დამახინჯებული ინფორმაციის ზეგავლენის არიდებით, დამთავრებული ოჯახის წევრებსა და, ზოგადად მოქალაქეების ყოველდღიურ ურთიერთობაზე ტექნოლოგიების ზემოქმედებით. სიცხადის მიზნით, ამსფეროს ძირითადი ასპექტები იყოფა სამ სხვადასხვა განზომილებად და სწავლობს თუ როგორ ზემოქმედებს ციფრული ტექნოლოგია მოქალაქეთა ისეთ შესაძლებლობებზე, როგორიცაა პოზიტიური და პასუხისმგებლიანი მონაწილეობა, სწავლა და შემოქმედება.

ემოციების გამომხატავი სიმბოლოები ე.წ. „ღიმილაკები“, მაგალითად, მცირე შესაძლებლობებს გვთავაზობს კომუნიკაციის მნიშვნელობის აღქმის ან შეგრძნების თვალსაზრისით, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ციფრული მოქალაქეობის ისეთი კომპეტენციების გასავითარებლად, როგორიცაა ხმის ტემბრის მოსმენა, დაკვირვების უნარები და ემპათია. დღევანდელ სამყაროში, სადაც ყურადღება არ მახვილდება დეტალებსა და ნიუანსებზე, ხუმრობა ან არასწორად გაგებული გზავნილი ძალიან ადვილად შეიძლება გადაიზარდოს კონფლიქტში, ძალადობასა და ბულინგში. ამასთან, როდესაც მოზარდებს არ ეძლევათ სიტუაციის დეტალურად შესწავლის და უმცირესი ნიუანსების ამოცნობის საშუალება, ბევრად რთულია საკუთარი ქმედებების შედეგებთან დაკავშირებით რაიმე პროგნოზის გაკეთება.

ამ რეალობაში მნიშვნელოვანია ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების განვითარება.

უპირავე ხმოვანი გზავნილითა თუ გამოსახულებით უპრეცედენტოდ მდიდარ დღევანდელ სამყაროში მოზარდები კეთილდღეობის თვალსაზრისით კონკრეტული გამოწვევების წინაშე დგანან. განსაკუთრებით, აღსანიშნავია ინფორმაციის დამუშავების უნარი. მონაცემები, რომლებზეც მათ ხელი მიუწვდებათ, ხშირად არასანდო წყაროებს ემყარება. გარდა ამისა, ინტერნეტის მომხმარებლები მუდმივად კონტროლდებიან საძიებო სისტემების მიერ, რომლებიც სპეციალური ფილტრების საშუალებით არჩევენ მათთვის მისაწოდებელ ინფორმაციას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ახალგაზრდებს ხშირად არ ეძლევათ საშუალება გაეცნონ კონკრეტული საკითხის შესახებ არსებულ სხვადასხვა ხედვებს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მათში უკიდურესი (ხშირად ექსტრემისტული) შეხედულებების ჩამოყალიბება და ერთგულება. ეს კი, თავის მხრივ, სიძულვილის ენის, რადიკალიზაციისა და ინფორმაციის ნაკლებობით გამოწვეული რადიკალური პოზიციების მიმდევართა ზრდას იწვევს.

გასული რამდენიმე წლის განმავლობაში, ევროპის საზოგადოებამ, როგორც ჩანს, გააცნობიერა რომ ჯანმრთელობა და კეთილდღეობა ციფრული მოქალაქეობის არსებით კომპონენტებს წარმოადგენს, და ცდილობს განათლების სისტემაში შესაბამისი ცვლილებების შეტანას. ამისათვის საჭიროა მოსწავლეების არა მხოლოდ აკადემიურ მოსწრებასთან დაკავშირებული, არამედ ასევე მათი სოციალური, ფიზიკური, შემეცნებითი და ფსიქოლოგიური ასპექტების გათვალისწინება. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია როგორც ინდივიდუალურ პირზე, ისე ჯგუფზე ორიენტირება.

3.2.3. ინტერნეტსივრცეში თავის წარმოჩენა და კომუნიკაცია

ინტერნეტსივრცეში თავის წარმოჩენა და კომუნიკაცია, გულისხმობს პიროვნული და ინტერპერსონალური თვისებების განვითარებას, რაც ხელს უწყობს ონლაინ უფლებების შენარჩუნებას. ახალი ტექნოლოგიების, სოციალური მედიის პლატფორმებისა და ინტერნეტის სწრაფი განვითარების კვალდაკვალ იცვლება და ვითარდება ადამიანების მიერ საკუთარი თავის წარდგენისა და სხვებთან კომუნიკაციის დამყარების ფორმები. რეალურ სივრცეში პირისპირ ურთიერთობები მცირდება და მას თანდათან ანაცვლებს ონლაინკომუნიკაცია. ყველა მოქალაქემ უნდა იცოდეს, თუ როგორ უნდა დაიცვას ინტერნეტში საკუთარი იდენტობა, პერსონალური მონაცემები და, საჭიროების შემთხვევაში,

შეინარჩუნოს კონფიდენციალურობა. ამის საშუალებას მას კრიტიკული აზროვნებისა და კვლევა—ძიების უნარი აძლევს.

ინტერნეტ სივრცეში თავის წარმოჩენა შესაძლებელია პირდაპირ ან არაპირდაპირ/ირიბად. მომხმარებელს შეუძლია თავად შექმნას ანგარიში, განაახლოს საკუთარი მონაცემები, ფოტოები და ინფორმაცია. გარდა ამისა, სხვას შეუძლია თქვენი წარდგენა ფოტოზე თქვენი მონიშვნით, თქვენი პერსონალური ინფორმაციის, თქვენი მონაცემების ატვირთვით, ან თქვენ შესახებ სხვა ინფორმაციის განთავსებით. ბევრი ონლაინ პლატფორმა დაუყოვნებლივ გატყობინებთ, თუკი ვინმე ცდილობს თქვენს მონიშვნას ფოტოზე ან გზავნილზე და გაძლევთ საშუალებას, დართოთ ან არ დართოთ ნება. ციფრული მოქალაქისთვის მნიშვნელოვანია კომუნიკაცია და ინტერნეტ სივრცეში თავის წარმოჩენა ონლაინ რეპუტაციის შექმნისა და შენარჩუნებისათვის, პოზიტიური ონლაინურთიერთობების დამყარებისა და შენარჩუნებისათვის. ასევე მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, თუ როგორ არის შესაძლებელი საკუთარი ციფრული იდენტობისა და ციფრული ნაკვალევის მართვა. არსებობს მოსაზრება, რომ ონლაინ კომუნიკაცია კი არ ანაცვლებს ტელეფონითა და პირისპირ წარმოებულ კომუნიკაციას, არამედ ამდიდრებს და უფრო მრავალფეროვანს ხდის კომუნიკაციის ტრადიციულ საშუალებებსა და მეთოდებს (Council of Europe, 2020).

ყველა მოქალაქემ უნდა იცოდეს, თუ როგორ უნდა დაიცვას ინტერნეტში საკუთარი იდენტობა, დაიცვას საკუთარი პერსონალური მონაცემები და შეინარჩუნოს პირადი სივრცე იქ, სადაც აუცილებელია. კრიტიკული აზროვნების გამოყენებითა და მარტივი კვლევის წარმოებით, ციფრულ მოქალაქეებს უნდა შეეძლოთ შეცვალონ კონფიდენციალურობის პარამეტრები უმეტეს პლატფორმებსა და აპლიკაციებში, ინტერნეტსივრცეში პოზიტიური იდენტობის შესანარჩუნებლად.

3.2.4. კიბერბულინგი

განხილული მიმართულების ფარგლებში განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კიბერბულინგის საფრთხეები. კიბერბულინგი (ინგლ. Cyberbullying), იგივე ონლაინბულინგი ან კიბერდევნა, ნიშნავს დაცინვას, შეურაცხყოფას, დევნასა და სიტყვიერ ან ფსიქოლოგიურ ძალადობას, რომელიც გარკვეული სიხშირით ხორციელდება ინფორმაციული საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მეშვეობით. კიბერბულინგი ონლაინძალადობის ყველაზე გავრცელებული და უკონტროლო

ფორმაა. ის ხშირად ერთი შეხედვით უწყინარ და გაუაზრებელ ქმედებას მოიცავს. კიბერბულინგის ზოგადი სტატისტიკა ასე გამოიყურება: მოზარდთა 40%-ზე მეტი ერთხელ მაინც გამხდარა კიბერბულინგის მსხვერპლი; მოზარდთა 70%-ზე მეტი შესწრება კიბერბულინგის ფაქტებს; მოზარდთა 81%-ი ფიქრობს, რომ კიბერბულინგისაგან თავდაღწევა უფრო ადვილია, ვიდრე პირისპირ ბულინგისაგან; კიბერბულინგის მსხვერპლთა თვითმკვლელობის ალბათობა უფრო მაღალია, ვიდრე პირისპირ ბულინგის შემთხვევაში; კიბერბულინგის მსხვერპლთა დაახლოებით 80%-ი გოგონაა; მოზარდთა 75%-ი აღიარებს, რომ ერთხელ მაინც გაუქილიკებია თანატოლი სოციალური ქსელის მეშვეობით (გაეროს ბავშვთა ფონდი, 2017).

კიბერბულინგში მონაწილეობენ შემდეგი მხარეები: კიბერბულინგის მსხვერპლი, ბული და შემსწრე/მოწმე. კიბერბულინგის მსხვერპლი არის პირი ან პირთა ჯგუფი, რომელსაც ამცირებენ, აშანტაჟებენ ან აშინებენ ძალადობრივი, დამამცირებელი, პირადი ხასიათის ციფრული შეტყობინებების, კომენტარების, შეტყობინებების, ვიდეოების, ფოტოების გავრცელებით სოციალურ ქსელში ან ნებისმიერი ელექტრონული არხის მეშვეობით. ბული (არასწორად დამკვიდრებული ტერმინი „ბულერი“) — პირი, რომელიც სხვა პირის/პირთა მიმართ მიზანმიმართულ კიბერბულინგს ახორციელებს. შემსწრე/მოწმე (ინგლ. bystander) — პირი, რომელიც ესწრება კიბერბულინგის ფაქტს ან ფაქტების სერიას და უმოქმედოა.

კიბერბულინგის გენდერული მახასიათებლები შემდეგნაირად გამოიყურება: ბიჭები: ქილიკი, მუქარა, დაშინება, შანტაჟი, გამოძალვა. გოგონები: პირადი ინფრომაციის გაზიარება, გაჭორვა, დაბრალება.

კიბერბულინგის სარბიელს წარმოადგენს: სოციალური ქსელები, სმს შეტყობინებები, ელექტრონული ფოსტა, ონლაინთამაშები, ფორუმები.

კიბერბულინგის ფორმებია:

1. სიძულვილის ენის შემცველი/დამცინავი კონტენტის გავრცელება — სიძულვილის, დაცინვის, დამცირების, მუქარის შემცველი მესიჯი, პოსტი, რომელიც შეეხება ადამიანის სოციალურ მდგომარეობას, რასას, რელიგიას, ეთნიკურ წარმომავლობას, კულტურულ თავისებურებებს, პოლიტიკურ შეხედულებებს, ადამიანის პირად თვისებებს, გარეგნობას, ჩაცმულობას და სხვა;

2. სექსტინგი — სექსუალური ხასიათის მეტსახელის, კომენტარის, პოსტის ან ინტიმური ხასიათის ფოტოს გავრცელება, რომელიც მიზნად ისახავს დაცინვას, უხერხულ მდგომარეობაში ჩაგდებას, შერცხვენას ან სექსუალური ძალადობის

შემცველ მუქარასა და მოწოდებას;

3. მუქარა — ფიზიკური ზიანის ან განადგურების მუქარა;

4. დოქსინგი (ინგლ. doxing) — პერსონალური მონაცემების (მისამართი, პირადი ნომერი, პასპორტის ნომერი, საბანკო მონაცემები, ტელეფონის ნომერი, სოციალური მედიის გვერდის და სხვ.) გასაჯაროება სხვა ადამიანების მხრიდან კიბერბულნგის მიზნით;

5. თვითმკვლელობის წაქეზება — თვითმკვლელობისკენ წაქეზება ან ბრძანების მიცემა;

6. არაეთიკური შინაარსის გზავნილის გავრცელება — სოციალური ქსელის სტატუსის, კომენტარის, ჭორის, ფოტოს, ვიდეოს და სხვ. გავრცელება ან „ფეიკ“ ვებგვერდის შექმნა, რომელიც ადამიანს ან ადამიანთა ჯგუფს უხერხულობას შეუქმნის, მათ გულისტკივილს ან წყენას გამოიწვევს;

7. კიბერადევნება — არასასურველი განმეორებითი კომუნიკაციის დამყარების მოთხოვნა, ზეწოლა. კიბერადევნება შეიძლება ფიზიკურ ადევნებასა და სექსუალურ შევიწროებაში გადაიზარდოს;

8. გარიყვა — ონლაინსივცეში უგულებელყოფა; 9. სხვისი შეტყობინებების წაკითხვა და გავრცელება;

10. იდენტობის მითვისება (ინგლ. Fraping) ვინმეს სოციალური მედიის ანგარიშის გატეხვის/მითვისების გზით;

11. იდენტობის მითვისება ვინმეს (ინგლ. Catfishing) სოციალური მედიის ანგარიშის მსგავსი პროფილის შექმნის გზით;

12. ტროლინგი — მიზანმიმართული ქილიკი ან კონფლიქტის გამოწვევა, პროვოკაციული შეტყობინებების გავცელება;

13. კიბერსტოლკინგი (ინგლ. cyber-stalking) — მუქარა, იდენტობის მითვისება, თვალთვალი, სექსუალური ზეწოლა და შევიწროება;

14. დიფამაცია (ლათ. Diffamo) — „სახელს ვუტეხ“ — ნიშნავს ვინმეს სახელის გასატეხი (ნამდვილისა თუ მოგონილის) ან რეპუტაციის შემლახავი ცნობების გამოქვეყნებას. სახელის გამტეხად ჩაითვლება ცნობები, თუ ის მიუთითებს ამა თუ იმ პირის ისეთ უარყოფით თვისებებზე, რომლებიც არსებითად ეწინააღმდეგება საზოგადოებაში გაბატონებულ შეხედულებებს.

კიბერბულნგს შესაძლოა მოჰყვეს შემდეგი არასახარბიელო შედეგები: ფსიქოემოციური — სტრესი, ნევროზი, დეპრესია, ჩაკეტილობა, საზოგადოებისაგან იზოლირება და სხვა; ფიზიკური — ბულემია, თვითდაზიანება, სუიციდური აზრები, სუიციდი.

3.3. უფლებები ონლაინსივრცეში

დღეს, მხოლოდ ევროპის მასშტაბით, 250 მილიონზე მეტი ადამიანი იყენებს ინტერნეტს ყოველდღიურად (Eurostat, 2022). ისინი ერთმანეთს სულ უფრო და უფრო მეტ პერსონალურ მონაცემს უზიარებენ — იქნება ეს სოციალური მედიის საშუალებით, თუ თამაშის დროს, ნივთების ონლაინშეძენისას, სასკოლო, საუნივერსიტეტო, თუ სხვა დაწესებულებების ანკეტების შევსებისას. ჩვენ სწრაფადცვალებად ციფრულ ეპოქაში ვცხოვრობთ, სადაც მოქალაქეები ისე, როგორც არასდროს, საჭიროებენ საკუთარი უფლებების ცოდნას და იმის გაცნობიერებას, თუ როგორ შეიძლება დაირღვეს მათი უფლებები ონლაინსივრცეში. მონაცემები იქცა რეალიზებად საქონლად და საჭირო გახდა პერსონალური მონაცემებისა და ონლაინ იდენტობის დაცვა მთელი რიგი ისეთი რისკებისგან, როგორებიცაა: ინფორმაციის უნებართვო გამჟღავნება, იდენტობის ხელყოფა ან ინტერნეტის ბოროტად გამოყენება და ა.შ.

3.3.1. აქტიური მონაწილეობა

აქტიური მონაწილეობა გულისხმობს ისეთ კომპეტენციებს, რომლებიც მოქალაქეებს იმ გარემოში თვითშეცნობაში ეხმარება, სადაც ცხოვრობენ და საქმიანობენ. თვითშეცნობა გონივრული გადაწყვეტილებების მიღებისა და დემოკრატიულ კულტურაში აქტიური და პოზიტიური მონაწილეობის აუცილებელი პირობაა.

ონლაინსივრცეში აქტიური მონაწილეობა ზოგიერთი ადამიანისათვის გამოწვევაა, რადგან მომხმარებლებს უწევთ წინასწარ განსაზღვრონ მათ მიერ აზრის გამოთქმასთან, მოსაზრების გაზიარებასა და საკუთარი ხედვის გამოაშკარავებასთან დაკავშირებული სარგებელი და რისკები. ეს მაშინ, როცა მომხმარებლები სარგებლობენ უფლებით, თავისუფლად გამოხატონ საკუთარი მოსაზრებები და ხედვები, თუ მათ მიერ მოსაზრებებისა და ხედვების გამოხატვა არ ლახავს სხვა ადამიანების უფლებებსა და თავისუფლებას.

როგორც რეალურ, ასევე ონლაინსივრცეში აქტიურობით საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებში მონაწილეობა სრულფასოვანი და რეალიზებული ცხოვრების არსებითი კომპონენტია. ყველა საზოგადოებას სჭირდება ადამიანების ჩართულობა, ამიტომ ონლაინსივრცეში ჩართულობა და აქტიური მონაწილეობა ონლაინ საზოგადოების ფარგლებში მრავალმხრივი სარგებლის უზრუნველყოფის ერთ-ერთი გზაა. აქტიური მონაწილეობა ელექტრონული დემოკრატიის განვითარების ხელშემწყობ ფაქტორსაც წარმოადგენს, სადაც

ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით შესაძლებელია დემოკრატიული პროცესების გაღრმავება.

აქტიური მონაწილეობა პიროვნული განვითარების შესაძლებლობებსაც გვთავაზობს, რადგან მომხმარებლებს შეუძლიათ გაიარონ ონლაინ კურსები, მონაწილეობა მიიღონ ჯგუფურ სწავლებაში და ისარგებლონ სოციალური მედიის ვებგვერდებზე არსებული სპეციალური სივრცეებით, სადაც მათ მიერ დასმულ ნებისმიერ კითხვაზე პასუხს მიიღებენ. ციფრულ ეპოქამდე ცოდნისმოყვარე ადამიანებს ფილოსოფიური საკითხების შესასწავლად ან დებატების გასამართად, უწყვედად ბიბლიოთეკებში სიარული ან თავგადასავლების საძიებლად წასვლა, ახლა მათ შეუძლიათ ონლაინსივრცეში ჩართვით მნიშვნელოვან დისკუსიებში მიიღონ მონაწილეობა.

სოციალური ქსელები ძირეულად ზემოქმედებს პოლიტიკურ პროცესებზეც. პროცესების გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება უკანა პლანზე ინაცვლებს, როდესაც აქტიურ მონაწილეობას სათავეში ტროლები ან უარყოფითი გეგავლების მქონე სხვა სუბიექტები უდგებიან.

ყველა ციფრულ მომხმარებელს აქვს როგორც უფლებები — უსაფრთხოება, წვდომა, გამოხატვის თავისუფლება და სხვ., ასევე გარკვეული პასუხისმგებლობები: ეთიკის ნორმების დაცვა, თანაზიარობა, თანაგრძნობა, უსაფრთხო ციფრული გარემოს ხელშეწყობა და სხვ.

პერსონალურ მონაცემთა დაცვა და უსაფრთხოება მოიცავს ორ განსხვავებულ კონცეფციას — როგორც საკუთარი, ასევე სხვათა ონლაინ ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვას. იგი მოიცავს ისეთ კომპეტენციებს, როგორებიცაა: ინფორმაციის მართვა და ინტერნეტის უსაფრთხოების საკითხები (მათ შორის, სანავიგაციო ფილტრები, პაროლები, ანტივირუსული პროგრამები და სხვა), სახიფათო ან უსიამოვნო სიტუაციების მართვა და თავიდან აცილება. სამომხმარებლო ცნობიერება დაკავშირებულია იმ ფაქტთან, რომ მსოფლიო ქსელი ფართო განზომილებაა, რომელიც მოიცავს სოციალურ მედიასა და სხვა ვირტუალურ სოციალურ სივრცეებს (Council of Europe, 2020).

3.3.2. უფლებები და პასუხისმგებლობები

ციფრული გარემო რთული გარემო გახდა, განსაკუთრებით მომხმარებლის უფლებებისა და პასუხისმგებლობის თვალსაზრისით. ციფრული მოქალაქეები უნდა იცნობდნენ და აცნობიერებდნენ საკუთარ ონლაინ უფლებებსა და პასუხისმგებლობებს, რათა არც თავად არ შელახონ სხვების უფლებები და

პასუხისმგებლობები და სხვა ადამიანის მხრიდან დარღვევის შემთხვევაში, შეძლონ სათანადო რეაგირება.

როგორც რეალურ სამოგადოებაში აქვთ მოქალაქეებს გარკვეული უფლებები და პასუხისმგებლობები, ასევე ციფრულ მოქალაქეებსაც ონლაინ სამოგადოებაში აქვთ გარკვეული უფლებები და პასუხისმგებლობები. ციფრულ მოქალაქეებს შეუძლიათ ისარგებლონ კონფიდენციალურობის, უსაფრთხოების, წვდომისა და ჩართვის უფლებებით, გამოხატვის თავისუფლებით და ა.შ. ამასთან, ამ უფლებებს თან ახლავს გარკვეული პასუხისმგებლობები, როგორიცაა ეთიკის ნორმების დაცვა და ემპათია და სხვა პასუხისმგებლობები, რომლებიც ემსახურება ყველასთვის უსაფრთხო და საიმედო ციფრული გარემოს უზრუნველყოფას.

შესაძლებელია, ინტერნეტი კონკრეტული იდეებისა და შეხედულებების დამკვიდრებისა და რეალიზების ხელშეწყობის მძლავრ ინსტრუმენტთან ერთად დესტრუქციული ინსტრუმენტიც იყოს, როდესაც მომხმარებლების უფლებები ილახება ან როდესაც მომხმარებლებს არ ეძლევათ საკუთარი უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობა. ინდივიდუალური მომხმარებლები, მთავრობები, წარმოება და სამოგადოებრივი ინსტიტუტები ვალდებული არიან შეინარჩუნონ ჯანსაღი ინტერნეტ სამოგადოება, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე.

სამართლიანი მონაწილეობის მექანიზმების შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს მომხმარებლებს შორის უფლებამოსილებების ოპტიმალურად განაწილებას, მომავლის მთავარი გამოწვევა იქნება. ამ მიზნით შესაძლებელია გამოვიყენოთ უკვე არსებული და დამკვიდრებული კარგი პრაქტიკა, როგორიცაა ვიკიპედია და ბლოკჩეინ ტექნოლოგია, რაც კონტროლისა და ძალაუფლების დეცენტრალიზაციის საშუალებას იძლევა, და „რეალური“ ონლაინ დემოკრატიის დამკვიდრებას უწყობს ხელს.

ინტერნეტ მომხმარებელს უნდა ჰქონდეს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა უფლებებით სარგებლობს და რა პროცედურებია გათვალისწინებული მისი უფლებების დარღვევის შემთხვევაში. მომხმარებელს ინფორმაციის მიწოდება მაშინაც შეუძლია, როცა ონლაინსივრცეში სხვა მომხმარებლების უფლებები ირღვევა. ყველა ასაკის ინტერნეტ მომხმარებელს უნდა ჰქონდეს ინფორმაცია სამი ძირითადი ღონისძიების შესახებ, რომლებიც ტარდება უფლებების დარღვევის შემთხვევაში: პირის მიერ გამოქვეყნებული მასალის უგულებელყოფა, შეურაცხყოფელი კომენტარის ავტორის დაბლოკვა, ან პირის შესახებ ინფორმაციის დანიშნულებისამებრ მიწოდება.

ფუნდამენტური ციფრული უფლებები საზოგადოების ყველა წევრსა და მოქალაქეზე ვრცელდება. თუმცა, ყველას არ აქვს თანაბარი წვდომა ინფორმაციაზე. შესაბამისად, მათ, ვისაც ნაკლები წვდომა აქვთ ინფორმაციაზე, გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობის ნაკლები შესაძლებლობაც შეიძლება ჰქონდეთ. იმ მოქალაქეებს, რომლებიც სხვებზე არიან დამოკიდებული ინფორმაციის მიღების კუთხით, თავისთავად ეზღუდებათ წვდომა ინფორმაციაზე.

გოგონებს, ქალებს, ეთნიკურ თუ სხვა უმცირესობათა ჯგუფების წარმომადგენლებს შეიძლება ნაკლები წვდომა ჰქონდეთ ინტერნეტ ტექნოლოგიაზე და, შესაბამისად, შეიზღუდოს მათი უფლებები. ისეთი ორგანიზაციები, როგორიცაა საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირი,⁵ რომელიც გოგონების მიერ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით სარგებლობისადმი მიძღვნილი საერთაშორისო დღის ორგანიზატორია, ცდილობს მსოფლიო მასშტაბით შექმნას გარემო, რომელიც წაახალისებს და საჭირო საშუალებებითა და უფლებებით უზრუნველყოფს გოგონებსა და ახალგაზრდა ქალებს, რომ მეტი ისწავლონ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შესახებ.

3.3.3 პერსონალურ მონაცემთა დაცვა და უსაფრთხოება

წინამდებარე ელემენტი მოიცავს პირადი სივრცის, იდენტობის მართვისა და კიბერუსაფრთხოების კონცეფციებს. თუ კონფიდენციალურობა ძირითადად ეხება როგორც საკუთარი, ასევე სხვების ინფორმაციის დაცვას, იდენტობის მართვა გულისხმობს ჩვენი ონლაინ პროფილის კონტროლს, უსაფრთხოება კი, უფრო მეტად უკავშირდება ადამიანის ინფორმირებულობას იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება ონლაინ სივრცეში მოქმედებებმა და ქცევამ საფრთხე შეუქმნას როგორც ჩვენს პირადი სივრცეს, ასევე ჩვენს იდენტობას. პირადი სივრცისა და უსაფრთხოების სფერო მოიცავს ისეთ კომპეტენციებს, როგორიცაა ინტერნეტში გაზიარებული ინფორმაციის ეფექტურად მართვა და ინსტრუმენტების გამოყენება (სანავიგაციო ფილტრები, პაროლები, ანტივირუსული და ეკრანული პროგრამები) საშიში ან უსიამოვნო სიტუაციების თავიდან ასაცილებლად ან ანონიმურობის გარკვეულწილად შესანარჩუნებლად.

კონფიდენციალურობა, მონაცემთა დაცვა და უსაფრთხოება მჭიდრო

⁵ <https://www.itu.int/en/about/Pages/default.aspx>

კავშირშია უფლებებთან, თავისუფლებებსა და პასუხისმგებლობასთან და საჭიროა მათ შესახებ ინფორმაცია მოზარდებს მაშინ მივაწოდოთ, როდესაც ისინი პირველ ნაბიჯებს დგამენ ინტერნეტ სივრცეში. იმ მომხმარებლებს, რომლებსაც კარგად აქვთ გაცნობიერებული საკუთარი პასუხისმგებლობა და ერკვევიან გამოწვევებში, უფრო მარტივად შეუძლიათ აღმოაჩინონ და თავიდან აირიდონ ონლაინ რისკები და საფრთხეები, დაიცვან საკუთარი მონაცემები და ციფრული იდენტობა და დაიცვან უსაფრთხოების ზომები, რაც მათ ციფრულ საქმიანობას უსაფრთხოს და მდგრადს ხდის, როგორც საკუთარი თავისთვის, ასევე სხვებისთვის. ინტერნეტ სივრცეში ყველას აქვს უფლება თავი უსაფრთხოდ და დაცულად იგრძნოს, მოითხოვოს მის მიერ გაზიარებული იდეებისადმი პატივისცემა და მის მიერ შექმნილი და გავრცელებული რესურსებისადმი სამართლიანი მოპყრობა. წვდომის უფლებას თან ახლავს მოლოდინები და პასუხისმგებლობები და სკოლა და ოჯახი მნიშვნელოვან როლს თამაშობს, რომ ახალგაზრდებმა შეძლონ ამ პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება.

მნიშვნელოვანია, რომ მოზარდებმა ციფრული იდენტობის მართვის სწავლა დაიწყონ ციფრულ სივრცეში პირველი ნაბიჯების გადადგმისთანავე და გააცნობიერონ, თუ რა მარტივად არის შესაძლებელი საკუთარ თავზე იმაზე მეტი ინფორმაციის გაცემა, ვიდრე სურდათ ან გეგმავდნენ. მათ კრიტიკულად უნდა გაიაზრონ, თუ მონაცემების რომელი ასპექტები განეკუთვნება პერსონალურ მონაცემებს, რომელი მონაცემების გაზიარებაა შესაძლებელი უსაფრთხოდ; რამდენად მნიშვნელოვანია გარემოებების გათვალისწინება და რამდენად უსაფრთხოა პერსონალური მონაცემების გაზიარება, მაგალითად, ოჯახის წევრებთან, თანაკლასელებთან, სპორტული კლუბის წევრთან, ექიმთან და სხვ. მას შემდეგ, რაც მოზარდები დამოუკიდებლად იწყებენ ონლაინ მომსახურებებზე წვდომას, მათ უნდა განსაზღვრონ, საკუთარი იდენტობის დაცვის მიზნით, როდის არის უსაფრთხო და კანონიერი ფსევდონიმების ან სხვადასხვა ანგარიშის, პროფილის ან ელ.ფოსტის მისამართის გამოყენება. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პირველი ნაბიჯი, რომელიც შეიძლება გასართობადაც კი მოეჩვენოთ მოზარდებს, არის პაროლების შექმნა, შეცვლა და მართვა. ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი ემსახურება კომპეტენტურ ციფრულ მოქალაქედ ჩამოყალიბებას, ციფრული მოქალაქეობისათვის საჭირო ფუნდამენტური კომპეტენციების შეძენას და ემყარება ცოდნის, ღირებულებებისა და დამოკიდებულებების მთელ სპექტრს.

3.3.4 კიბერუსაფრთხოება, როგორც მზარდი საფრთხე

დღეს ყველა ჩვენგანის, როგორც ციფრული მოქალაქის საერთო პასუხისმგებლობას წარმოადგენს, უსაფრთხო ონლაინ გარემოს შენარჩუნების ხელშეწყობა და მასზე ზრუნვა. კიბერსივრცეში უნებართვოდ მოქმედება, ე.წ. ჰაკერობა მზარდ გამოწვევას წარმოადგენს; შედარებით ცოტა რამ კეთდება იმისთვის, რომ მოსწავლეებმა გააცნობიერონ ამ ანტისოციალური ქცევის სიმძიმე, რომელიც რეალურ სივრცეში მწვავე კრიტიკის საგანია.

სპამს, ფიშინგს, ვირუსებს, ვირუსულ პროგრამებსა და ბოტებს მნიშვნელოვანი ზიანი მოაქვს. ციფრულ მოქალაქეებს შეუძლიათ თავი დაიცვან ამ საფრთხეებისგან, თუ იციან სად და როგორ შეარჩიონ და როგორ გამოიყენონ დამცავი საშუალებები. ჩვენი ციფრული გარემოს სწორი აღქმა და მასზე ზრუნვა ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც სახლისა და საცხოვრებელი გარემოს მოვლა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ინტერნეტი ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი და მნიშვნელოვანი ნაწილი ხდება. მდგრადობა, როგორც ონლაინ სივრცეში, ისევე რეალურ სივრცეში, ემყარება ცოდნასა და კრიტიკულ გააზრებას, ადამიანის უფლებებისა და ღირსების დაფასებას, რადგან ერთი ადამიანის დაუდევრობის გამო შეიძლება მთელ ოჯახს, სკოლას ან მთელ ქსელს საფრთხე დაემუქროს. თუკი მცირეწლოვნებს ვასწავლით რისკების მართვას ოჯახში, დასახლებასა თუ ქალაქში, ასევე უნდა ვასწავლოთ ონლაინ სივრცეში უსაფრთხო გარემოს შექმნა, საკუთარი და გარშემომყოფთა კეთილდღეობისთვის.

პირადი სივრცე და უსაფრთხოება ციფრული მოქალაქეობის შესახებ სწავლების მნიშვნელოვანი ასპექტებია, რომელთა უზრუნველყოფაც ხელისუფლების წარმომადგენლების, საგანმანათლებლო დაწესებულებების, ოჯახებისა და თავად მოზარდების მოვალეობაში შედის. როცა პირადი სივრცის უზრუნველყოფა და უსაფრთხოების პოლიტიკის გატარება საზოგადოების ყველა აგენტის საზრუნავია და მასთან დაკავშირებულ ასპექტებს სასკოლო სასწავლო პროგრამაც ითვალისწინებს, მოზარდები კომპეტენტურ ციფრულ მოქალაქეებად ყალიბდებიან, მეტი შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ საკუთარი უფლებებით და ციფრულ სივრცესა და ციფრულ ეპოქაში პასუხისმგებლობით იმოქმედონ. მუდმივად მზარდი ჩანაწერების, ე.წ. ბლოკჩეინის ტექნოლოგია შესაძლებელია შეტანილი იქნას განათლების დღის წესრიგში, რაც უზრუნველყოფს მრავალი ისეთი დილემისა და გამოწვევის შედარებით მარტივ გამოსავალს, რომლებიც უკავშირდება კონფიდენციალურობას, მონაცემთა დაცვას, ციფრული იდენტობის მართვასა და კიბერუსაფრთხოებას.

მოზარდები ადრეული ასაკიდან იწყებენ იმის გაცნობიერებას, თუ როგორ ფუნქციონირებს საზოგადოება, პირადი სივრცის, იდენტობის მართვისა და უსაფრთხოების მიმართულებით. პირადი სივრცე მჭიდრო კავშირშია ცხოვრების ადრეულ გამოცდილებასთან, როდესაც ვიწყებთ ოჯახის მიღმა არსებული სამყაროს აღქმას. ეს იდეალური შესაძლებლობაა გავეცნოთ ისეთ ცნებებს, როგორიცაა გაზიარება, ემპათია, სიფრთხილე და იმ ფაქტს, რომ არსებობს რაღაც, რაც ადამიანმა მხოლოდ თავისთვის უნდა დაიტოვოს. საკუთარი და გარშემო მყოფი ადამიანების პროფილის შესწავლა საშუალებას გვაძლევს გავეცნოთ მრავალფეროვნებისა და ინკლუზიის ცნებებს, განვივითაროთ მოსმენისა და დაკვირვების უნარები, კულტურული განსხვავებებისადმი ღიაობა; ამ პროცესში შესაბამისი პედაგოგიკური მიდგომების გამოყენება, მოზარდებს საკუთარი თვითმყოფადობის ჩამოყალიბებაში დაეხმარება. მაღალი კლასის მოსწავლეები სწრაფად ეცნობიან ორმაგ სტანდარტებს, რომელიც უკავშირდება პირადი სივრცეს როგორც ონლაინ, ასევე რეალურ ცხოვრებაში.

მშობლები და პედაგოგები აწვდიან მოზარდებს ინფორმაციას საგზაო უსაფრთხოების შესახებ და ამგვარად უზრუნველყოფენ მათ უსაფრთხოებას დამოუკიდებლობის ასაკამდე, თუმცა, ხშირად მცირეწლოვანი ბავშვებიც თავისუფლად დახეტიალობენ ონლაინ სივრცეში, რომელიც გაცილებით მასშტაბური და სახიფათოა, ვიდრე ნებისმიერ ქალაქი თუ ქუჩა. საკუთარი თავის დაცვა, პირადი სივრცე და უსაფრთხოება უნდა ისწავლებოდეს ასაკის შესაბამისი (მათ შორის, გასართობი ხასიათის) აქტივობებით, იმ მომენტიდან, როდესაც მოზარდები ინტერნეტთან მიერთებულ მოწყობილობასთან იწყებენ ურთიერთობას. ამის შემდეგ, თანმიმდევრული სწავლებით, მათ შეუძლიათ პასუხისმგებლობით იმოგზაურონ ონლაინ სივრცეში, სანამ ციფრულ სამყაროში დამოუკიდებლად შესაბამისად მზად არ იქნებიან.

უსაფრთხოება ასევე გულისხმობს სხვებზე ზრუნვას და აქტიური წვლილის შეტანას ციფრული გარემოს პოზიტიურ ცვლილებაში. მნიშვნელოვანია, რომ მოზარდები გაეცნონ უსაფრთხოების დადებით მხარეს — გარემოს, რომელიც საშუალებას გვაძლევს ვენდოთ და პატივი ვცეთ ერთმანეთს და აქტიურად ვიმოქმედოთ სხვების კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად.

3.3.5 ეთიკური საკითხები და რისკები

ანონიმურობა ხშირად ხდება ბევრი გამოწვევისა და რისკის საფუძველი, რომლებიც ინტერნეტით ურთიერთობისას წარმოიშობა და რომელიც მჭიდროდ უკავშირდება ანგარიშვალდებულებას. როდესაც ინტერნეტ მომხმარებელი მიიჩნევს, რომ მისი ქმედებების იდენტიფიცირება მის პიროვნებასთან შეუძლებელია, შესაძლებელია რადიკალურად განსხვავებულად (მათ შორის, მიუღებლად) მოიქცეს. ეთიკური ქცევა, ანონიმურად დარჩენის შემთხვევაში, უფრო მეტად არის ორიენტირებული სამართლიანობისა და კეთილსინდისიერების ფასეულობებზე, რაც, თავის მხრივ, ემყარება ადამიანის ღირსებისა და ადამიანის უფლებების პატივისცემას, მოქალაქეობრივ აზროვნებასა და საკუთარი თავისა და სხვების მიმართ პასუხისმგებლობითა და პატივისცემით მოპყრობას.

პირადი სივრცე მუდმივად განვითარებადი ცნებაა. რაც უფრო ღრმად და ფართოდ იჭრება ჩვენს ცხოვრებაში თანამედროვე ტექნოლოგიები, ე.წ. ნორმალიზაციის პროცესის საშუალებით, ჩვენთვის თანდათან მისაღები ხდება განსხვავებული (ხშირად დაბალი) სტანდარტები ან ღირებულებები. ბავშვის უფლებათა შესახებ გაეროს კონვენციის მე-16 მუხლში (გაერო, 1989) ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ბავშვები სარგებლობენ პერსონალური ინფორმაციის დაცვის უფლებით. თანამედროვე საზოგადოების საფიქრალია, რომ არ მოხდეს ამ უფლების დარღვევა, ჩვენს ცხოვრებაში თანამედროვე ტექნოლოგიების ასეთი მასშტაბით შემოჭრისა და პირადი სივრცისა და ციფრული კულტურის შესახებ სწავლების დეფიციტის ფონზე.

3.3.6 სამომხმარებლო ცნობიერება

უმნიშვნელოვანესია, ყველა ადამიანს კარგად ჰქონდეს გაცნობიერებული საკუთარი – როგორც საქონლისა და მომსახურების მომხმარებლის – უფლებები. მომხმარებელთა განათლება გულისხმობს ორ ასპექტს: მომხმარებელთა უფლებების შესახებ ცოდნას და ამ უფლებებისა და პასუხისმგებლობების გამოყენებას, იმ შემთხვევაში, თუ ხდება პროდუქტებითა და მომსახურების საშუალებით მათი ექსპლუატაცია ან სხვა ადამიანების უფლებების შელახვა.

დღევანდელ საზოგადოებაში ინტერნეტი შეიძლება გამოვიყენოთ როგორც ინსტრუმენტი, რომელიც ციფრულ მოქალაქეებს ეხმარება გაერკვნენ საკუთარ არჩევანში, როგორც მომხმარებლები. ის ასევე

ეხმარება ციფრულ მოქალაქეებს მოითხოვონ საკუთარი უფლებების დაცვა. მომხმარებელთა განათლების მიმართულებით წარმოებული ზოგიერთი კამპანია წარმატებით იყენებს ამ მედიას ფართო საზოგადოებაზე წვდომისთვის. თანამედროვე პირობებში ინტერნეტს შეუძლია გლობალური მასშტაბითა და სწრაფი ტემპით უზრუნველყოს ცნობადობის ამაღლება.

ციფრული მოქალაქეები, რომლებსაც მომხმარებლისთვის საჭირო ცოდნა აქვთ, მოხმარების მდგრადი კონცეფციის გამოყენების უნარიც აქვთ, რომელიც ორიენტირებულია კეთილდღეობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე. ცნების — „მომხმარებელი-მოქალაქე“ — მნიშვნელობა იზრდება და ამის უგულებელყოფა შეუძლებელია, რადგან ადამიანები არჩევენ აკეთებენ ეთიკური, სოციალური, ეკონომიკური ან ეკოლოგიური შეხედულებების საფუძველზე. ნორვეგიის გამოყენებითი მეცნიერების უნივერსიტეტმა შეიმუშავა „სამომხმარებლო მოქალაქეობის სწავლების“ სახელმძღვანელო მითითებები (The Consumer Citizenship Network, 2005).

სამომხმარებლო მოქალაქეობის კონცეფციას საფუძველი ჩაეყარა კანადაში და იგი საკმაოდ სწრაფი ტემპით მკვიდრდება, როგორც რეალურ ასევე ონლაინ სივრცეში, გლობალიზაციასთან დაკავშირებული შესაძლებლობებისა და რისკების ზრდის ფონზე. მდგრადი მოხმარების შესახებ სწავლების ძირითადი შედეგების მისადაგება შესაძლებელია ევროპის საბჭოს მიერ შემუშავებული დემოკრატიული კულტურის კომპეტენციებთან: ღირებულებები, დამოკიდებულებები, ცოდნა და კრიტიკული გააზრება (ევროპის საბჭო, 2018).

- მომხმარებლებს უნდა ჰქონდეთ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ონლაინვაჭრობა მოითხოვს უსაფრთხოების დამატებით ზომებს, არა მხოლოდ ფინანსური მონაცემების უსაფრთხოების, არამედ მომხმარებლის იდენტობისა და არჩევანის კონფიდენციალურობის უზრუნველსაყოფადაც.
- ყველა ტექნოლოგიური მოწყობილობა აღჭურვილი უნდა იყოს უსაფრთხოების უახლესი პარამეტრების შესაბამისად და მომხმარებლებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ სშირად, ვებგვერდის ან პლატფორმის განახლების შემდეგ, მათი პარამეტრები უბრუნდება საწყის მდგომარეობას, ე.ი. სტანდარტულ რეჟიმს.
- ონლაინ შესყიდვების წარმოებისას რეკომენდებულია ცალკე

საკრედიტო ბარათით სარგებლობა, რომელიც მხოლოდ ონლაინ შესყიდვების განსახორციელებლად იქნება განკუთვნილი და გაამარტივებს მის მონიტორინგს.

- მომხმარებელი საჭიროა დარწმუნდეს, რომ ველი, სადაც ონლაინ გადახდა ხორციელდება, დაშიფრულია.
- რეკომენდებულია პოპულარული და კარგი რეპუტაციის მქონე ვებგვერდების გამოყენება და საჭიროა მოვერიდოთ საეჭვო შეთავაზებებს, რომლებიც ზედმეტად მიმზიდველი ჩანს იმისთვის, რომ რეალურად არსებობდეს.
- შეძენამდე, საჭიროა გავეცნოთ მომხმარებელთა უფლებებს: იძლევა ვებგვერდი თანხის უკან დაბრუნების გარანტიას, გვთავაზობს კომპენსაციას, ან ზარალის რაიმე ფორმით ანაზღაურების მეთოდს?
- საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ არსებობს ონლაინ საქმიანობის მოდელები, რომლებიც მომხმარებელს შეთავაზებული კონტენტისა თუ მომსახურებისთვის არაპირდაპირი გზით აკისრებს გადასახადს, არ უბრუნველყოფს მომხმარებლის დაცვას და უგულებელყოფს მომხმარებელთა უფლებებს (რომელიც წარმოიშობა კონტენტის და/ან მომსახურების საფასურის გადახდის დროს). სხვა მაგალითები მოიცავს მომხმარებლის მონაცემების გაზიარებას, რეკლამის თავსმოხვევას, ან თუნდაც მომხმარებლის საძიებო სისტემის საშუალებით კრიპტოვალუტის მოპოვებას, იმ დროს, როდესაც მომხმარებელი ათვალისწინებს ვებგვერდს. არც ერთი ზემოთ ჩამოთვლილი ქცევა თავისთავად „დანაშაულებრივი“ არ არის, თუმცა, საჭიროა ზომიერების დაცვა, რეკლამებით გადატვირთვის თავიდან ასაცილებლად.
- ონლაინმეწარმეებმა უნდა შესთავაზონ მომხმარებლებს მათთვის მარტივად აღსაქმელ ენაზე ჩამოყალიბებული წესები და პირობები, აგრეთვე არჩევანის გაცემების შესაბამისი ფუნქციები.

თავი IV – ციფრული მოქალაქეობა სასკოლო კურიკულუმებში

წინამდებარე თავში დასაბუთებულია ციფრული მოქალაქეობის სწავლების მნიშვნელობა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში და გაანალიზებულია ამ მიმართულებით ცნობილი საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია Common Sense Education-ის⁶ მიდგომები ციფრული მოქალაქეობის სწავლებისადმი, კემბრიჯის ციფრული წიგნიერების სასწავლო პროგრამა და საქართველოს ეროვნული კურიკულუმი/მესამე თაობის ეროვნულ სასაწავლო გეგმა.

4.1. Common Sense Education-ის მიდგომა ციფრული მოქალაქეობის კურიკულუმისადმი

ბოლო ათწლეულის განმავლობაში ციფრული და სოციალური ტექნოლოგიები სულ უფრო ფართოდ ვრცელდება და დღეს უკვე შეუცვლელი იარაღია ჩვენს გლობალურ სამყაროში ნავიგაციისთვის. თანამედროვე სამყაროში სკოლა აღარ შემოიფარგლება მხოლოდ ფიზიკური გარემოთი, ოთხი კედლითა და ზარის დარეკვით. სოციალური ურთიერთობების წრე გაფართოვდა და პირისპირ კავშირებს სულ უფრო მეტად ანაცვლებს ვირტუალური ურთიერთობები. ინფორმაციის მოძიების ძირითადი წყარო ინტერნეტი ხდება.

Common Sense Education-ის დაკვეთით ჩატარებული კვლევები ადასტურებს, რომ მოზარდები მედია და ციფრული ტექნოლოგიებს ადრეული ასაკიდანვე მოიხმარენ. 8 წლისა და უმცროსი ასაკის ბავშვების თითქმის 98%—ს ოჯახში აქვს მობილური მოწყობილობა და ტელევიზია, ხოლო ბავშვების 42 %—ს — საკუთარი ტაბლეტი. 5-დან 8 წლამდე ბავშვები დღეში საშუალოდ სამ საათს ატარებენ ე.წ. ეკრანულ მედიასთან (ინგლ. screen media), აქედან დაახლოებით ერთ საათს უთმობენ მობილურ ტელეფონთან ურთიერთობას (Rideout, The Common Sense Census: Media Use By Kids Age Zero To Eight, 2017). 8-დან 12 წლამდე ბავშვები საშუალოდ ექვს საათს ატარებენ ონლაინ სივრცეში, ხოლო 13-დან 18 წლამდე ასაკის მოზარდების შემთხვევაში ეს დრო ცხრა საათამდე იზრდება (Rideout & Robb, 2018).

ანდერსონისა და იანგის კვლევის მიხედვით თინეიჯერების 45%—ი „თითქმის მუდმივად“ არის ონლაინრეჟიმში (Anderson & Jiang, 2018).

გამოკითხულ მოზარდთა დიდი ნაწილი ხარჯავს დროს ტელევიზორის

⁶ ქართ. „სალი აზრის ჩამოყალიბება“. ორგანიზაციის ვებმისამართი: <https://www.commonsense.org/education>

ყურებასა და მუსიკის მოსმენაში, ასევე ბევრი ხვდება ისეთ კატეგორიებში, როგორიცაა ვიდეოთამაშები, სოციალური ქსელი, გეიმერი, მკითხველი, ე.წ. მძიმე მაყურებელი (ინგლ. Heavy viewer) და მსუბუქი მომხმარებელი (ინგლ. light user). კვლევაში ინტერნეტის მომხმარებელთა საინტერესო მონაცემებია განხილული გენდერულ ჭრილში — ბიჭების უმრავლესობა უმეტეს დროს უთმობს ვიდეოთამაშებს, ხოლო გოგონების – სოციალურ მედიას (Lauricella, Wartella, & Rideout, 2015).

დღეს ახალგაზრდების ონლაინ იდენტობა უფრო მეტად ანონიმურობასთანაა დაკავშირებული, ვიდრე მათ ნამდვილ სახელებთან და რეალურ იდენტობასთან (Reich, Subrahmanyam, & Espinoza, 2012) (Zhao, Grasmuck, & Martin, 2008). ისინი სულ უფრო მეტად ქმნიან/ტოვებენ ციფრულ ნაკვალევს – წინასწარი დაგეგმვის გარეშე იღებენ სურათებს, ტვირთავენ ჯგუფურ ფოტოებს და ერთმანეთს ნიშნავენ პოსტებში. მათ მიერ აპლიკაციების გამოყენება მუდმივად ცვალებადი გამოწვევაა: მოზარდები პერიოდულად აღმოაჩენენ ახალ აპლიკაციებს და გადაინაცვლებენ ხოლმე მათში. ისინი იყენებენ აპის არსებულ ფუნქციებს ახლებურად (მაგ., გეოლოკაციის გამოყენებით სოციალური შეხვედრების რეალურ დროში დაკვირვება; სურათებში არარსებული მეგობრების მონიშვნა, რათა მათ მიიღონ შეტყობინება, აპების გამოყენება მრავალი ანგარიშის სამართავად, რათა შეძლონ აუდიტორიის გამიზნულად გაცოფა და სხვ.).

სწორია ახალგაზრდების მიერ ისეთი აპლიკაციების გამოყენება, რომელთა კონტენტი დროებითია (მაგ., სურათები ქრება რამდენიმე წამში) და ასევე საყურადღებოა ისეთი აპლიკაციებისადმი ინტერესი, რომლებიც მათ საშუალებას აძლევს მოიძიონ და გაცვალონ ანონიმური ურთიერთშეფასება/უკუკავშირი ისეთ ფაქტზე და მნიშვნელოვან კითხვებზე, როგორიცაა „მიმზიდველი ვარ?“, „მართლა მოვწონვარ ხალხს?“ და „მართლა მეგობრები ვართ?“

ახალგაზრდების ციფრულ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ე.წ. ღია სამყარო (ინგლ. Wider world) – ამჟამინდელი მედიის კონტექსტი, ყალბი ახალი ამბები, პოლიტიკური პოლარიზაცია და აქტიურობა ისეთი გადაუდებელი საზოგადოებრივი საკითხების გარშემო, როგორიცაა იარაღის კონტროლი, იმიგრაცია, სექსუალური შევიწროება, სიძულვილის ენა და რასიზმი, რაც მოიცავს დინამიურ ციფრულ კომპონენტს (Kahne, Middaugh, & Allen, 2015).

ამ გამოწვევების მიუხედავად, მოზარდთა უმრავლესობას დადებითი მოსაზრებები აქვს სოციალური მედიის გავლენის შესახებ. თინეიჯერების აზრით,

სოციალურმა მედიამ მათზე უფრო დადებითად იმოქმედა, ვიდრე უარყოფითად. ისინი თავს ნაკლებად მარტოსულად გრძნობენ, ბედნიერები არიან და მეგობრებთანაც დაახლოვდნენ (Rideout & Robb, 2018).

იმ თინეიჯერებს, რომლებიც სოციალური მედიის უარყოფით მხარეებზე ამხივნილებენ ყურადღებას, მაგალითად მოჰყავთ ბულინგი და ჭორების გავრცელება, ადამიანებს შორის პირისპირ ურთიერთობების მოშლა, იმის განცდა, რომ სოციალური მედია რეალურ ცხოვრებას აშორებს და სოციალურ აპლიკაციებს გაუმართლებლად დიდ დროს უთმობენ (Anderson & Jiang, 2018).

ამ გამოწვევებით საგსე გარემოში ზრდასრულები (ოჯახის წევრები და პედაგოგები) გადამწყვეტ როლს თამაშობენ ახალგაზრდების ციფრულ სამყაროში დაკვალიანებაში. ეხმარებიან მათ ინტერნეტში ნავიგაციაში, ონლაინ კონფიდენციალურობის დაცვაში, გაზიარებისთვის შესაბამისი და შეუსაბამო ინფორმაციის გარჩევაში, ონლაინ კომუნიკაციის დამყარებაში, ონლაინ ინფორმაციისა და სიახლეების მოძებნასა და გაზიარებაში და, ზოგადად, თანამედროვე ურთიერთდაკავშირებულ ონლაინ სამყაროში მონაწილეობაში. ციფრულ სამყაროში ქცევის წესების სწავლება, რომლის მიზანი მოაზროვნე ციფრული მოქალაქის ჩამოყალიბებაა, ადრეული ასაკიდან უნდა დაიწყოს.

კვლევების საფუძველზე გამოკვეთილი გამოწვევების საპასუხოდ Common Sense Education-ის მიერ შემუშავდა ციფრული მოქალაქეობის კურიკულუმი.

4.1.1. Common Sense Education-ის ციფრული მოქალაქეობის კურიკულუმის შინაარსი და სტრუქტურა

2010 წელს Common Sense Education-მა ჰარვარდის უნივერსიტეტის განათლების სკოლის მკვლევრებთან თანამშრომლობით, პროექტ Zero—ს⁷ ფარგლებში, კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, შეიმუშავა ციფრული მოქალაქეობის პირველი კურიკულუმი, რომლის განახლებაზე და განვითარებაზე კვლევის ჯგუფმა 2017 წელს განაგრძო მუშაობა. ციფრული მოქალაქეობის განახლებული კურიკულუმი გვთავაზობს ახალ შინაარსს, რაც, კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, ექსპერტებმა იმ ეტაპისთვის მიიჩნიეს მნიშვნელოვნად და გადაუდებლად. განახლებული კურიკულუმი მიზნად ისახავს ციფრული მოქალაქეობის შესახებ არა მხოლოდ თეორიული ცოდნის მიწოდებას, არამედ ციფრულ სამყაროში ადაპტაციისთვის საჭირო უპროექტ Zero-ს მისია ისეთი ადამიანური პოტენციალის გაცემა და განვითარება, როგორიცაა სწავლა, აზროვნება, ეთიკა, ინტელექტი და შემოქმედება. ის სწავლობს ამგვარი პოტენციალის ბუნებას, კონტექსტსა და განვითარების პირობებს. ის შექმნა ჰარვარდის უნივერსიტეტის განათლების სკოლის ფილოსოფოსმა ნელსონ გუდმანმა (Nelson Goodman) 1967 წელს.

უნარებისა და განწყობა-დამოკიდებულებების განვითარებას ახალგაზრდებში. განახლებული კურიკულუმის შემუშავებელმა ჯგუფმა მიზნად დაისახა ციფრული მოქალაქეობის ისეთი კურიკულუმის განვითარება, რომელიც ახალგაზრდებში ისეთი უნარების განვითარებას შეუწყობდა ხელს, როგორიცაა კარგი პაროლის შექმნა, კონფიდენციალურობის პარამეტრების შეცვლა ან ონლაინ წყაროების სანდოობის შეფასება, თანმიმდევრული აზრის გამოხატვა, ფიშინგისა და კლიკბეიტ-ვებგვერდების იდენტიფიცირება, ასევე პოტენციური ციფრული დილემების, სახიფათო გადაწყვეტილების ამოცნობა და ეთიკურ პრინციპებზე დაფუძნებული პასუხის გაცემა. განახლებული კურიკულუმი უნდა დახმარებოდა მოსწავლეებს საკუთარი არასასურველი ონლაინ ქცევის შედეგებზე ფიქრში, ამ ქცევის შედეგების შერბილებაში და სხვ.

საბოლოო ჯამში, კურიკულუმის ავტორთა ჯგუფის მიზანი იყო, დახმარებოდნენ ახალგაზრდებს ონლაინ ცხოვრებაში გააზრებული, პასუხისმგებლიანი და ეთიკური გადაწყვეტილებების მიღებაში.

განახლებული სასწავლო გეგმის ქვაკუთხედი

Common Sense Education-ის ციფრული მოქალაქეობის კურიკულუმის საყრდენს ქმნის: **დისპოზიციური მიდგომა, პასუხისმგებლობის ჯაჭვის ჩარჩო და სამგვარი პერსპექტიული პედაგოგიკა**. ეს ერთიანი ქვაკუთხედი საკოლის ყველა საფეხურზე და ყველა თემამე სამუშაოდ.

განახლებული კურიკულუმი მიზნად ისახავდა ციფრული მოქალაქეობის ხუთი საკვანძო უნარის მხარდაჭერას მოსწავლეთა ცხოვრების ყველა სფეროში. ეს უნარები შეტანილია სასწავლო გეგმაში და ვითარდება საგაკვეთილო აქტივობების საშუალებით. თითოეული გაკვეთილი ხელს უწყობს ერთი ან რამდენიმე უნარის განვითარებას.⁸

⁸ <https://www.common sense.org/education/digital-citizenship>

ციფრული მოქალაქეობის ხუთი საკვანძო უნარი	
უნარები	ნაბიჯები, რომელთა გადამდგმაც შეგიძლიათ
შეჩერდი და დაფიქრდი	• ყურადღება მიაქციეთ საკუთარ ინტუიციას • განზე გადადეთ პირველი შთაბეჭდილება • გაითვალისწინეთ სიტუაციის სირთულე • ჩამოიყალიბეთ ჩვევები • ყურადღება მიაქციეთ „წითელ ალმებს“⁹ საკუთარ გრძნობებში
აღმოაჩინე პერსპექტივები	• იყავით ცნობისმოყვარე და გონებაგახსნილი • დაფიქრდით სხვების შეხედულებებზე • იზრუნეთ სხვის გრძნობებზე • აწონ-დაწონეთ როგორც თქვენი, ასევე სხვათა ღირებულებები და პრიორიტეტები • გაითვალისწინეთ მორალური, ეთიკური და სამოქალაქო პასუხისმგებლობები
მოიძიე ფაქტები და მტკიცებულებები	• შეისწავლეთ და გამოავლინეთ შესაბამისი ფაქტები • მოიძიეთ და შეაფასეთ ინფორმაცია მრავალი სანდო წყაროდან • აწონეთ მტკიცებულებები სხვადასხვა წყაროდან
განიხილე ვარიანტები და შესაძლო გავლენები	• წარმოიდგინეთ შესაძლო ქმედებები • დაფიქრდით, სხვადასხვა არჩევანი როგორ აისახება ღირებულებებსა და მიზნებზე • აიღეთ გაცნობიერებული პასუხისმგებლობა როგორც საკუთარ თავზე, ასევე სხვებზე • შეაფასეთ შესაძლო გავლენა
იმოქმედე	• ისეთი რამ გააკეთე, რაც თავს პოზიტიურად და პროდუქტულად გავრძნობინებს • შეცვალეთ ციფრული ჩვევები კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად • საჭიროების შემთხვევაში, ითხოვეთ დახმარება • იყავით სხვების მოკავშირე და დამხმარე

პასუხისმგებლობის ჯაჭვი

ადამიანის ციფრული ტექნოლოგიის ჩვევები და ქმედებები გავლენას ახდენს თვით მასზე, მის მეგობრებსა და ოჯახზე და, მთლიანობაში, საზოგადოებზე. „პასუხისმგებლობის ჯაჭვის“ ჩარჩო გვეხმარება განვიხილოთ პირადი კეთილდღეობა მორალური, ეთიკური და სამოქალაქო მასშტაბით. მისი რგოლები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინტერნეტში ეთიკური არჩევანის გაკეთებისას (James, Weinstein, & Mendoza, 2021). Common Sense Education—ი

⁹ „წითელი ალმები“ — ეს ტერმინი გამოიყენება საბაზო და საშუალო სკოლის გაკვეთილის გეგმებში და ნიშნავს ციფრულ მედიაში ისეთ მოვლენას, რომელიც უსიამოვნებას, შფოთს, სევდას ან ბრძანს გავრძნობინებთ.

პასუხისმგებლობის რგოლებს კურიკულუმის შემუშავებისას ლინზებად იყენებს და ყურადღებას ამახვილებს ისეთ ასპექტებზე, როგორიცაა „პერსპექტივების შესწავლა” და „ვარიანტების და პოტენციური ზემოქმედების გათვალისწინება”.

პერსპექტიული პედაგოგიკა

ციფრული მოქალაქეობის განახლებული სასწავლო პროგრამა მოიცავს აზროვნების რუტინას/ჩვევებს, ავთენტურ საქმიანობასა და ციფრულ დილემებს, როგორც მნიშვნელოვან პედაგოგიურ ინსტრუმენტს ციფრული მოქალაქეობის უნარებისა და დამოკიდებულების ჩამოსაყალიბებლად. საბაზო და საშუალო საფეხურზე ამ ინსტრუმენტების გამოყენება წაახალისებს მოსწავლეებს განივითარონ ციფრული მოქალაქეობის კომპეტენციები.

აზროვნების წესი

აზროვნების წესები ადვილად დასამახსოვრებელი სტრუქტურებია, რომლებიც ჩვენს აზროვნებას აფართოვებს და დეტალებზე ყურადღების გამახვილების საშუალებას აძლევს (Ritchhart & Church, *The Power of Making Thinking Visible: Practices to Engage and Empower All Learners*, 2020); (Ritchhart & Perkins, 2008). განახლებული სასწავლო გეგმის ძირითადი მიზანი არის აზროვნების წესის ჩამოყალიბება, რაც მოსწავლეებს ციფრული მოქალაქეობის ხუთი წამყვანი უნარის განვითარებაში დაეხმარება. მოსწავლეებს ხშირად სჭირდებათ შეხსენება, რომ ციფრული ცხოვრებისას გამოიყენონ შემდეგი დევიზი „შეჩერდი, დაფიქრდი და იმოქმედე”. განახლებულ კურიკულუმზე აგებული გაკვეთილები მიმართულია მოსწავლეებში სწორედ ასეთი აზროვნებისა და დამოკიდებულების განვითარებაზე.

საბაზო და საშუალო საფეხურის რამდენიმე გაკვეთილი ისეა აგებული, რომ მოსწავლეებმა ყურადღება მიაქციონ საკუთარ ემოციებში „წითელ ალმებს“, გაანალიზონ სიტუაციები, სადაც თავს უსიამოვნოდ, შემფოთებულად, მოწყენილად ან გაბრაზებულად გრძნობენ. გამოიყენონ სააზროვნო რეჟიმი – „შეჩერდი, დაფიქრდი, იმოქმედე” და მის საფუძველზე მიიღონ ფრთხილი გადაწყვეტილება, გააკეთონ არჩევანი.

გთავაზობთ ერთ მაგალითს კურიკულუმიდან:¹⁰

აზროვნების წესის გამოყენების მაგალითი

მეშვიდე კლასის გავრცელებულ „ჩემი ცხოვრება სოციალურ მედიაში“, მოსწავლეები ანალიზებენ, სოციალური მედიის გამოყენებას რა დადებითი და უარყოფითი გავლენა შეიძლება ჰქონდეს მეგობრებთან, ოჯახის წევრებთან თუ საზოგადოებასთან ურთიერთობისას. გავრცელებული ეხმარება მოსწავლეებს გაცნობიერონ „წითელი ალმები“ საკუთარ გრძნობებში — ის მომენტები, როდესაც სოციალური მედია იწვევს ნეგატიურ გრძნობებსა და აზრებს. მოსწავლეებს სთავაზობენ გამოიყენონ აზროვნების წესი: „იგრძენი, განსაზღვრე, გაანალიზე, მიიღე გადაწყვეტილება და იმოქმედე“.

გრძნობა: ყური დაუგდეთ საკუთარ ემოციებს: თავს მოწყენილად გრძნობთ, შფოთავთ, ეჭვიანობთ, უხერხულობას გრძნობთ თუ სხვა ემოციას განიცდით?

განსაზღვრა: რამ გამოიწვია ეს განცდა? დაადგინეთ მიზეზი: თქვენი ან სხვისი ნათქვამის ან ნამოქმედარის შედეგია?

ანალიზი: იფიქრეთ შესაძლო რეაქციაზე: საპასუხო ქმედებების რა არჩევანი გაქვს? თითოეულ თქვენს ნაბიჯს რა საფარადლო სარგებელი და ზიანი ექნება თქვენთვის ან სხვისთვის?

გადაწყვეტილების მიღება: მზად ხარ მიიღო ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც სასარგებლო იქნება როგორც შენთვის, ასევე სხვებისთვის?

მოქმედება: ვის მოუტანს სარგებელს შენი მოქმედება? მხოლოდ შენ თუ სხვებსაც?

ეს კონკრეტული აზროვნების წესი მოითხოვს „დაფიქრებას“, „სხვადასხვა პერსპექტივის შესწავლას“, „ვარიანტებისა და შესაძლო ზემოქმედების განხილვას“ და „საპასუხო მოქმედებას“.

ავთენტური აქტივობები

სასწავლო პროგრამაში გამოყენებული კიდევ ერთი პედაგოგიური ინსტრუმენტია ავთენტური საქმიანობა, რომელიც მიზნად ისახავს მოსწავლეებში ციფრული მოქალაქეობის უნარებისა და განწყობების განვითარებას მათ ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე დაყრდნობით. კერძოდ, მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს რეალურ ცხოვრებასთან დაკავშირებულ სიტუაციებს, ეხმარება „შეისწავლონ სხვადასხვა პერსპექტივები“, „გაითვალისწინონ ვარიანტები და შესაძლო გავლენა“.

¹⁰ <https://www.common sense.org/education>

ქვემოთ მოცემულ ცხრილში გთავაზობთ ავთენტური აქტივობის რამდენიმე მაგალითს:¹¹

ავთენტური აქტივობის მაგალითები	
სურათის ანალიზი	მოსწავლეები კრიტიკულად შეისწავლიან სურათებს, რომელის ონლაინ ან სოციალურ ქსელში არსებულის სიმულაციაა. ეს ეხმარება მოსწავლეებს მისდიონ ციფრული ცხოვრების დევიზს: „შეჩერდი, დაფიქრდი“.
პირადი გამოწვევები	მოსწავლეები აცალიბენ ინდივიდუალურ მიზნებსა და გამოწვევებს, რომლებიც ხელს უწყობს პოზიტიურ ცვლილებებს და რომლებიც რეალისტურია.
სცენარები	მოსწავლეები განიხილავენ პატარა მოთხრობებს, რომლის პერსონაჟებმოსწავლეებისთვის კარგად ნაცნობ სიტუაციებში არიან.
საწყისი შეთავაზებები	მოსწავლეები სწავლობენ ონლაინ ენას, რათა ერთმანეთს გაუზიარონ საკუთარი აზრები, დამოკიდებულებები, დაამყარონ ურთიერთობა, უპასუხონ ისეთ კითხვებსაც კი, რომლებიც მათში უსიამოვნებას/უხერხულობას იწვევს და სხვ.
სოკრატული სემინარები	ჯგუფური განხილვის ფორმატში მოსწავლეები მსჯელობენ ტექსტში მოცემულ იდეებზე. ვარჯიშობენ ერთმანეთის მოსამენასა და საერთო ენის გამონახვაში.
ვიდეოები	მოსწავლეები უყურებენ ვიდეოებს, სადაც მათი თანატოლები უზიარებენ საკუთარი ონლაინ ცხოვრების რეალურ/ავთენტურ სიტუაციებს. ასეთი ვიდეოები წახალისებს მათ იმსჯელონ სხვადასხვა საკითხზე.

ციფრული დრამა

ონლაინ ცხოვრებაში მოზარდები აწყდებიან სიტუაციებს, როდესაც მიღებული გადაწყვეტილება ერთმნიშვნელოვნად სწორი ან არასწორი არ არის. მათ უწევთ ამ დილემების გადაჭრა, რაც მდიდარ საგანმანათლებლო შესაძლებლობებს უქმნის, უვითარებს ციფრული ცხოვრებისთვის მნიშვნელოვან განწყობებს. „ციფრული დილემა“ საუკეთესო საშუალებაა ქსელურ/ონლაინ ცხოვრებაში წარმოქმნილი სიტუაციების განსახილველად.

¹¹ <https://www.commonsense.org/education>

4.1.2. Common Sense Education—ის სასწავლო გეგმის მიმოხილვა

როგორც ზემოთ აღინიშნა, Common Sense Education-ის განახლებულ სასწავლო გეგმაში საკითხები Project Zero-ს¹² ფარგლებში ჩატარებული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შეიტანეს. ციფრული მოქალაქეობის სასწავლო პროგრამა საშუალებას აძლევს მოსწავლეებს იაზროვნონ კრიტიკულად, იმოქმედონ უსაფრთხოდ და პასუხისმგებლობით მიიღონ მონაწილეობა ციფრულ სამყაროში.

ციფრული მოქალაქეობის K-12¹³ სასწავლო პროგრამა მოიცავს კვლევაზე დაფუძნებულ გაკვეთილებს, რომლებიც შეიქმნა ჰარვარდის უმაღლესი განათლების სკოლაში ჰოვარდ გარდნერის მიერ Good Play¹⁴ პროექტის ფარგლებში და მისი მიზანია:

- მიაწოდოს მოსწავლეებს სანდო, კვლევაზე დაფუძნებული ინფორმაცია ციფრული მედიისა და მათი გავლენის შესახებ;
- შესთავაზოს ყოვლისმომცველი, დაბალანსებული მიდგომა უსაფრთხოების პრობლემების გადასაჭრელად, ეთიკისა და ქცევის საკითხების, ციფრული წიგნიერების უნარების შესახებ;
- ხელი შეუწყოს ყველა ასაკის მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების, გადაწყვეტილების მიღების, ეთიკური ღირებულებების განვითარებას მოსწავლეზე ორიენტირებული, მედიით გამდიდრებული საგაკვეთილო მასალებისა და აქტივობების გამოყენებით;
- გაავრცელოს ცოდნა ციფრული მოქალაქეობის შესახებ მოსწავლეთა მშობლებში და ფართო საზოგადოებაში;
- დაიცვას შესაბამისობა სახელმწიფო სტანდარტებთან, განათლების

¹² Project Zero ჰარვარდის უმაღლესი განათლების სკოლაში 1967 წელს დაარსებული კვლევითი ცენტრი, რომელიც იკვლევს განათლების ისეთ საკითხებს, როგორიცაა ღრმა აზროვნება, გაცემა, ინტელექტი, შემოქმედებითობა და ეთიკა. თავისი მრავალფეროვანი პროექტების საშუალებით — „გავხადოთ სწავლება ხილული“, „სწავლების კულტურა“, „სწავლება გაგებისთვის“ და სხვ., Project Zero უზიარებს განათლების საუკეთესო გამოცდილებას აკადემიურ და ფართო საზოგადოებას.

¹³ K-12 აბრევიატურა შეერთებულ შტატებში, კანადასა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში გამოიყენება საჯარო სკოლების საფეხურების აღსანიშნავად K (kindergarten) — საბავშვო ბაღი და 1-ლი კლასიდან მე-12 კლასის ჩათვლით.

¹⁴ პროექტი Good Play — საგანმანათლებლო და კვლევითი ინიციატივა, რომელიც შეისწავლის ახალგაზრდების ციფრული ცხოვრების ეთიკურ ასპექტებს. თავდაპირველი კვლევა მოიცავდა მოზარდებთან, ახალგაზრდებთან, მშობლებთან და მასწავლებლებთან თვისებრივ ინტერვიუს ონლაინდენტიფიკაციის, კონფიდენციალობის, საკუთრებისა და ენის საკითხებზე. მასთან დაკავშირებული მეორე პროექტის — „აზროვნებისა და ციფრული მედიის განვითარება“ — ხელმძღვანელები ჰოვარდ გარდნერი და ქეითი დევისი (ვაშინგტონის უნივერსიტეტი) მიზანი იყო იმის შესწავლა, თუ როგორ ახერხებს ახალგაზრდობა იდენტობის, ურთიერთობების და წარმოსახვის გამოყენებას ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაში. ამ ორ პროექტს შედეგად მრავალი სტატია და რამდენიმე წიგნი მოჰყვა.

ეროვნული ტექნოლოგიის სტანდარტთან (ISTE)¹⁵ Netsafe—თან¹⁶ და ამერიკის სკოლის ბიბლიოთეკართა ასოციაციის (AASL)¹⁷ სტანდარტთან. კურიკულუმით დასახული მიზნების მისაღწევად მასწავლებლები უზრუნველყოფილნი არიან პროფესიული განვითარების მდიდარი და მრავალფეროვანი რესურსებით, როგორცაა სახელმძღვანელოები, ვიდეოები, ვებინარები და სხვ. Common Sense Education-ის K-12 სრულ სასწავლო გეგმაში მოცემულია 80 გაკვეთილი ყველა დამხმარე მასალით, როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე მასწავლებლებისა და მოსწავლეთა ოჯახებისთვის. კურიკულუმი დაინტერესებულ პირებს მოსწავლეებში ციფრული მოქალაქეობის კომპეტენციების განვითარების თანმიმდევრულ გეგმას სთავაზობს.

საგულისხმოა, რომ Common Sense Education-ის ციფრული მოქალაქეობის სასწავლო პროგრამა ეყრდნობა სპირალური კურიკულუმის პრინციპს და კროსკურიკულარულ/გამჭოლ მიდგომას. თითოეული თემა განიხილება სხვადასხვა სირთულთა და სიღრმით სწავლების ყველა საფეხურზე შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. მაგალითისთვის გთავაზობთ თემას „მედიებალანსი და კეთილდღეობა“. ამ თემის ფარგლებში მოსწავლეებმა პასუხი უნდა გასცენ შემდეგ კითხვებს:

როგორ უნდა გავატარო ეკრანთან დრო შინაარსიანად?

ამისთვის:

- მოსწავლეები შეისწავლიან მათი ციფრული ცხოვრების, კერძოდ, ეკრანთან გატარებული დროის გავლენას მათ ჯანმრთელობაზე, კეთილდღეობასა და სხვებთან ურთიერთობაზე. სწავლობენ ყოველდღიურ ცხოვრებაში მედიის დაბალანსების სტრატეგიებს.
- ავთენტური სავარჯიშოები ფოკუსირებულია „შეჩერდი—დაფიქრდი—იმოქმედე“ მიდგომაზე. მოსწავლეები ყოვნიდებიან, აანალიზებენ საკუთარ ჩვევებს ციფრულ მედიასთან მიმართებაში, აფასებენ საკუთარ ემოციებს

¹⁵ სტანდარტი, რომელსაც აწესებს განათლებაში ტექნოლოგიების საერთაშორისო საზოგადოება (International Society for Technology in Education — ISTE) სასწავლო გარემოში ტექნოლოგიების გამოყენებისა და სწავლების საუკეთესო გამოცდილების განსაზღვრის მიზნით.

¹⁶ Netsafe — ონლაინ უსაფრთხოების საკითხებზე მომუშავე დამოუკიდებელი, არაკომერციული ორგანიზაცია ახალ ზელანდიაში.

¹⁷ ამერიკის სკოლის ბიბლიოთეკართა ასოციაცია (American Association of School Librarians — AASL) ემყარება იდეას, რომ სკოლის ეფექტური ბიბლიოთეკა, რომელსაც სერტიფიცირებული ბიბლიოთეკარი ჰყავს, უზრუნველყოფს სწავლის პერსონალიზებულ გარემოს და რესურსებზე თანასწორ წვდომას, რითაც ხელს უწყობს ყოველი მოსწავლის მრავალმხრივ განათლებას.

და იკვლევენ, თუ როგორ უწყობს ან უშლის ხელს მათ კეთილდღეობას ესა თუ ის ციფრული საქმიანობა. ისინი შეიმუშავენ პერსონალურ მედია გეგმას და იღებენ პასუხისმგებლობას საკუთარ მედია ბალანსზე.

- საბაზო და საშუალო სკოლის მოსწავლეები ასევე სწავლობენ, თუ როგორ მეთოდებს იყენებს ციფრული მედია მომხმარებლის მისაჯახად. მოსწავლეები წარმოადგენენ ალტერნატიულ გეგმას, რომელიც ხელს შეუწყობს მედია ბალანსს.

4.1.3. Common Sense Education-ის კროსკურიკულარული ჩარჩო

Common Sense Education-ის კროსკურიკულუმი მოიცავს შვიდ მიმართულებას:

1. პირადი სივრცე და უსაფრთხოება

Common Sense Education-ის სასწავლო პროგრამა პირადი სივრცისა და უსაფრთხოების საკითხს ორი მიმართულებით განიხილავს: მონაცემთა კონფიდენციალურობა და კონფიდენციალურობის გავლენა მოსწავლეთა ციფრულ კვალსა და რეპუტაციაზე.

ძირითადი კითხვა, რომელსაც მოსწავლემ უნდა გასცეს პასუხი, შემდეგია: როგორ შემიძლია პირადი მონაცემების უსაფრთხოების დაცვა?

მიმართულების ფარგლებში მოსწავლეები სწავლობენ ისეთ სტრატეგიებს, როგორიცაა საკუთარი ონლაინ ინფორმაციის მართვა და მისი დაცვა ონლაინ რისკებისგან (მაგ., როგორიცაა ფიშინგი). სწავლობენ, როგორ შექმნან რთული პაროლები, როგორ აიცილონ თავიდან თაღლითობები და სქემები, როგორ გააანალიზონ კონფიდენციალურობის პოლიტიკა და სხვ.

1. თვითგამოხატვა და იდენტობა

იდენტობისა და თვითგამოხატვის შესწავლა მოსწავლეთა ციფრული განვითარების საკვანძო ამოცანაა მოზარდობისკენ გარდამავალ ასაკში. ბავშვები ქმნიან/ავითარებენ საკუთარ იდენტობას ციფრულ მედიასთან წვდომით.

ძირითადი კითხვა, რომელსაც პასუხი უნდა გაიცეს შემდეგია: როგორ შემიძლია პასუხისმგებლობა საკუთარ ონლაინ იდენტობაზე?

თვითგამოხატვისა და იდენტობის ქუდის ქვეშ მოქცეული თემები ეხმარება მოსწავლეებს აღმოაჩინონ საკუთარი ვირტუალური და რეალური ციფრული ცხოვრება. ისინი სწავლობენ სხვათა წინაშე საკუთარი თავის პრეზენტაციის სარგებელსა და რისკებს; გავლენებს მათ თავდაჯერებულობაზე, რეპუტაციასა და ურთიერთობებზე.

2 ურთიერთობები და კომუნიკაცია

ურთიერთობები და ურთიერთვალადაცის მოთხოვნილება სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება მოზარდობის ასაკში გადასვლასთან ერთად. ამ ასაკში მოსწავლეები სულ უფრო მეტ დროს ატარებენ მეგობრებთან და უკვე უჩნდებათ რომანტიკული ინტერესებიც. თანამედროვე მოზარდებმა იციან, როგორ დაამყარონ ახლო ურთიერთობები ციფრული მედიის საშუალებით.

ძირითადი კითხვა, რომელზეც მოსწავლეებმა ამ მიმართულების სწავლისას უნდა გასცენ პასუხი, შემდეგია: როგორ შემიძლია დავამყარო პოზიტიური ონლაინ ურთიერთობები?

მოსწავლეები აანალიზებენ, თუ როგორ შეუძლიათ გამოიყენონ საკუთარი ინტერპერსონალური და ინტრაპერსონალური უნარები პოზიტიური ონლაინ კომუნიკაციის ასაგებად და გასაძლიერებლად. ისინი უდრმავედებიან ციფრული მოქალაქეობისა და, კერძოდ, ციფრული ეთიკის კონცეფციას და ფიქრობენ საკუთარი ონლაინ ინტერაქციის შესახებ.

4. კიბერბულინგი და ციფრული დრამა

ბულინგი, რომელიც ხდება სკოლის ტერიტორიაზე თუ მის ფარგლებს გარეთ, შეიძლება მოხდეს ინტერნეტითაც. კიბერბულინგი არის ციფრული მოწყობილობების, საიტებისა თუ აპების გამოყენება ვინმეს დასაცინად, დასაშინებლად და ზიანის მისაყენებლად. კიბერბულინგის სამიზნეები აცხადებენ, რომ სტანჯავთ დეპრესიას, დარდი, ბრაზი, იმედგაცრუება და სხვა უარყოფითი ემოციები. კიბერბულინგმა შეიძლება გავლენა მოახდინოს თვითშეფასებაზე, ხელი შეუწყოს ოჯახურ პრობლემებს, შეაფერხოს მოსწავლეთა აკადემიური წინსვლა, გამოიწვიოს პირისპირ ძალადობა სკოლაში, სუიციდური აზრები და მცდელობები და სხვ. (Hinduja & Patchin, 2018).

კიბერბულინგის, ციფრული დრამისა და სიძულვილის ენის შესახებ კვლევის საფუძველზე, გამოიკვეთა ის ძირითადი კითხვა, რომელზეც მოსწავლეებმა უნდა გასცენ პასუხი: ონლაინ კომუნიკაციის დროს როგორ შემიძლია ვიყო ზრდილობიანი, კეთილი, მეგობრული, ღირსეული?

მოსწავლეები სწავლობენ, თუ რა უნდა მოიმოქმედონ, თუ კიბერბულინგის სამიზნე გახდებიან. ისინი განიხილავენ თითოეული ადამიანის ქმედების როგორც დადებით, ასევე უარყოფით როლსა და გავლენას არამართო მეგობრებზე, არამედ უფრო ფართო ონლაინწრეზე. მოსწავლეები სწავლობენ, როგორ გახდნენ უფრო აქტიურები და აიღონ პოზიტიური და მხარდამჭერი ონლაინ საზოგადოების შექმნის პასუხისმგებლობა.

5. მედია- და ინფორმაციული წიგნიერება

მედია- და ინფორმაციული წიგნიერება მოიცავს უნარ-ჩვევების ისეთ ფართო სპექტრს, როგორიცაა: როგორ ესმით მოსწავლეებს მედია შეტყობინება, როგორ აფასებენ და ქმნიან მედია შეტყობინებებს, რამდენად იცავენ საავტორო უფლებებს და რამდენად სამართლიანად იყენებენ მოპოვებულ ინფორმაციას. აქ ერთნაირად მნიშვნელოვანია, როგორც მედიის მომხმარებლის, ასევე მედიის შემქმნელის პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარება.

ძირითადი კითხვა, რომელსაც უნდა გაეცეს პასუხი შემდეგია: როგორ შემიძლია კრიტიკულად ვიფიქრო იმაზე, რასაც ვხედავ და ვქმნი?

მედია და ინფორმაციული წიგნიერება მოიცავს ინფორმაციის ეფექტურად იდენტიფიცირების, მოძიების, შეფასების და გამოყენების შესაძლებლობას.

6. ციფრული კვალი და რეპუტაცია

მოსწავლეები სწავლობენ საკუთარი პირადი ცხოვრების დაცვას და სხვათა პირადი სივრცის პატივისცემას. იაზრებენ, რომ ონლაინსივრცეში დატოვებული თითოეული პოსტით ისინი ქმნიან ციფრულ ნაკვალევს და, ამიტომ, უნდა გაააცნობიერონ და წინასწარ დაფიქრდნენ, რომ თითოეული გასაჯაროებული ინფორმაცია გავლენას ახდენს როგორც ჩვენზე, ასევე სხვებზე.

ძირითადი კითხვა, რომელსაც უნდა გაეცეს პასუხი, შემდეგია: როგორ დავტოვო სასარგებლო ციფრული ნაკვალევი?

7. აღიარება/მადლიერება და საავტორო უფლებები¹⁸

„კოპირება/ჩასმისას“ მოსწავლეები, როგორც შემოქმედები, უნდა დაფიქრდნენ საკუთარ პასუხისმგებლობებზე და უფლებებზე ონლაინ სივრცეში, სადაც ისინი ქმნიან, იყენებენ და აზიარებენ ინფორმაციას. პლაგიატის წინააღმდეგ საბრძოლველად მოსწავლეები ეცნობიან საავტორო უფლებების დაცვასა და ინფორმაციის კეთილსინდისიერ გამოყენებას. ძიების ეფექტური სტრატეგიებიდან დაწყებული, დამთავრებული შეფასების ტექნიკებით, მოსწავლეები სწავლობენ, როგორ შეაფასონ ვებგვერდების ხარისხი, სანდოობა და ვალიდობა და გამოხატონ შესაბამისი აღიარება/მადლიერება.

ძირითადი კითხვა, რომელსაც უნდა გაეცეს პასუხი, შემდეგია: როგორ უნდა დავიცვა საავტორო უფლებები?

¹⁸ აღიარება/მადლიერება (Creative Credit) ნიშნავს ორიგინალური ნაშრომის ავტორის აღიარებას. თუ ისინი ნაშრომის გამოყენების უფლებას გვაძლევენ, არ ნიშნავს რომ საკუთარ ნაშრომად გავასაღოთ. მადლიერება უნდა გამოვხატოთ ნაშრომის შექმნისთვის.

აღიარება/მადლიერებისა და საავტორო უფლების (Creative Credit & Copyright) საკითხები მჭიდროდ არის ურთიერთდაკავშირებული. მათი საფუძველია ადამიანის ან ორგანიზაციის უფლება შეინარჩუნოს საკუთარი იდეის გავრცელებისა და რეპროდუქციის უფლება, მის საფუძველზე მიიღოს აღიარება და/ან მოგება. საავტორო უფლება თითქმის ყველაფერზე ვრცელდება.

სასწავლო ერთეული და მისი თანმიმდევრობა

წარმოგიდგენთ სწავლების საფეხურების მიხედვით თითოეული მიმართულებების ფარგლებში რას სწავლობენ მოსწავლეები.

დაწყებითი საფეხური, მე–2 კლასი¹⁹

N	მიმართულება	სათაური	აღწერა
1	ინტერნეტ უსაფრთხოება	ადგილების უსაფრთხოდ სტუმრობა/გავლა	მოსწავლეები სწავლობენ, რომ შეუძლიათ ესტუმრონ არსებულ ადგილებს ონლაინ.
	ინფორმაციული წიგნიერება	A, B, C ძიება	მოსწავლეები ეძებენ ონლაინ სურათებს ანბანის ასოებზე დაწკაპუნებით. ისინი სწავლობენ, რომ ანბანურად დალაგებული კატალოგის გვერდი სთავაზობს ინტერნეტში საგნების მოძიების გზას
	პირადი სივრცე და უსაფრთხოება	შეინარჩუნე პირადი სივრცე	მოსწავლეები სწავლობენ, რომ ბევრი ვებგვერდი ითხოვს პირად ინფორმაციას. განიხილავენ, როგორ უნდა იმოქმედონ პასუხისმგებლობით ამგვარ სიტუაციაში.
	აღიარება/მადლიერება და საავტორო უფლებები ინფორმაციული წიგნიერება	ჩემი საავტორო ნამუშევარი	მოსწავლეები სწავლობენ საკუთარი ნამუშევრისადმი მიკუთვნებულობის განცდის მნიშვნელობას; საკუთარი ნაშრომის ისე გამოქვეყნებას, რომ ყოველთვის ეწეროს სახელი და გვარი და შექმნის თარიღი.
	ურთიერთობები და კომუნიკაცია	მეილის გაგზავნა	მოსწავლეები აღმოაჩენენ, როგორ შეუძლიათ გამოიყენონ მეილი რეალურ ადამიანებთან საკომუნიკაციოდ სკოლის, ოჯახისა და თემის ფარგლებში.

¹⁹ <https://www.commonssensemedia.org/>

2	ინტერნეტუსაფრთხოება	ინტერნეტში უსაფრთხოდ საქმიანობა	მოსწავლეები აცნობიერებენ, რომ სანდო ვებ გვერდების გამოყენებით, ხოლო არასანდო ვებ გვერდების გვერდის ავლით ისინი ონლაინ უსაფრთხოებას ინარჩუნებენ
	პირადი სივრცე და უსაფრთხოება ციფრული კვალი და რეპუტაცია	ციფრულ— ბილიკი	მოსწავლეები სწავლობენ, რომ მათ მიერ ინტერნეტში დადებული ყველა ინფორმაცია არის ციფრული ბილიკი ანუ ნაკლავლევია. ეს კვალი შეიძლება იყოს როგორც ღიდი, ასევე პატარა, როგორც სასარგებლო, ასევე საზიანო. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ვმართავთ მას.
	კიბერბულინგი და ციფრული დრამა ურთიერთობები და კომუნიკაცია	გაფილტრე არასასურველი	მოსწავლეები სწავლობენ, რომ შესაძლოა ბულერის სამიზნე აღმოჩნდნენ. ისინი შეისწავლიან, რას ნიშნავს კიბერბულინგი და რა უნდა გაკეთონ მასთან შეჯახებისას.
	ინფორმაციული წიგნიერება	გამოიყენე საკვანძო სიტყვები	მოსწავლეები სწავლობენ, რომ საკვანძო სიტყვებით ძიება არის ინტერნეტში განთავსებული ინფორმაციის პოვნის საუკეთესო გზა. ისინი სწავლობენ, როგორ შეარჩიონ საკვანძო სიტყვები, რათა მიაღწიონ ძიების საუკეთესო შედეგს.
	ინფორმაციული წიგნიერება	გვერდები, რომლებიც მომწონს	მოსწავლეები მსჯელობენ საინფორმაციო ვებგვერდების კრიტერიუმებზე და იყენებენ მათ დანიშნულებისამებრ. ისინი სწავლობენ, რომ ყველა ვებგვერდზე ვერ მოიპოვებენ თანაბრად კარგ და გამოსადეგ ინფორმაციას.

3	პირადი სივრცე და უსაფრთხოება	კარგი პაროლი	მოსწავლეები შეისწავლიან პაროლის არსს, მის სარგებელს და კარგი პაროლების შექმნას და შენახვას.
	ურთიერთობები და კომუნიკაცია	ჩემი ონლაინ საზოგადოება	მოსწავლეები აღმოაჩენენ, რომ ერთმანეთთან კომუნიკაცია შეიძლება ონლაინ. მათ ესმით, რომ ონლაინ კომუნიკაციას შეუძლია გააერთიანოს საზოგადოება.
	ინფორმაციული წიგნიერება	გასაყიდი ნივთები	მოსწავლეები შეისწავლიან პროდუქტების ვებგვერდებს და გაიგებენ, რომ ამ ვებგვერდების მიზანია ხელი შევეწყუთ პროდუქტების ონლაინ ყიდვას. სწავლობენ საიტზე პროდუქტების პოპულარიზაციისთვის გამოყენებულ მეთოდებს.
	ურთიერთობები და კომუნიკაცია	ონლაინ პატივისცემის გამოხატვა	მოსწავლეები აღმოაჩენენ პირისპირ და ონლაინ კომუნიკაციას შორის მსგავსებას და განსხვავებას და სწავლობენ, როგორ დაწერონ გასაგები და თავაზიანი მესიჯები
	ურთიერთობები და კომუნიკაცია	მიზნობრივი მეილების წერა	მოსწავლეები სწავლობენ როგორ დაამყარონ მეილით ეფექტური კომუნიკაცია. როგორ გაითვალისწინონ მეილის მიზანი, ადრესატი და ტონი, რომლითაც სურთ ადრესატთან ურთიერთობის დამყარება.

დაწესებულებითი საფეხური, მე—3—5 კლასი²⁰

N	მიმართულება	სათაური	აღწერა
1	ურთიერთობები და კომუნიკაცია თვითგამოხატვა და იდენტობა	პასუხისმგებლობის ჯაჭვი	მოსწავლეები აღმოაჩენენ, რას ნიშნავს იყო პასუხისმგებელი შენს ოჯახში და ონლაინ კომუნიკაციაზე, რაც დაგეხმარება გახდე წიგნიერი ციფრული მოქალაქე.
	პირადი ცივრცე და უსაფრთხოება ინფორმაციული წიგნიერება	პირადი და პერსონალური ინფორმაცია	მოსწავლეები სწავლობენ, როგორ შეიძლება დაიცვან საკუთარი თავი ონლაინ იდენტობის ქურდობისგან. კრიტიკულად უდგებიან მათ მიერ ონლაინ გავრცელებულ ინფორმაციას.
	პირადი სივრცე და უსაფრთხოება ინფორმაციული წიგნიერება	სიტყვის ძალა	მოსწავლეები დაფიქრდებიან იმაზე, როგორ შეიძლება გამოიწვიოს მათმა ონლაინ მესიჯებმა მეგობრების გაბრაზება და გულსტკენა. მოახდენენ იმ ქმედებების იდენტიფიცირებას, რომლებიც კიბერბულინგისაგან თავდაღწევაში დაეხმარებათ.
	ინფორმაციული წიგნიერება	საკვანძო სიტყვების გასაღები	მოსწავლეები სწავლობენ, როგორ გაზარდონ საკვანძო სიტყვების ძიების სიზუსტე და გამოიტანონ დასკვნები ეფექტიანი სტრატეგიების შესახებ.
	აღიარება/ მადლიერება და საავტორო უფლება ციფრული წიგნიერება	ვის ეკუთვნის	მოსწავლეები სწავლობენ, რომ სხვისი ნაშრომის საკუთარად გასაღება, არის პლაგიატი. სწავლობენ როდის და როგორ შეიძლება სხვისი ნაშრომის გამოყენება.

²⁰<https://www.common sense.org/education/digital-citizenship/curriculum?grades=3%2C4%2C5>

2	პირადი სივრცე და უსაფრთხოება	კარგი პაროლი	მოსწავლეები სწავლობენ, როგორ შექმნან უსაფრთხო პაროლი საკუთარი პირადი ონლაინ ინფორმაციისა და ონლაინ ანგარიშების დასაცავად
	ურთიერთობები და კომუნიკაცია თვითგამოხატვა და იდენტობა	ციფრული მოქალაქეობა	მოსწავლეები ერთად მუშაობენ ციფრული მოქალაქეების საზოგადოების შექმნის იდეაზე
	პირადი სივრცე და უსაფრთხოება	თაღლითობა სახელწოდებით „თქვენი მოიგეთ პრიზი“	მოსწავლეები სწავლობენ, სპამის არსს და მასთან გამკლავების სტრატეგიებს
	ინფორმაციული წიგნიერება	როგორ ხდება ციტირება	მოსწავლეები აანალიზებენ, რა მნიშვნელობა აქვს ყველა იმ წყაროს დამოწმებას, რომელსაც ისინი კვლევაში, თუ პროექტებში იყენებენ. სწავლობენ, ონლაინ ბიბლიოგრაფიის ციტირების წესს.
	ინფორმაციული წიგნიერება აღიარება/მადლიერება და საავტორო უფლება თვითგამოხატვა და იდენტობა	სურათებიანი წიგნი	მოსწავლეები სწავლობენ, გრაფიკული გამოსახულებების (ფოტო, ნახატი, სქემა და სხვ.) ციფრულად შეცვლას

3	ინტერნეტუსაფრთხოება ურთიერთობები და კომუნიკაცია	ვისაუბროთ უსაფრთხოდ ონლაინ	მოსწავლეები სწავლობენ, რომ ინტერნეტი არაჩვეულებრივი საშუალებაა ურთიერთობების დასამყარებლად. ასევე სწავლობენ, რომ პირადი ინფორმაცია არ უნდა გაუზიარონ მათ, ვისაც მხოლოდ ონლაინ იცნობენ.
	თვითგამოხატვა და იდენტობა ურთიერთობები და კომუნიკაცია	საკუთესო ციფრული მოქალაქე	მოსწავლეები დაფიქრდებიან ადამიანი ობობას დევიზზე: „დიდ ძალასთან ერთად მოდის დიდი პასუხისმგებლობა“ ციფრული მოქალაქის თვალთახედვიდან. მოსწავლეები ქმნიან ციფრული სუპერგმირის კომიქსებს, რომელიც მოწმეა არასასურველი/ცუდი ციფრული მოქალაქის ქცევის და ეხმარება მას ქცევის ცვლილებაში.
	პირადი სივრცე და უსაფრთხოება	პირადი სივრცის დაცვის წესები	მოსწავლეები სწავლობენ, რომ ბავშვთათვის განკუთვნილმა ვებგვერდებმა უნდა დაიცვან მათი პირადი ინფორმაცია. სწავლობენ, ასეთი დაცული გვერდების იდენტიფიცირებას კონფიდენციალურობის პოლიტიკის და თვითრეგულირების გარანტიების გადამოწმებით
	ურთიერთობები და კომუნიკაცია კიბერბულინგი და ციფრული დრამა	რა არის კიბერბულინგი?	მოსწავლეები დაფიქრდებიან კიბერბულინგთან დაკავშირებულ ემოციებზე. რა მსგავსება და განსხვავებაა კიბერბულინგსა და ჩვეულებრივ ბულინგს შორის. სწავლობენ კიბერბულინგისგან თავდაცვის და თავდაღწევის სტრატეგიებს.
	ინფორმაციული წიგნიერება თვითგამოხატვა და იდენტობა		მოსწავლეები აღმოაჩენენ, რა ძლიერი გავლენა აქვს მედიას გოგოებსა და ბიჭებზე მათი იდეების/სტერეოტიპების ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

დაწყბითი და საბაზო საფეხური, მე–6–8 კლასები²¹

N	მიმართულება	სათაური	აღწერა
1	თვითგამოხატვა და იდენტობა	ციფრული ცხოვრება	მოსწავლეები გაეცნობიან ციფრული მედიის და ტექნოლოგიების სოციალურ ბუნებას და მედიის ლანდშაფტის შესახებ დისკუსიისთვის საბაზისო ცოდნას.
	ინფორმაციული წიგნიერება	სტრატეგიული ძიება	მოსწავლეები სწავლობენ ნაყოფიერ ონლაინ ძიებას ძიების მრავალფეროვანი სტრატეგიების გამოყენებით
	პირადი სივრცე და უსაფრთხოება	თაღლითობები და სქემები	მოსწავლეები სწავლობენ იდენტობის ქურდობის და თაღლითობისგან თავის დაღწევის სტრატეგიებს
	ურთიერთობები და კომუნიკაცია კიბერბულინგი და ციფრული დრამა	კიბერბულინგი: იყავი სამართლიანი და მამაცი	მოსწავლეები სწავლობენ განსხვავებას კიბერბულინგის დროს პასიურად გვერდზე დგომასა და მამაც და გონივრულ ქმედებას შორის
	ციფრული წიგნიერება საავტორო უფლებები	შემქმნელის უფლებები	მოსწავლეები სწავლობენ საავტორო უფლებების სამართლიან გამოყენებას და იმ უფლებებს, რომლებიც მათ როგორც შემოქმედს/შემქმნელს აქვთ

²¹<https://www.common sense.org/education/digital-citizenship/curriculum?grades=6%2C7%2C8>

2	თვითგამოხატვა და იდენტობა	ჩემი მედია	მოსწავლეები მიმოიხილავენ საკუთარ მედია ჩვენებს და აანალიზებენ ციფრული მედიის გავლენას მათ ცხოვრებაზე/ყოფაზე
	ციფრული წიგნიერება საავტორო უფლებები	შემქმნელის პასუხისმგებლობა	მოსწავლეები აანალიზებენ საკუთარ, როგორც შემოქმედის და მომხმარებლის პასუხისმგებლობას
	ინტერნეტ უსაფრთხოება ურთიერთობები და კომუნიკაცია	უსაფრთხო ონლაინ საუბარი	მოსწავლეები აცნობიერებენ ონლაინ საუბრისა და მესიჯების სარგებელს; სწავლობენ, როგორ დააღწიონ თავი უხეზრულ სიტუაციას, ან ონლაინ ქცევას.
	თვითგამოხატვა და იდენტობა	რომელი „მე“ უმჯობესია ვიყო	მოსწავლეები სწავლობენ, რომ საკუთარი თავის ონლაინ წარდგენა სხვადასხვა გზით მოიცავს როგორც სარგებელს, ასევე რისკებს
	ინფორმაციული წიგნიერება თვითგამოხატვა და იდენტობა	გენდერული სტერეოტიპები ონლაინ	მოსწავლეები გაანალიზებენ, თუ რა ქმნის გენდერულ სტერეოტიპებს ვირტუალურ სამყაროში „Dress up your Avatar“-ის (ინგლ. გამოპრანჭე შენი ავატარი) საშუალებით.

3	პირადი სივრცე და უსაფრთხოება ციფრული კვალი და რეპუტაცია	ძვირადღირებული ნაკვალევი	მოსწავლეები სწავლობენ, რომ ისინი ტოვებენ ციფრულ ნაკვალევს და რომელიც შეიძლება მოიძებნოს, დაკაშირდეს, გაზიარდეს. მაგრამ მათ შეუძლიათ გააკონტროლონ, საკუთარი პოსტები.
	ინფორმაციული წიგნიერება	ხარისხიანი გვერდების იდენტიფიცირება	მოსწავლეები სწავლობენ, რომ ნებისმიერს შეუძლია ვებზე მოსტის გამოქვეყნება და ამიტომ ყველა გვერდი არ შეიძლება ჩაითვალოს თანაბრად საიმედოდ
	კიბერბუღინგი და ციფრული დრამა ინფორმაციული წიგნიერება თვითგამოხატვა და იდენტობა	ციფრული დრამის რეალობა	მოსწავლეები წარმოაჩენენ (ხატავენ) საკუთარ აღქმებს ქალისა და მამაკაცის ციფრული დრამისა და სტერეოტიპების შესახებ სატელევიზიო გადაცემა „რეალთი შოუზე“ დაყრდნობით
	კიბერბუღინგი და ციფრული დრამა ინფორმაციული წიგნიერება	კიბერბუღინგი: ზღვარს გადასვლა	მოსწავლეები განასხვავებენ კიბერბუღინგსა და უწყინარ ხუმრობას ერთმანეთისგან
	აღიარება/მადლიერება და საავტორო უფლება ინფორმაციული წიგნიერება	გადამუშავება, ხელახლა გამოყენება, რემიქსი	სიტუაციურ სავარჯიშოებზე მუშაობით მოსწავლეები იფართოვებენ წარმოდგენას სხვათა ნაშრომების აღიარების, მადლიერების გამოხატვის და სამართლიანი გამოყენების შესახებ; ქმნიან სამართლიანი გამოყენების (საავტორო უფლებების დაცვის) შესახებ ორიგინალურ ხედვას/ნაშრომს.

საბაზო—საშუალო საფეხური, მე–9–12 კლასები²²

N	მიმართულება	სათაური	აღწერა
1	თვითგამოხატვა და იდენტობა	ციფრული ცხოვრება	მოსწავლეები ამოწმებენ საკუთარ ცოდნას ციფრული მედიის შესახებ და საუბრობენ ციფრული მედიის როლზე მათ ცხოვრებაში
	ციფრული კვალი და რეპუტაცია	გაზიარეთ ინტერნეტით	მოსწავლეები გაეცნობიან ონლაინ ინფორმაციის გაზიარების უპირატესობებს და მიუღებელი ინფორმაციის გაზიარების რისკებს
	აღიარება/მადლიერება და საავტორო უფლებები ინფორმაციული წიგნიერება	საავტორო უფლება და პლაგიატი	მოსწავლეები აღმოაჩენენ სხვათა შემოქმედებითი ნაშრომის გამოყენების ლეგალურ/ სამართლებრივ და ეთიკურ განზომილებებს
	ურთიერთობები და კომუნიკაცია თვითგამოხატვა და იდენტობა		მოსწავლეები ააანალიზებენ სხვადასხვა სახის ზეწოლას მოზარდებზე: ონლაინ ფოტოების რედაქტირება, დაპოსტვა და კომენტირება.
	კიბერბულინგი და ციფრული დრამა ურთიერთობები და კომუნიკაცია	უარი თქვით კიბერბულინგზე და ონლაინ სისასტიკეზე	მოსწავლეები სწავლობენ, რომ სისასტიკეს შეუძლია სწრაფად დაძაბოს სიტუაცია ონლაინ, რადგან ადამიანები არ ჩანან (ანონიმურობი არიან) და პოსტებს სწრაფად ავრცელებენ.

²²<https://www.common sense.org/education/digital-citizenship/curriculum?grades=9%2C10%2C11%2C12>

2	თვითგამოხატვა და იდენტობა ურთიერთობები და კომუნიკაცია	ჩემი ონლაინ კოდი	მოსწავლეები მსჯელობენ ეთიკური ქცევის შესახებ საკუთარ წარმოდგენებზე და ეცნობიან ონლაინ ეთიკის კონცეფციას.
	თვითგამოხატვა და იდენტობა	ვინ ხარ შენ ონლაინ?	მოსწავლეები გაეცნობიან, თუ როგორ წარადგენენ აღმანიები საკუთარ თავს ონლაინ. დაინახავენ განსხვავებას ონლაინ და ოფლაინ „მე“-ს შორის.
	ინფორმაციული წიგნიერება	ონლაინ საზოგადოების შექმნა	მოსწავლეები შეისწავლიან ვებგვერდებს, რომლებიც მხარს უჭერს ონლაინ საზოგადოების შექმნას.
	ურთიერთობები და კომუნიკაცია ციფრული კვალი და რეპუტაცია	სექსტინგი და ურთიერთობა	მოსწავლეები აღმოაჩენენ ონლაინ რომანტიკული ურთიერთობების რისკებს და პასუხისმგებლობებს
	ინტერნეტუსაფრთხოება ურთიერთობები და კომუნიკაცია	ონლაინ ურთიერთობების რისკები	მოსწავლეები კრიტიკულად ფიქრობენ/აფასებენ ონლაინ ურთიერთობებს

3	აღიარება/მადლიერება და საავტორო უფლებები ციფრული წიგნიერება	უფლებები, რემიქსები, პატივისცემა	მოსწავლეები აანალიზებენ განსხვავებას სხვათა შემოქმედებითი ნაშრომის საფუძველზე შთაგონებასა და ნებართვის გარეშე სხვათა ნაშრომის მითვისებას შორის
	კიბერბულინგი და ციფრული დრამა ურთიერთობები და კომუნიკაცია	შეხედულებები კიბერ უსაფრთხოებაზე	მოსწავლეები შეისწავლიან ონლაინ სისასტიკის დინამიკას და მის გავლენას ყველა ჩართულ ადამიანზე
	პირადი სივრცე და უსაფრთხოება	რატომ არის ინტერნეტ უსაფრთხოება მნიშვნელოვანი?	მოსწავლეები აღმოაჩენენ პირადი სივრცის კონცეფციას მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში და მის კავშირს ინტერნეტის გამოყენებასთან
	კიბერბულინგი და ციფრული დრამა ციფრული წიგნიერება ურთიერთობები და კომუნიკაცია	გახდი ვებ პოპულარული	მოსწავლეები აღმოაჩენენ ონლაინ ცნობადობის დადებით და უარყოფით მხარეებს
	ციფრული კვალი და რეპუტაცია		მოსწავლეები სწავლობენ, რომ ყველაფერი, რასაც ადამიანები აქვეყნებენ ონლაინ, არის საჯარო და ტოვებს ციფრულ კვალს

4	ციფრული კვალი და რეპუტაცია	პირადული დღეს, საჯარო ხვალ	მოსწავლეები აანალიზებენ მათ პასუხისმგებლობას, დაიცვან სხვათა პირადი სივრცე, მათზე ინფორმაციის ონლაინ გამოქვეყნებისას
	ინტერნეტ უსაფრთხოება	აქვს მნიშვნელობა, ვინ არის შენი მომხმარებელი?	მოსწავლეები განიხილავენ, როგორ აგროვებენ ონლაინ მონაცემებს ვებგვერდები და კომპანიები და რა სარგებელი ან დანახარჯი აქვს ამას მომხმარებლისთვის
	კიბერბულინგი და ციფრული დრამა ურთიერთობები და კომუნიკაცია	უარი თქვი სიძულვილის ენაზე	მოსწავლეები სწავლობენ სიძულვილის ენის განმარტებას და აცნობიერებენ, როგორ გავლენას ახდენს ის ინდივიდებზე, ჯგუფებზე და საზოგადოებაზე
	აღიარება/მადლიერება და საავტორო უფლებები ინფორმაციული წიგნიერება	რეალობის რეტუშირება	მოსწავლეები კრიტიკულად ფიქრობენ ციფრული სურათების რედაქტირების სხვადასხვა მიზნებსა და კონტექსტზე
	აღიარება/მადლიერება და საავტორო უფლებები ინფორმაციული წიგნიერება	კოლექტიური ინტელექტი	მოსწავლეები განიხილავენ სხვადასხვა კონტექსტში კოლექტიური ინტელექტის გამოყენების სარგებელს და ნაკლოვანებებს

4.2. კემბრიჯის ციფრული წიგნიერების სასწავლო პროგრამა

მოცემულ ქვეთავში განვიხილავთ კემბრიჯის ციფრული წიგნიერების სასწავლო პროგრამას (University of Cambridge Local Examinations Syndicate (UCLES), 2018) დაწყებითი კლასებისთვის (5–11 წელი). კურიკულუმის განხორციელება დაიწყო 2019 წლიდან.

კურიკულუმი დაწყებითი საფეხური მოსწავლეებს სთავაზობს საინტერესო საგანმანათლებლო მოგზაურობას. მასში განსაზღვრულია, თუ რისი გაცვთება უნდა შეძლონ მოწაფეებმა დაწყებითი განათლების თითოეულ ეტაპზე. ის 5–დან 11 წლამდე მოსწავლეებში თავდაჯერებულობის, პასუხისმგებლობის, ფიქრის, ახალი იდეებისა და მონაწილეობის განვითარებას უწყობს ხელს. პროგრამაში განხილულია ინგლისურის, მათემატიკის და საბუნებისმეტყველო საგნების, მათ შორის, ციფრული წიგნიერების სწავლება—სწავლის საკითხები.

კურიკულუმი მოსწავლეებს შემდეგ დევიზს სთავაზობს – **„ისწავლე, აღმოაჩინე, მიაღწიე“**. ამ პრინციპით არის აგებული ციფრული წიგნიერების კურიკულუმიც, რომლის საფუძველზე სკოლებს შეუძლიათ შექმნან საკუთარ შემსწავლელებზე მორგებული კურიკულუმი.

კემბრიჯის ციფრული წიგნიერების სასწავლო პროგრამა განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ციფრული მოქალაქის აღზრდა უნდა დაიწყოს დაწყებითი საფეხურიდან. „ციფრული წიგნიერება აუცილებელი უნარია ყველა ასაკის, მათ შორის დაწყებითი კლასების მოსწავლეებისთვის. ციფრული სამყარო ერთმანეთთან ურთიერთობის, თანამშრომლობის, ახალი ინფორმაციის აღმოჩენის ან ცოდნის განახლების საშუალებას გვაძლევს. შემსწავლელებს უნდა შეეძლოთ ეფექტურად გამოიყენონ ტექნოლოგია მათი საგანმანათლებლო მოგზაურობის დასაწყისიდანვე“ (University of Cambridge Local Examinations Syndicate (UCLES), 2018), ვკითხულობთ ციფრული წიგნიერების კურიკულუმის შესავალ ნაწილში.


კემბრიჯის ციფრული წიგნიერების დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ძირითადი მიზანია, მოსწავლეებმა

- გაცნობიერონ, თუ რა ადგილი უკავიათ, როგორც თავად, ასევე სხვებს ურთიერთდაკავშირებულ სამყაროში და მიიღონ გააზრებული გადაწყვეტილებები იმ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომელსაც ისინი ინტერნეტში აწყდებიან.
- გაიღრმავონ ცოდნა, რაც მათ საშუალებას მისცემს, რეაგირება მოახდინონ და შეათასონ მომავლის ტექნოლოგია.

- განუვითარდეთ სრულყოფილი დოკუმენტის და პრეზენტაციის შექმნის უნარი.
- ისწავლონ, როგორ გახდნენ ციფრულ სამყაროში პოზიტიური წვლილის შემტანები.
- გამოიყენონ ციფრული ტექნოლოგიები უსაფრთხოდ და დაიცვან საკუთარი ფიზიკური და ემოციური კეთილდღეობა.

საბოლოო ჯამში კი, ციფრული წიგნიერების უნარები მოსწავლეებს სწავლის და განვითარების მყარ საფუძველს შეუქმნის.

ეს დაწყებითი/შესავალი კურსი ხელს უწყობს შემდეგ დონეებზე გადასვლას.



კურიკულუმი და წინსვლა

საგულისხმოა, რომ კემბრიჯის ციფრული წიგნიერების კურიკულუმი საშუალებას აძლევს სკოლებს გააკეთონ არჩევანი – ცალკე საგნად შესთავაზებენ მოსწავლეებს ციფრულ წიგნიერებას, თუ ინტეგრირებენ, მისი შინაარსის სხვადასხვა საგნებში ინტეგრირებით.

კემბრიჯის ციფრული წიგნიერება დაწყებით ეტაპზე მოიცავს მრავალსიმომცველ სასწავლო მიზნებს, რომელიც უზრუნველყოფს სწავლებისა და სწავლის სტრუქტურას და ინდიკატორებს, რომლის საფუძველზე შეიძლება მოსწავლეთა ცოდნისა და უნარების შემოწმება.

ეს სასწავლო მიზნები იყოფა სამ ძირითად მიმართულებად, რომელთა სწავლებაც შესაძლებელია დამოუკიდებლად ან ერთად.

კურიკულუმში სასწავლო მიზნები ისეა ჩამოყალიბებული, რომ უზრუნველყოს განვითარება 1–დან მე–ნ ეტაპამდე და შემდგომში საშუალო საფეხურის პირველ დონემდე.

კებრიჯის ციფრული წიგნიერების კურიკულუმი, Common Sense Education–ის კურიკულუმის მსგავსად, აგებულია სპირალურ პროცესში.

მაგალითისთვის გთავაზობთ მიმართულებების მიხედვით ეტაპობრივად როგორ არის წარმოდგენილი სხვადასხვა სირთულის აქტივობები სხვადასხვა საფეხურზე.

სასწავლო მიზნების მაგალითები

მიმართულება	ეტაპი 2	ეტაპი 4	ეტაპი 6
ინსტრუმენტები და კონტენტის შექმნა	ტექსტის იერსახის შეცვლა ხელმისაწვდომი ინსტრუმენტების შესწავლით, მაგ., ფერის, ზომისა და შრიფტის შეცვლით.	დოკუმენტის ფორმატის რედაქტირება და ორგანიზება	მოწყობილობების გამოყენება ციფრული პროექტების შესაქმნელად, ხმოვანი, ვიდეო, ტექსტური და სხვა მულტიმედია საშუალებებით.
უსაფრთხოება და კეთილდღეობა	იმის გააზრება, რომ მომხმარებელს შეუძლია მრავალი ანგარიში ჰქონდეს და აირჩიოს, რომელზე რა ინფორმაცია შეიძლება განათავსოს.	ონლაინ ანონიმურობის სარგებლის და რისკების ცოდნა.	იმის გააზრება, რომ ციფრული ნაკვალევი აფიქსირებს მომხმარებლის ონლაინ აქტივობას, ჩანაწერის, სურათების, ვიდეოების, ინფორმაციის ან მოსაზრებების გაზიარების ჩათვლით.
ციფრული სამყარო	იმის გააზრება, რომ ტექნოლოგია შეიძლება გამოვიყენოთ კომუნიკაციისთვის, როგორც ადგილობრივი, ასევე გლობალურ დონეზე.	იმის გააზრება, რომ ონლაინ კომუნიკაციამ შეცვალა ადამიანებს შორის ინტერაქცია.	იმის აღწერა, თუ როგორ შეცვალა ონლაინ ნაკადმა მედია საშუალებებზე წვდომა.

5. კვლევა –მოქალაქეობა საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში: გამოწვევები და დანერგვის გზები

5.1. კვლევის აქტუალობა, მიზანი და ამოცანები

საინფორმაციო ტექნოლოგიების ყოველდღიურმა გამოყენებამ, გლობალურ ქსელში ჩართულობამ, ინფორმაციის უსაზღვრო ნაკადთან შეუზღუდავმა წვდომამ და სოციალური ქსელების ხელმისაწვდომობამ წარმოშვა ონლაინეთიკისა და ინტერნეტის უსაფრთხოდ გამოყენების საკითხი, კიბერ უსაფრთხოებისა და კიბერ ჰიგიენის პრობლემები, გამოააშკარავა ონლაინ ბულინგისა და ონლაინ ჩაგვრის აღმოფხვრა–რეფერირების გზების სიმწირე, აგრეთვე მედია– და ინფორმაციული წიგნიერების დეფიციტი, მართული ძალადობრივი ონლაინ თამაშებისგან მოზადრთა დაუცველობის მაღალი ხარისხი, ისევე, როგორც მათი ონლაინ უფლებების საკითხი (United Nations Children’s Fund, 2017). ციფრული მოქალაქეობა, როგორც ცნება შედარებით ახალია არამარტო საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის, არამედ თანამედროვე მსოფლიოსთვისაც. კვლევები თუ ანგარიშები მის შესახებ მწირია, თემის აქტუალობა კი, დღითიდღე მატულობს. ციფრული მოქალაქეობის კვლევა კიდევ უფრო აქტუალურია ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურზე, რადგანაც ტექნოლოგიების აქტიური მომხმარებლები, ამავდროულად, მოწყვლადი ჯგუფები, სწორედ ზემოხსენებული საფეხურის წარმომადგენლები, ანუ მოზარდები არიან (საქართველოს სახალხო დამცველი, 2017). ციფრული მოქალაქეობის კომპეტენცია უშუალო კავშირშია მოზარდთა ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან, განვითარებასა და კეთილდღეობასთან (United Nations Children’s Fund, 2017).

როგორც მონოგრაფიის შესავალშივე აღინიშნა, ციფრული მოქალაქეობის კომპეტენციის კვლევის აქტუალობას საქართველოში განაპირობებს მოზარდთა უმრავლესობის მაღალი ჩართულობა სოციალურ ქსელებში, ინტერნეტში და, ზოგადად, ტექნოლოგიური გაჯეტებისა და სოციალური ქსელების გამოყენების მძლავრი ტენდენცია, აგრეთვე მშობელთა/მეურვეთა, პედაგოგთა და სკოლის ადმინისტრატორთა ინფორმაციული საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების საშუალოზე დაბალი კომპეტენცია (სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი, 2015) და ყოველდღიურად მზარდი საფრთხეები, რომლებიც თავს იჩენს ონლაინ ცხოვრებასთან დაკავშირებული სხვადასხვა გამოწვევისა თუ მართული თამაშის სახით და, რომელსაც, რიგ შემთხვევაში,

ლეტალურ შედეგამდეც კი მივყავართ (Duggan, 2017). აქედან გამომდინარე, უკიდურესად მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ ხელი შეგვეწყო ციფრული მოქალაქეობის კომპეტენციის განვითარებისთვის სასკოლო საზოგადოებაში. თემის აქტუალობიდან და საქართველოს წინაშე არსებული გამოწვევებიდან გამომდინარე კვლევის **მიზანს წარმოადგენდა: საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ციფრული მოქალაქეობის კომპეტენციის განვითარების ხელშეწყობა.**

კვლევის მიზნის მისაღწევად პროექტის ჯგუფის წინაშე დგას შემდეგი ამოცანები:

- ციფრული მოქალაქეობის შესახებ საერთაშორისო და ადგილობრივი სამეცნიერო ლიტერატურის, პროექტების და ანგარიშების, აგრეთვე ჩარჩო-დოკუმენტების, არსებული საუკეთესო პრაქტიკისა და ციფრული კომპეტენციების განვითარების მოდელების შესწავლა და ანალიზი;
- წარმატებული საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით საქართველოში სასკოლო საზოგადოების წევრთა ციფრული კომპეტენციის გასაზომი ინსტრუმენტების შექმნა, ადაპტირება და ვალიდაცია;
- პირველადი სოციოლოგიური ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი;
- მასწავლებელთა ციფრული მოქალაქეობის კომპეტენციის მიმართების დადგენა მოსწავლეთა ციფრული მოქალაქეობის კომპეტენციასთან რურარულ და ურბანულ ჭრილში;
- მშობელთა/მეურვეთა ციფრული მოქალაქეობის კომპეტენციის მიმართების დადგენა მოსწავლეთა ციფრული მოქალაქეობის კომპეტენციასთან რურარულ და ურბანულ ჭრილში;
- სკოლისა და ოჯახის ინფრასტრუქტურისა და ინტერნეტიზაციის ხარისხის მიმართების დადგენა მოსწავლის ციფრული მოქალაქეობის კომპეტენციის ხარისხთან;
- სასკოლო საზოგადოების წევრთა (მშობლები/მეურვეები-მასწავლებლები-სკოლის ადმინისტრაცია) ურთიერთთანამშრომლობის კორელაცია მოსწავლის ციფრული მოქალაქეობის კომპეტენციის ხარისხთან;
- ზემოთ ჩამოთვლილი ცვლადების მიმართებების დადგენა არაქართულენოვანი სკოლების ჭრილში;
- შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვა და განხორციელება (ტრენინგპროგრამის შემუშავება, ტრენინგების ჩატარება სამიზნე

სკოლების პედაგოგებთან, ადმინისტრატორებთან, მშობლებთან/მეურვეებთან);

- ცალკეული სამიზნე სკოლის წარმომადგენლებთან თანამშრომლობით მოსწავლეებთან განსახორციელებელი ინტევენციების გეგმის შემუშავება და ჩატარება და ინტერვენციების შედეგების შეფასება;
- კვლევის მიგნებების გავრცელება სამეცნიერო სტატიების, მეთოდური გზამკვლევისა თუ მონოგრაფიის სახით და საერთაშორისო თუ ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებზე წარდგენით.

5.2. კვლევის დიზაინი, მიდგომა, მეთოდოლოგია, სამიზნე ჯგუფი

ძირითადი კვლევის დროს გამოყენებულია პრაქტიკული კვლევის დიზაინი, რომელიც სკოლებში სასწავლო გარემოს ცვლილების, სკოლის პერსონალის, პედაგოგებისა და მოსწავლეების ემანსიპაციასა და გაძლიერებას ისახავს მიზნად. ციფრული მოქალაქეობა დემოკრატიული კულტურის შემადგენელი ნაწილია. ამით ის თანხვედრაშია აღნიშნული პრაქტიკის კვლევის ზოგად მიზანთან: სკოლებში ციფრული წიგნიერების განვითარების ხელშეწყობით, სკოლის პერსონალი, ადმინისტრაცია, მოსწავლეები და მშობლები გაძლიერდებიან.

ითვლება, რომ მხოლოდ რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდებით შეგროვებული პირველადი სოციოლოგიური ინფორმაცია, მისი ანალიზი და ინტერპრეტაცია ხშირად აკადემიურ სივრცეში ბიბლიოთეკის თაროზე შემოიღება ხოლმე და მას პრაქტიკული ნაბიჯები არ მოჰყვება, რომელიც კვლევის ობიექტების რეალურ ემანსიპაციას იწვევს. პრაქტიკის კვლევა ეფუძნება კრიტიკული თეორიისა და კრიტიკული განათლების კვლევის პრინციპებს, რომელთა მთავარი ამოცანა არა მხოლოდ ინფორმაციის შეგროვება და ანალიზია, არამედ ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით მოქმედება და ცვლილებების გამოწვევა. მეცნიერები განათლების კვლევების მიმართულებით აღნიშნავენ, რომ „პოზიტივისტური და ინტერპრეტაციული პარადიგმები ერთი და იგივე ფენომენის გაგებას ერთმანეთისგან განსხვავებული გზებით ცდილობენ. პოზიტივიზმი ობიექტურობასა და გაზომვას, მიზეზ–შედეგობრიობის დადგენას ესწრაფვის, ხოლო ინტერპრეტაციული პარადიგმა – სამყაროს სუბიექტის ტერმინებით გაგებასა და ინტერპრეტაციას. პირველისთვის მნიშვნელოვანია ფენომენი, რომელსაც აკვირდებიან, მეორისთვის – ამ ფენომენის მიერ მინიჭებული მნიშვნელობები და ინტერპრეტაციები“ (კოჰენი, მანიონი, & მორისონი, 2012, გვ. 89).

თანამედროვე განათლების მკვლევრები ზემოთ აღნიშნულ ორივე მიდგომას იწუნებენ და ცდილობენ ახალი მიდგომა შექმნან, რომელსაც განათლების სფეროში კრიტიკული კვლევის პარადიგმას უწოდებენ. ეს პარადიგმა „ნაკლულად მიიჩნევს მანამდე არსებულ ორ პარადიგმას, რადგან ისინი არასრულად ხსნიან სოციალურ ქცევას, ვინაიდან უარყოფენ განათლების სფეროში წარმოებული კვლევის უმეტესობის პოლიტიკურ და იდეოლოგიურ კონტექსტს“ (კოპენი, მანიონი, & მორისონი, 2012, გვ. 90).

განათლების სფეროში კრიტიკული პარადიგმის შემოტანაზე დიდი გავლენა იქონია ჰაბერმასის, ადორნოს, მარკუზეს, ჰორკჰაიმერის, ფრომის და ფრანკფურტის სკოლის სხვა წარმომადგენელთა ნაშრომებმა. „ამ სკოლისთვის დამახასიათებელია მიზნობრივად პოლიტიკური მიმართულება – ევალიტარულ საზოგადოებაში ინდივიდებისა და ჯგუფების ემანსიპაცია“ (კოპენი, მანიონი, & მორისონი, 2012, გვ. 90).

კრიტიკული თეორია აღარ ცდილობს მხოლოდ ინფორმაციის შეგროვებას კვლევის ობიექტებზე, ან ობიექტებისგან. „მისი მიზანია არა, უბრალოდ, საზოგადოებისა და ქცევის ახსნა, არამედ ისეთი საზოგადოების შექმნა, რომელიც მისი ყველა წევრის თანასწორობასა და დემოკრატიას ეფუძნება. მისი მიზანი მხოლოდ სოციალური ფენომენების გაგება კი არ არის, არამედ მათზე ზეგავლენა და შეცვლა; კერძოდ, ის ჩაგრულთა ემანსიპაციისკენ, უთანასწორობის აღმოფხვრისა და დემოკრატიულ საზოგადოებაში პიროვნული თავისუფლების ზრდისკენ ისწრაფის (კოპენი, მანიონი, & მორისონი, 2012, გვ. 91).

კრიტიკული პარადიგმის მიზანია საზოგადოების გარდაქმნა, ცვლილება და ამ ცვლილებების ისე განხორციელება, რომ თანამედროვე სამყაროს კეთილდღეობა ყველა ჩართული მხარისთვის თანაბრად იყოს ხელმისაწვდომი. ციფრული მოქალაქეობაც, როგორც თანამედროვე გამოწვევა, კრიტიკული პარადიგმის თვალთახედვით წარმოადგენს მოვლენას, რომელიც ყველასთვის თანაბრად მნიშვნელოვანი უნდა იყოს და ყველა ჩართული ადამიანის, მათ შორის სკოლის მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლების ემანსიპაციას იწვევდეს, საზოგადოებას კი ეხმარებოდეს, უფრო დემოკრატიული და მონაწილეობითი გახდეს. კრიტიკული თეორიის მიზანი ტრანსფორმაციულია: „ის საზოგადოებისა და ინდივიდების სოციალურ დემოკრატიად ტრანსფორმაციას ესწრაფვის. ამ თვალსაზრისით, განათლების სფეროში კრიტიკული კვლევის პრაქტიკული მიზანია, აღმოფხვრას უკანონო ძალაუფლების განხორციელება

და ზემოქმედება, შექმნას უფრო სამართლიანი ევალიტარული საზოგადოება, რომელშიც ინდივიდი და კოლექტივი თავისუფალი იქნება. ...კრიტიკული თეორიის წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ მკვლევარი არ უნდა იყოს იდეოლოგიურად, ან პოლიტიკურად ნეიტრალური“ (კოჰენი, მანიონი, & მორისონი, 2012, გვ. 91).

წინამდებარე, კვლევითი გუნდის პოლიტიკური მიზანი, ქართულ სკოლებში ციფრული წიგნიერების დანერგვის ხელშეწყობაა. მათი ყველა ნაბიჯი, ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის გარდა, ამოცანად ისახავს რეალურ ცვლილებებს ამ მიმართულებით.

პრაქტიკის კვლევა განსაკუთრებით მიესადაგება ქართულ სკოლებში ციფრული მოქალაქეობის დანერგვის ხელშეწყობას. მისი ამოცანაა, ერთის მხრივ, შეცვალოს ინდივიდები და, მეორე მხრივ, ის კულტურა, რომელსაც ეფუძნებიან სკოლის სოციალური ჯგუფები, ინსტიტუტები და საზოგადოება. „ჯგუფის კულტურა შეიძლება განისაზღვროს სამეტყველო ენისა და დისკურსების მდგენელებითა და ფორმებით, ასევე, იმ სოციალური ურთიერთობებითა და ორგანიზაციებით, რომლებიც ჯგუფის ურთიერთქმედებებს ქმნიან“ (კოჰენი, მანიონი, & მორისონი, 2012, გვ. 693).

პრაქტიკის კვლევაში გაერთიანებულია დიაგნოსტიკა, ქმედება და გააზრება და მონაწილეების დასახელებულ იმ პრაქტიკულ საკითხებზე ფოკუსირება, რომლებიც პრობლემურია და ექვემდებარება ცვლილებას. ზუბერ-სკერიტის მოსაზრებით, „ნებისმიერი პრაქტიკის კვლევის პროექტის ან პროგრამის მიზანია სოციალური პრაქტიკის რეალური გაუმჯობესება, განახლება, ცვლილება ან განვითარება და პრაქტიკოსის მიერ საკუთარი პრაქტიკების უკეთ გაგება“ (კოჰენი, მანიონი, & მორისონი, 2012, გვ. 694).

აღნიშნული კვლევის მიზანიც სწორედ ღირებულებების, პროფესიული განვითარებისა და სასკოლო პროცესის ისე შეცვლაა, რომ მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები ციფრული წიგნიერების მიმართულებით განვითარდნენ და მონაწილეობა მიიღონ თანასწორი და ემანსიპირებული საზოგადოების აშენებაში.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ პრაქტიკის კვლევა კოლაბორაციულია: „პრაქტიკის გაუმჯობესებაში ამ ქმედებაზე პასუხისმგებელი ადამიანები არიან ჩართული. პრაქტიკის კვლევა იმ ადამიანების თვითკრიტიკულ ერთობას ქმნის, რომლებიც კვლევის პროცესის ყველა ეტაპში მონაწილეობენ და თანამშრომლობენ (დაგეგმვაში, მოქმედებაში, დაკვირვებასა და გააზრებაში)“

(კოპენი, მანიონი, & მორისონი, 2012, გვ. 698).

პრაქტიკის კვლევის დროს ინფორმაციის შესაგროვებლად გამოყენებულია კვლევის, როგორც **რაოდენობრივი**, ისე **თვისებრივი** მეთოდოლოგია, ხოლო მეთოდები შეირჩა კვლევის ამოცანების შესაბამისად.

ციფრული მოქალაქეობის შესახებ საერთაშორისო და ადგილობრივი სამეცნიერო ლიტერატურის, პროექტებისა და ანგარიშების, აგრეთვე ჩარჩო დოკუმენტების, არსებული საუკეთესო პრაქტიკისა და ციფრული კომპეტენციების განვითარების მოდელების შესწავლისა და ანალიზისთვის განხორციელდა **სამაგიდე კვლევა**. წარმატებული საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, საქართველოში სასკოლო საზოგადოების წევრთა ციფრული კომპეტენციის გასაზომი ინსტრუმენტების შექმნისა და ადაპტაციისთვის საჩხერის №2 საჯარო სკოლაში **ფოკუს-ჯგუფის** მეთოდის გამოყენებით, გამოიკითხნენ მასწავლებლები და მოსწავლეები. ფოკუს-ჯგუფს ხშირად ჯგუფურ სიღმისეულ ინტერვიუს უწოდებენ ხოლმე: „სიღრმისეულ ინტერვიუსთან შედარებით, ფოკუს-ჯგუფს ის უპირატესობა აქვს, რომ რამდენიმე ადამიანისაგან შემდგარ ჯგუფში ყოველთვის აღმოჩნდება ხოლმე ადამიანი, რომელიც სხვებთან შედარებით უფრო გულახდილია, და მისი გულახდილობა, როგორც წესი, ჯგუფის სხვა წევრების გულახდილობასაც იწვევს“ (ზურაბიშვილი, 2006, გვ. 27). ხშირად ფოკუს-ჯგუფით პრობლემასთან დაკავშირებული სირმისეული და საინტერესო ინფორმაცია გროვდება.

სამაგიდე კვლევით მიღებული ცოდნისა და ფოკუს-ჯგუფების საფუძველზე შეგროვებული ინფორმაციით შეიქმნა ქართულ კონტექსტზე მორგებული ციფრული წიგნიერების გასაზომი ინსტრუმენტები. სულ შეიქმნა სამი ინსტრუმენტი – მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლებისთვის. რაოდენობრივი კვლევის სტრუქტურირებული კითხვარები მოცემულია დანართი №2, №3 და №4-ის სახით.

ამის შემდეგ, მიზნობრივად შერჩეულ სკოლებში (კვლევის ობიექტად მიზნობრივად შეირჩა საქართველოს ურბანული და რურარული რეგიონების (თბილისი, კახეთი, იმერეთი, ქვემო ქართლი) სკოლები, სულ 5 სკოლა (მათ შორის ერთი არაქართულენოვანი). ძირითად სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები, აგრეთვე პედაგოგები, მშობლები/მეურვეები და სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები. საწყის ეტაპზე განხორციელდა პილოტაჟი. კვლევის სამივე ინსტრუმენტი თბილისის ერთ-ერთი სკოლის მასწავლებლებმა, მოსწავლეებმა და მშობლებმა შეაესეს

და კვლევით გუნდს მისცეს რეკომენდაციები ინსტრუმენტების ხარვეზებთან დაკავშირებით. ამის შემდეგ, შემუშავდა კითხვარების საბოლოო ვარიანტები და განხორციელდა რაოდენობრივი ონლაინ ანკეტირება ზემოთ ხსენებული ინსტრუმენტებისა და „გუგლანალიტიკის“ გამოყენებით. შევისწავლეთ შერჩევაში მოხვედრილ სკოლებში არსებული სიტუაცია ციფრული მოქალაქეობის კომპეტენციის მიმართულებით.

კვლევის გენერალური ერთობლიობა შემდეგია:

N	რეგიონი	სკოლა	მოსწავლე	მასწავლებელი
11	იმერეთი	სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საჩხერის მე-2 საჯარო სკოლა	300	41
22	თბილისი	სსიპ 186-ე საჯარო სკოლა	904	131
33	თბილისი	სსიპ 64-ე საჯარო სკოლა	88 აგერბაიჯანულ სექტორზე, 460 ქართულ სექტორზე	50
44	რუსთავი	სსიპ მე-4 საჯარო სკოლა	878	98
55	თელავი	სსიპ მე-9 საჯარო სკოლა	960	55
	სულ		3590	375

95%-იანი ნდობის დონით, კვლევის დროს საჭირო იყო შემდეგი რაოდენობის მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლების გამოკითხვა:

საჩხერის საჯარო სკოლა: მოსწავლეები და მშობლები მინიმუმ 168–168 და მაქსიმუმ 234; მასწავლებელი – 41;

თბილისის 186-ე საჯარო სკოლა: მოსწავლე/მშობელი, 269–468; მასწავლებელი – 91–108;

თბილისის 64 საჯარო სკოლა: აგერბაიჯანელი მოსწავლე 80–88; ქართველი მოსწავლე 207–317, მასწავლებელი 44–48;

რუსთავის საჯარო სკოლა: მოსწავლე, 269–468; მასწავლებელი 79–91;

თელავის მეცხრე საჯარო სკოლა: მოსწავლე 960 (შერჩევა მინ. 278 – მაქს. 518) — 55 მასწავლებლიდან (44–48).

გემოხსენებული სამი მეთოდი: **სამაგიდე კვლევა, ფოკუს-ჯგუფები და რაოდენობრივი გამოკითხვა** წარმოადგენს პრაქტიკის კვლევის პირველ, პრობლემის იდენტიფიცირების ეტაპს, რომლის დასრულების შემდეგ განხორციელდა ინტერვენციების ეტაპი.

რაც შეეხება ინტერვენციებს, ისინი ჩატარდა 2 ეტაპად:

- ინტერვენციების პირველი ეტაპის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს: სკოლის მასწავლებლები, ადმინისტრატორები და მშობლები/მეურვეები. გამოვლენილი პრობლემების ანალიზის საფუძველზე მომზადება ტრენინგ პროგრამის სრული პაკეტი (მოდული, საკითხავი მასალა, სამუშაო ფურცლები) და განხორციელება ტრენინგები;
- ინტერვენციების მეორე ეტაპზე ცალკეულ ტრენინგ გავლილ სამიზნე ჯგუფებთან, თითოეული სკოლის საჭიროებიდან გამომდინარე, შემუშავდება ინტერვენციების გეგმა, რომელსაც სკოლები თავად განახორციელებენ მოსწავლეებთან. ზემოხსენებული პროცესის მონიტორინგი და ინტერვენციების შედეგების შეფასება მოხდება კვლევითი ჯგუფის მიერ.

სანამ განხორციელდებულ ინტერვენციებს შევეხებით, გთავაზობთ რაოდენობრივი გამოკითხვის შედეგების მოკლე მიმოხილვას.

5.3 რაოდენობრივი კვლევის მიზანი, ამოცანები, საკვლევი კითხვები და ჰიპოთეზა

როგორც ზემოთ აღინიშნა, პრაქტიკის კვლევა საქართველოს 5 ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლაში ჩატარდა. კვლევას ჰქონდა დიაგნოსტიკების, ინტერვენციებისა და ამ უკანასკნელთა შედეგების მონიტორინგისა და შეფასების ფაზები. პრაქტიკის კვლევის დიაგნოსტიკების ფაზაზე საჯარო სკოლებში ჩატარდა რაოდენობრივი გამოკითხვა, რომლის დროსაც შეგროვებული რაოდენობრივი მონაცემები წარმოდგენილია წინამდებარე მონოგრაფიაში, საერთაშორისო პუბლიკაციებში, პრეზენტაციებშია საერთაშორისო კონფერენციებზე და გამოყენებულია სამიზნე სკოლებში ინტერვენციების დაგეგმვისას. დიაგნოსტიკების ფაზაზე კვლევის **მიზანია**, შესწავლილი ხუთი ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლის მაგალითზე, საქართველოში აღიწეროს ციფრული მოქალაქეობის არსებული სიტუაცია.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე ჩამოყალიბდა კვლევის ამოცანები:

- საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა, მოსწავლეთა და მშობელთა შეფასებით, მათში არსებული ციფრული მოქალაქეობის შესახებ ინფორმირებულობის, კერძოდ, ციფრული უსაფრთხოების, ეტიკეტის, წიგნიერების, კომუნიკაციის,

ხელმისაწვდომობის, კომერციის, ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის, უფლებებისა და პასუხისმგებლობების შესწავლა;

- საჯარო სკოლის გეოგრაფიულ მდებარეობასა და მასწავლებელთა ციფრულ მოქალაქეობაზე ინფორმირებულობას შორის კორელაციის დადგენა.

კვლევის მიზნისა და ამოცანების შესაბამისად, ჩამოყალიბდა რაოდენობრივი **კვლევის შეკითხვა**: აქვთ თუ არა ქართული საჯარო სკოლების პედაგოგებს ინფორმაცია ციფრული მოქალაქეობისა და ეთიკის შესახებ და არის თუ არა ციფრული მოქალაქეობის შესახებ პედაგოგების ინფორმირებულობა კორელაციაში სკოლის გეოგრაფიულ მდებარეობასთან?

კითხვის საფუძველზე ჩამოყალიბდა **ჰიპოთეზა**: ქართულ საჯარო სკოლებში პედაგოგებს ციფრული მოქალაქეობისა და ციფრული ეტიკეტის შესახებ ინფორმაცია საკმაოდ მწირი აქვთ და ეს არ არის დამოკიდებული მათი სკოლების გეოგრაფიული მდებარეობასთან.

რაც შეეხება მოსწავლეებისა და მშობლების გამოკითხვის შედეგებს, განხორციელდა მონაცემების აღწერითი ხასიათის სტატისტიკური ანალიზი.

კვლევის მეთოდოლოგია, მეთოდები, შერჩევა და მონაცემთა ანალიზი

პირველადისოციოლოგიური ინფორმაციის შესაგროვებლად გამოყენებულია სოციალური კვლევის **რაოდენობრივი** მეთოდოლოგია. კერძოდ, მასობრივი გამოკითხვის/ონლაინ ანკეტირების მეთოდი. კოვიდ 19-ის რეგულაციებისა და შეზღუდვების გამო, ციფრულ მოქალაქეობაზე არსებული ინფორმაციის შესაგროვებლად, ონლაინ გამოკითხვა ყველაზე რელევანტური მეთოდია, რომელიც შეიძლებოდა კვლევის ჯგუფს გამოეყენებინა. საქართველოში სასკოლო საზოგადოების წევრთა ციფრული მოქალაქეობის შესახებ ინფორმირებულობის აღსაწერი რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტების შექმნისა და ადაპტაციისთვის ერთ-ერთ სკოლაში **ფოკუს-ჯგუფის** მეთოდის გამოყენებით, გამოკითხნენ განათლების ექსპერტები, მასწავლებლები და მოსწავლეები. ფოკუს-ჯგუფს ხშირად ჯგუფურ სიდიდის ელემენტებს უწოდებენ ხოლმე, როგორც თინათინ ზურაბიშვილის წიგნში, „სოციალური კვლევის მეთოდები“ ვხვდებით: „ფოკუს-ჯგუფები გამოიყენება კვლევის დაზვერვით ეტაპზე, როგორც ნაკლებად ცნობილი პრობლემის შესწავლის პირველი ნაბიჯი, რომელიც გვეხმარება საერთო ჰიპოთეზების ფორმულირებაში. გარდა ამისა, ფოკუს-ჯგუფების მსვლელობისას მიღებული ინფორმაცია მდიდარ და

სასარგებლო მასალას იძლევა მასობრივი გამოკითხვის კითხვარის/ანკეტის შესადგენად, კერძოდ, კითხვების ჩამოყალიბებისა და მათი “დახურვის” დახვეწის მიზნით, ვინაიდან ფოკუს-ჯგუფების მსვლელობაში კარგად ვლინდება რესპონდენტების “ლექსიკონი” და მათი აზროვნების მოდელები.“ (ზურაბიშვილი 2005 გვ.30) სწორედ ანკეტის შეკითხვების შესაქმნელად ჩატარდა ფოკუს-ჯგუფები. ამის შემდგომ, ევროსაბჭოსა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული მასწავლებლისა და მშობლის ციფრული მოქალაქეობის კითხვარებისა და ფოკუს-ჯგუფებზე შეგროვებული ინფორმაციით, ქართულ კონტექსტზე მორგებული ციფრული მოქალაქეობის აღსაწერი სამი ინსტრუმენტი შეიქმნა: მასწავლებლებისთვის, მშობლებისა და მოსწავლეებისათვის²³. ანკეტები შედგებოდა განსხვავებული თემატური ბლოკებისგან. ყველა მათგანი მოიცავდა დემოგრაფიულ, ინფორმაციულ-ტექნოლოგიურსა და ციფრული მოქალაქეობის თემატურ ბლოკებს, რაზე დაყრდნობითაც შეგროვდა და გაანალიზდა ციფრული მოქალაქეობის ფენომენის აღწერა ქართულ სკოლებში. ანკეტების შემუშავების შემდეგ განისაზღვრა შერჩევის დიზაინი. კვლევის პოპულაციას წარმოადგენდნენ საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები. კოვიდ 19-ის რეგულაციებისა და კვლევისთვის არსებული მცირე ბიუჯეტის გამო, კვლევის ობიექტების შერჩევა განხორციელდა კლასტერული შერჩევის გამოყენებით. პირველ ეტაპზე განხორციელდა გენერალური ერთობლიობის კლასტერებად დაყოფა. კლასტერული შერჩევის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმაა ტერიტორიული შერჩევა (area sampling). ასეთი შერჩევის ფარგლებში კლასტერები გეოგრაფიული ერთეულებისგან შედგება, ეს შეიძლება იყოს მხარე, რეგიონი, ან რაიონი. საქართველოში სკოლები რეგიონული მდებარეობის მიხედვით იყოფა. შესაბამისად, შეირჩა თბილისის, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლები. კლასტერების წარმოქმნის შემდეგ, არც ერთი განსხვავებული სკოლა არ დარჩენილა რეგიონის მიხედვით, რომელიც კლასტერში არ გაერთიანდებოდა. ამის შემდეგ განხორციელდა შერჩევითი ერთობლიობის ფორმირება მხოლოდ ამორჩეული კლასტერების ფარგლებში. შერჩევის ერთობლიობის ფორმირების მიხედვით, კლასტერული შერჩევა შეიძლება იყოს ერთსაფეხურიანი, ორსაფეხურიანი ან მრავალსაფეხურიანი. ამ შემთხვევაში გაკეთდა ორსაფეხურიანი კლასტერული, კერძოდ, ალბათური შერჩევა მოცულობის პროპორციულად. კვლევით ჯგუფს

²³ იხილეთ სტრუქტურირებული ანკეტები, დანართები №3, №4 და №5.

ჰქონდა სკოლის პედაგოგებისა და მოსწავლეების ბაზა. ბაზებიდან შეირჩა თითოეული კვლევის ობიექტი ჯგუფიდან ის რაოდენობა, რომელიც საკმარისი იყო კვლევის მიზნებისა და ამოცანებისათვის. გამოკითხვის დროს სულ გამოკითხნენ შემდეგი რაოდენობის რესპონდენტები:

სტატუსი/ სკოლა	დასავლეთ საქართველო (საჩხერის მე-2 საჯარო სკოლა)	თბილისის 186-ე საჯარო სკოლა	თბილისის 64-ე საჯარო სკოლა	აღმოსვლეთი (რუსთავის მე-4 საჯარო სკოლა)	აღმოსავლეთ საქართველო (თელავის მე-9 საჯარო სკოლა)	ჯამი
მასწავლებელი	39	62	14	64	26	205
მოსწავლე	173	253	91	354	101	972
მშობელი	207	76	50	291	153	777
ჯამი	419	391	155	709	280	1954

რაოდენობრივი ინფორმაცია დამუშავდა პროგრამა SPSS 25-ის გამოყენებით. დათვლილია რესპონდენტთა ციფრულ მოქალაქეობაზე მოსაზრებების სიხშირეები, პროცენტები და კორელაციები.

5.4. კვლევის შედეგები და დისკუსია

კვლევის შედეგები ასახავს გამოკითხული მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მათი მშობლების ციფრული მოქალაქეობის შესახებ ინფორმირებულობას.


ვინაიდან ციფრული მოქალაქეობა ქართულ კონტექსტში ახალი დარგია, ჯერ-ჯერობით მწირია მისი სამართლებრივი ბაზა. არსებობს მხოლოდ საქართველოს კიბერუსაფრთხოების 2021–2024 წლების ეროვნული სტრატეგია და მისი სამოქმედო გეგმა (საქართველოს მთავრობა, 2021), რომლის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს კიბერსივრცეში უსაფრთხოდ და დაცულად ფუნქციონირებისთვის სკოლის მოსწავლეებისა და სტუდენტებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარება და განათლების დონის ამაღლება. დასახული ამოცანის მისაღწევად განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ფუნქციად განისაზღვრა საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) „ციფრული მოქალაქეობის შესახებ“ სწავლების დანერგვა. კიბერ უსაფრთხოების სტრატეგიის გათვალისწინებით, ზოგადი განათლების მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმაში (2018–2024) შევიდა ცვლილებები და აისახა სტრატეგიის მოთხოვნა. ამის შესახებ გამოკითხულ რესპონდენტებს ინფორმაცია არ აქვთ, ვინაიდან

საველე სამუშაოები განხორციელდა 2020 წელს. იმ შემთხვევაში, თუ ესგ-ში 2020 წელს განხორციელდებოდა ცვლილება, სავარაუდოდ მასწავლებლები უფრო ინფორმირებულები იქნებოდნენ. რიბლის მიხედვით, აუცილებელია ქვეყანას ჰქონდეს ციფრული კანონმდებლობა და ასევე, მნიშვნელოვანია მასწავლებლებმა, მოსწავლეებმა და მშობლებმა გააცნობიერონ აღნიშნული კანონმდებლობა (Ribble M. , Digital Citizenship in Schools: Nine Elements All Students Should Know, 2015).

საინტერესო იყო კვლევის რესპონდენტების დამოკიდებულება მოსწავლეთა ციფრული უსაფრთხოებისადმი.

გამოკითხული პედაგოგების 82%-ის თქმით, მათ მოსწავლეებს აქვთ სმარტფონი, ხოლო მათი 76%-ის აზრით, მოსწავლეებს სმარტფონი 13 წლამდეც კი აქვთ. ასევე, გამოკითხული პედაგოგების 52%-ის მიხედვით, მათ მოსწავლეებს აქვს ანგარიში სოციალურ ქსელში, მიუხედავად მათი შეუსაბამო ასაკისა (13 წლამდე).

გრაფიკი №1 – მოსწავლეები და სმარტფონები



მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხული პედაგოგების 96%-ს სმენია საფრთხის შემცველი მართული ძალადობრივი თამაშების/სუიციდური ონლაინ გამოწვევების შესახებ (მაგ., „1“, „მომოს გამოწვევა“, „ლურჯი ვეშაპი“ და სხვ.) და, ამასთან, მათი ინფორმაციით მოსწავლეებს შეუსაბამო ასაკში აქვთ


სოციალური ქსელის ანგარიში, მათი 46%—ი არ აკვირდება მოსწავლეთა აქტივობებს ფეისბუქში, ხოლო, დანარჩენი აკვირდება, რაც ფეისბუქზე დამეგობრებით შემოიფარგლება, თუმცა, არ ესაუბრება მოსწავლეებს ონლაინ თამაშებისა და მათთან დაკავშირებული საფრთხეების შესახებ.

შეკითხვაზე — „ესაუბრები ჩემს მოსწავლეებს იმაზე, თუ როგორ უნდა მოიცნენ იმ შემთხვევაში, თუ ვინმემ ონლაინ დააბულინგა ან ცუდად მოექცა, ან თუ შეესწრნენ ვინმეს დაბულინგების, ან დაჩაგვრის ფაქტს?“ — შემდეგი მონაცემები დაფიქსირდა:

დიახ, პრევენციისთვის	67,8 %
არა, ჩემი მოსწავლეები თავად გაუმკლავდებიან	3,9 %
მხოლოდ მაშინ, როდესაც რაიმე სპეციფიკური ხდება და პრობლემას წავაწყდები	28,3 %

გამოკითხული პედაგოგების 13%-ის მიხედვით, მათ სკოლაში შემუშავებული არ არის სასკოლო შეთანხმება ინტერნეტის გამოყენების შესახებ, 48%-ის მიხედვით, მსგავსი შეთანხმება აქვს სკოლას, მაგრამ მხოლოდ უფროსკლასელებისთვის. მხოლოდ გამოკითხულთა 35%-ის მიხედვით აქვს სკოლას მსგავსი შეთანხმება ყველა მოსწავლისთვის.

გრაფიკი №2 – სასკოლო შეთანხმება ინტერნეტის გამოყენებაზე



გაჯეტების გამოყენებასთან დაკავშირებით, პედაგოგების 55%-ს ერთადერთი შეზღუდვა და მოხმარების წესი დროის ფაქტორთან აქვთ დაკავშირებული. ისინი მხოლოდ იმას აქცევენ ყურადღებას, რამდენი ხნით არის მოსწავლე ინტერნეტში, მაგრამ მხოლოდ 3%-ი აფრთხილებს, რომ არასოდეს ესაუბრონ უცნობ ადამიანს ონლაინ, 2%-ი ასწავლის, რომ კრიტიკულად შეაფასონ ონლაინ ინფორმაცია, 3% - პატივი სცენ სხვა ადამიანებსა და მათ ონლაინ ცხოვრებას და მხოლოდ 4%-ი, რომ არ შეიძლება საჯაროდ მობილური ნომრებისა და სხვა პერსონალური ინფორმაციის სოციალურ ქსელში ატვირთვა.

კვლევამ გამოამჟღავნა, რომ შესწავლილ სკოლებში გამოკითხული მოსწავლეების 73%-ს მე-7-დან 9 კლასამდე აქვს სმარტფონი და გამოკითხული მოსწავლეების ყველაზე მეტი, 45%-ი ამბობს, რომ საშუალოდ დღიურად 4 საათზე მეტს ატარებს ინტერნეტში.


მოსწავლეების 97%-ი სარგებლობს სოციალური ქსელებით და მათგან 39%-ს ფეისბუქი 11 წლამდე აქვს. იმ მოსწავლეების 32%-ი, რომლებსაც აქვთ სოციალური ქსელი, ამბობს, რომ მათ აქტივობას სოციალურ ქსელში მშობლები არ აკვირდებიან. ხოლო, ვინც საწინააღმდეგო მოსაზრებას აფიქსირებს, ამბობს, რომ მშობლები მხოლოდ ინტერნეტში გატარებულ დროს უკონტროლებენ და სხვა ინფორმაციით არ ინტერესდებიან. ამავე დროს გამოკითხულთა 52%-ი ამბობს, რომ მშობლებს იმ შემთხვევაში უყვებიან საკუთარი ონლაინ აქტივობის შესახებ, თუ ისინი ჰკითხავენ. თავისი ინიციატივით მშობლები შვილების ონლაინ აქტივობებს არ აკონტროლებენ, რასაც ქვემოთ მოცემული მონაცემები ადასტურებს.

გამოკითხულ მშობელთა 82%-ი ამბობს, რომ მათი შვილი/შვილები/აღსაზრდელი/აღსამზრდელები სარგებლობენ პირადი სმარტფონით. ამავე დროს გამოკითხულთა 70%-ი ამბობს, რომ ბავშვებს აღნიშნული გაჯეტი მე-7 კლასამდე ჰქონდათ. მშობელთა 84%-ი ამბობს, რომ მათი შვილი სარგებლობს სოციალური ქსელებით და ამათგან 37%-ი ამბობს, რომ 11 წლამდე დაიწყეს სოციალური ქსელის მოხმარება. აღნიშნული პასუხების თანადროულად, მათი 76%-ი ამბობს, რომ მათი, ან შვილების გაჯეტები მშობელთა კონტროლის ფილტრებით (მაგ., საძიებო ბრაუზერების, ასაკობრივად შეუსაბამო ვებგვერდების დასაბლოკი საშუალებებით) აღჭურვილი არ არის.

გამოკითხული მშობლების 59%-ი ამბობს, რომ მათ შვილებს, მიუხედავად შეუსაბამო ასაკისა (13 წლამდე), აქვთ ფეისბუქი. გამოკითხული მშობლების 57%-ს არ აქვს შემუშავებული ოჯახური შეთანხმება ინტერნეტის გამოყენების

შესახებ, რა ინფორმაციის გაზიარება შეუძლიათ შვილებს ონლაინ, ან მობილური ტელეფონით, ხოლო 40%—ი საერთოდ არ აკონტროლებს, რამდენ დროს ატარებს ბავშვი ონლაინ. გამოკითხული მშობლების 33%—ი ამბობს, რომ შვილები მათ ონლაინ საფრთხეების შესახებ არ უყვებიან.

გრაფიკი №3 – შვილები და ფეისბუქი




კვლევის მონაცემებზე დაყრდნობით შესაძლოა მსჯელობა, რომ შესწავლილ სკოლებში მასწავლებლებს, მშობლებსა და მოსწავლეებს შორის ციფრული უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით საუბარი და კომუნიკაცია ჯერ არ დაწყებულა. როგორც მასწავლებლების გამოკითხვამ უჩვენა, მათი კომპეტენცია დაბალია ციფრული მოქალაქეობის საკითხებში და, ამიტომ, ვერ ახერხებენ მოსწავლეებთან აღნიშნულ საკითხებზე მსჯელობას. ციფრული მოქალაქეობის დაბალ კომპეტენციას თავად მასწავლებლებიც აცნობიერებენ, რაზეც მეტყველებს მონაცემი, რომ მასწავლებელთა 95%—ს სურს დამატებითი ინფორმაციისა და ცოდნის მიღება ციფრულ მოქალაქეობაზე. სავარაუდოდ, ციფრული მოქალაქეობის დაბალი კომპეტენცია არის იმის მიზეზი, რომ ციფრულ უსაფრთხოებაზე არ საუბრობენ.

კვლევამ გამოამჟღავნა, რომ საჯარო სკოლის პედაგოგების 58%—ს, მოსწავლეების 43%—სა და მშობლების 44%—ს არ აქვთ ინფორმაცია ნეტიკეტის

შესახებ. მათ, სავარაუდოდ, არ აქვთ ზუსტი ინფორმაცია ონლაინ ქცევის წესების შესახებ, თუმცა, გამოკითხულთა საკმაოდ დიდი რაოდენობა ასახელებს ისეთ პასუხებს, რომლის მიხედვითაც შესაძლოა დასკვნა, რომ ისინი ციფრული ეტიკეტის წესების მიხედვით მოქმედებენ ონლაინ.

გრაფიკი №4 – ნეტიკეტი და პედაგოგები



გამოკითხული პედაგოგების 65%-ი ამბობს, რომ სანამ ონლაინ რაიმეს დაპოსტავს, ფიქრობს, ვინმეს რაიმე არ დაუშაოს, ან გული ატკინოს. მათი 82%-ი ამბობს, რომ ონლაინ გამოხატვის დროს უნდა დავიცვათ ადამიანთა უფლებები, თუმცა, არ შევზღუდოთ სიტყვის თავისუფლება.

პედაგოგების 5%-ი ამბობს, რომ ხშირად დებს ფოტოებსა და ვიდეოებს, სადაც სხვა ადამიანებიც ჩანან მათთან ერთად მათი ნებართვის გარეშე. 5%-ი ამბობს, რომ სოციალურ ქსელში ხშირად ასაჯაროებს მოსწავლეების ფოტოებს ან სასკოლო ცხოვრებას.

გამოკითხული მოსწავლეების 54%-ი ამბობს, რომ ციფრული მოქალაქეობა ნიშნავს, ადამიანის უფლებებისა და ინტელექტუალური განსხვავების პატივისცემასა და დაფასებას. მათი 38%-ი თვლის, რომ მათი და სხვების ონლაინ პერსონალური ინფორმაცია უნდა დაცვას, ხოლო 23%-ი თვლის, რომ

სხვებს ისე უნდა მოექცეს ონლაინ, როგორც ისურვებდა, რომ მას მოქცეოდნენ. მათი 65%—ი ამბობს, რომ სანამ ონლაინ რამეს დაპოსტავს, ფიქრობს სხვას გული არ ატკინოს და არ დააზიანოს. თუმცა, მოსწავლეების 30%—ი თვლის, რომ მათი გამოხატვის თავისუფლება ონლაინ უსაზღვროა, ხოლო 58%—ი ამბობს, რომ ეს დამოკიდებულია მათ ასაკზე.

გამოკითხული პედაგოგების 65%—ი ამბობს, რომ ციფრული მოქალაქე ნიშნავს ადამიანს, რომელიც უფრთხილდება ინტელექტუალურ საკუთრებასა და საავტორო უფლებებს. მათი 31%—ი თვლის, რომ ციფრული მოქალაქეა ადამიანი, რომელმაც მათი და სხვების ონლაინ პერსონალური ინფორმაცია უნდა დაიცვას. მშობლების მხოლოდ 14%—ი ამბობს, რომ მათი გამოხატვის უფლება ონლაინ უსაზღვროა, ხოლო 53%—ის აზრით, შეზღუდულია.

როგორც გამოკითხვამ გამოამჟღავნა, კვლევის რესპონდენტებს ინფორმაცია არ აქვთ ციფრული კანონმდებლობისა და ეტიკეტის შესახებ, თუმცა, ისინი თვლიან, რომ პატივი უნდა სცენ სხვების უფლებებს და სანამ რაიმეს დაპოსტავენ ონლაინ, უნდა გაიაზრონ სხვას რას დაუშავენ. როგორც რიბლი აღნიშნავს, ადამიანები იმ კონკრეტული საზოგადოების წევრები არიან, რომელშიც ცხოვრობენ და თუ აღნიშნული საზოგადოებისთვის, მაგალითად, დაშვებულია, ან დაუშვებელია კონკრეტული წესის დარღვევა, შესაბამისად იქცევიან ადამიანები ციფრულ სივრცეშიც (Ribble M. , 2015). შესაძლოა, კვლევის რესპონდენტებს არ აქვთ ინფორმაცია ციფრული კანონებისა და მოქალაქეობის შესახებ, მაგრამ, მათ საზოგადოებაში, ზოგადად უფრთხილდებიან ადამიანების უფლებებს და რესპონდენტები სასკოლო ციფრულ სივრცეშიც იგივეს იმეორებენ.

გამოკითხული პედაგოგების 41%—ი ამბობს, რომ საკმაოდ გარკვეულია, 56% – მეტ-ნაკლებად გარკვეულია და მხოლოდ 3%—ი ამბობს, რომ ნაკლებად გარკვეულია ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში. ისეთ ცვლადებს, როგორიცაა პედაგოგის ცოდნა ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში და სკოლა, რეგიონი (თბილისი, აღმოსავლეთი თუ დასავლეთ საქართველო) შორის კორელაციას სტატისტიკური მნიშვნელობა არ აქვს.

		2. გთხოვთ, მიუთითოთ სკოლა სადაც ასწავლით.	6. თქვენი აზრით, რამდენად გარკვეული ხარო ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში?
2. გთხოვთ, მიუთითოთ სკოლა სადაც ასწავლით.	Pearson Correlation	1	,050
	Sig. (2-tailed)		,475
	N	205	205
6. თქვენი აზრით, რამდენად გარკვეული ხარო ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში?	Pearson Correlation	,050	1
	Sig. (2-tailed)	,475	
	N	205	205

გამოკითხული პედაგოგების 51%-ს არ სმენია ციფრული მოქალაქეობის შესახებ, ხოლო, ვისაც სმენიათ, მათ პასუხებსა და სკოლის ადგილმდებარეობას შორის კორელაციას სტატისტიკური მნიშვნელობა არა აქვს.

		2. გთხოვთ, მიუთითოთ სკოლა სადაც ასწავლით.	25. გსმენიათ თუ არა „ციფრული მოქალაქეობის“ შესახებ?
2. გთხოვთ, მიუთითოთ სკოლა სადაც ასწავლით.	Pearson Correlation	1	,047
	Sig. (2-tailed)		,504
	N	205	205
25. გსმენიათ თუ არა „ციფრული მოქალაქეობის“ შესახებ?	Pearson Correlation	,047	1
	Sig. (2-tailed)	,504	
	N	205	205


პედაგოგების აზრით, ციფრული მოქალაქე ნიშნავს:

ადამიანს, რომელიც იცავს ციფრულ სივრცეში განთავსებულ პერსონალურ ინფორმაციას	113	34,7%	55,1%
ადამიანს, რომელიც უფრო ხილდება ინტელექტუალურ საკუთრებას და საავტორო უფლებებს	92	28,2%	44,9%
ადამიანს, რომელიც ტოლერანტულია ინტერკულტურული თავისებურებების მიმართ	56	17,2%	27,3%
ადამიანს, რომელიც კრიტიკულად აფასებს ციფრული გზით მოპოვებულ ინფორმაციას	42	12,9%	20,5%

გამოკითხული, მოსწავლეების 42%—ი თვლის, რომ ის საკმაოდ გარკვეულია ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში, 52% – მეტ-ნაკლებად, ხოლო, 6% – ნაკლებად.

გამოკითხული მოსწავლეების 84%-ს ციფრული მოქალაქეობის შესახებ არაფერი სმენია.

გრაფიკი №5 – ციფრული მოქალაქეობა და მოსწავლეები



მოსწავლეთა 18%-ი თვლის, რომ ადამიანი ციფრული მოქალაქეა, თუ მას ინტერნეტში შესვლა შეუძლია, 16%-ი თვლის, რომ ასეთი ადამიანია ის, რომელსაც ვებ-გვერდის შექმნა შეუძლია. 28%-ი თვლის, რომ ასეთია ადამიანი, ვინც სოციალურ ქსელშია ჩართული, ანუ ჯამში, გამოვითხული მოსწავლეების 64% შეცდომით განმარტავს ციფრულ მოქალაქეს, მხოლოდ 36% განმარტავს სწორად, რომ ეს არის ადამიანი, რომელიც ტექნოლოგიებს იყენებს ეთიკისა და უსაფრთხოების წესების დაცვით. აღმოჩნდა, რომ ინტერნეტიზაციის ხარისხს ციფრული მოქალაქეობის შესახებ ინფორმირებულობაზე გავლენა მოსწავლეების შემთხვევაში არ აქვს.

გამოვითხული მშობლების 34%-ი საკმაოდ, 60%-ი მეტნაკლებად და 6%-ი ნაკლებად არის გარკვეული ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში. გამოვითხული მშობლების 80%-ს არ სმენია ციფრული მოქალაქეობის შესახებ. ხოლო, გამოვითხული მშობლების 11%-ი ვარაუდობს, რომ ციფრულია მოქალაქე, რომელსაც ინტერნეტში შესვლა შეუძლია, 17%-ი ვარაუდობს, რომ ეს არის ადამიანი, რომელსაც ვებ-გვერდის შექმნა შეუძლია, 22%-ი ამბობს, რომ ესაა ადამიანი, რომელიც ჩართულია სოციალურ ქსელში. გამოვითხულთა 50%-ი არასწორად განმარტავს ციფრულ მოქალაქეს.


გამოვითხვამ გამოამჟღავნა, რომ მასწავლებლებს, მოსწავლეებსა და მშობლებს არ აქვთ ციფრული წიგნიერების კომპეტენცია. ეს იმ პირობებში, როდესაც მათი სკოლებისა და სახლების უმეტესობა აღჭურვილია ინტერნეტით და აქვთ სხვადასხვა გაჯეტები. სწორედ, ამ მოვლენაზე საუბრობს რიბლი, როდესაც ამბობს, რომ თანამედროვე ეპოქაში სკოლები კარგად არის აღჭურვილი ციფრული ტექნოლოგიებით, პედაგოგებს, მოსწავლეებსა და მასწავლებლებს ხელი მიუწვდებათ იმდენ ტექნიკაზე, რამდენზეც არასოდეს მიუწვდებოდათ წარსულში, თუმცა, აქ ჩნდება პრობლემა, რამდენად აქვთ ინფორმაცია იმაზე, თუ როგორ გამოიყენონ შესაბამისად და ციფრული მოქალაქეობის პრინციპების დაცვით აღნიშნული ტექნოლოგიები (Ribble M., 2015). როგორც ზოგადად, ყველა საზოგადოებაში, შესწავლილ სკოლებშიც, რესპონდენტებს აქვთ ტექნოლოგიები, მაგრამ არ იციან შესაბამისი გამოყენება ციფრული მოქალაქეობის პრინციპების დაცვით.

გამოვითხული პედაგოგების სრულ უმრავლესობას არ აქვს ინფორმაცია, რა არის ციფრული ანაბეჭდი. გამოვითხული მოსწავლეების 38%-ი ამბობს, რომ მას წარმოადგენა არ აქვს, რას ნიშნავს ციფრული ანაბეჭდი, ხოლო 51%-ი თვლის,

რომ ეს არის კვალი, რომელსაც ტოვებს ყველა ლაიქის დაწკაპებასა თუ რაიმის მოძებნის შემდეგ. გამოკითხული მშობლების 35%-ი ამბობს, რომ წარმოადგენა არ აქვს, რა არის ციფრული ანაბეჭდი და მათგან ვერცერთი ასახელებს სწორედ, რომ ეს არის კვალი, რომელსაც ტოვებს ყველა ლაიქის დაწკაპებასა თუ რაიმის მოძებნის შემდეგ.

გამოკითხული მასწავლებლების 70%-ი ამბობს, რომ ძალიან ცოტა რამ იცის საკუთარი მოსწავლეების ონლაინ ცხოვრებასა და მეგობრებზე.

გრაფიკი №6 – მოსწავლეთა ონლაინცხოვრება და მასწავლებლები



მშობლების 71%-ი ამბობს, რომ თითქმის ყველაფერი იცის საკუთარი შვილების ონლაინ ცხოვრებასა და მეგობრებზე. გამოკითხული მოსწავლეების 58%-ი მშობლებს ყველაფერს უყვება ონლაინ ცხოვრებასა და მეგობრებზე, ხოლო, მათი, 27% – არაფერს.


ციფრული რევოლუციის ერთ-ერთი მთავარი მონაპოვარი არის ადამიანების ერთმანეთთან ურთიერთობა (Suson, 2019). კვლევამ გამოავლინა, რომ შესწავლილ სასკოლო სივრცეში მასწავლებლები და მოსწავლეები ერთმანეთთან არ საუბრობენ. ეს შესაძლოა განპირობებულია ქართულ სკოლებში მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის თანამშრომლობის კულტურის

თავისებურებებით, რომელიც უფრო ჩაკეტილია და ნაკლებად ხასიათდება ღიაობით. საგარაუდოდ, ეს გავლენას ახდენს მოსწავლეთა ჩაკეტილობაზე და ისინი ონლაინ ცხოვრებასა და პრობლემებზე პედაგოგებთან არ საუბრობენ.

გამოკითხული პედაგოგების 53%-ისთვის ციფრულ ხელმისაწვდომობა არის, როცა ადამიანს ბარიერების მიუხედავად, შეუძლია თანასწორი მონაწილეობა ნებისმიერ ონლაინ აქტივობაში, 40%-ისთვის ეს არის, ინტერნეტში ინფორმაციაზე ნებისმიერ დროს წვდომა, ნებისმიერი ადგილიდან და მხოლოდ 6%-ის აზრით, ეს არის ადამიანის უნარი, შეძლოს, ატვირთოს ინფორმაცია ინტერნეტში ნებისმიერ დროს, ნებისმიერი ადგილიდან.

პედაგოგების 92%—ი ამბობს, რომ მათი სკოლა აღჭურვილია ინტერნეტის ქსელით, მხოლოდ 8%—ი ამბობს, რომ სკოლას ინტერნეტი არ აქვს. ამავე დროს მათ 97%-ს აქვს სოციალური ქსელი და მათი 39%—ი ხშირად იყენებს მას. ასევე, გამოკითხულთა 99%—ს აქვს ელექტრონული ფოსტა, რომელსაც მათი 88%—ი ხშირად იყენებს.

გრაფიკი №7 – სკოლა და ინტერნეტი



მშობლების 96%—ი ამბობს, რომ სახლში აქვს ინტერნეტი. მშობლების შემთხვევაშიც აღმოჩნდა, რომ ინტერნეტიზაციასა და ციფრული მოქალაქეობის შესახებ ინფორმირებულობას შორის კავშირი არ არსებობს.

მოსწავლეების 95%-ის საცხოვრებელი ბინა აღჭურვილია ინტერნეტის ქსელით და მათი 96%-ს აქვს ინტერნეტში ჩართული გაჯეტი (პლანშეტი, ლეპტოპი, მობილური/სმარტფონი, კომპიუტერი), ხოლო მათ 92%-ს აქვს პირადი სმარტფონი.


შესწავლილ სკოლებში პედაგოგებს, მოსწავლეებსა და მშობლებს აქვთ წვდომა ინტერნეტსა და სოციალურ ქსელებზე, თუმცა არ აქვთ ინფორმაცია ციფრულ მოქალაქეობაზე. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ შესწავლილ სკოლებში რესპონდენტების აზრით ინტერნეტიზაციის ხარისხს, სავარაუდოდ, გავლენა არ აქვს ციფრული მოქალაქეობის შესახებ მათ ინფორმირებულობაზე. კვლევამ გამოავლინა, რომ ციფრული მოქალაქეობა, როგორც ახალი დარგი, ქართულ ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში ჯერ შესწავლილი და დანერგილი არ არის, მიუხედავად სკოლებისა და მოსწავლეთა საცხოვრებელი სახლების ინტერნეტიზაციის მაღალი დონისა და მათი ტექნოლოგიებთან წვდომისა. რიბლი აღნიშნავს, რომ მსოფლიოს მასშტაბით სკოლები ყიდულობენ ტექნოლოგიებს, მაგრამ მოსწავლეთა მცირე ნაწილს ასწავლიან აღნიშნული ტექნოლოგიების ისე გამოყენებას, რომ მას, როგორც მომავალ ციფრულ მოქალაქეს ცხოვრებაში გამოადგეს. მისივე აზრით, მასწავლებლები და სკოლის ადმინისტრაცია უნდა გადამზადდნენ და გაიაზრონ, რომ ციფრული მოქალაქეობის შესახებ ინფორმირებულობა და ციფრული მოქალაქის კომპეტენციები საჭიროა ყველა მოსწავლისთვის და არა მხოლოდ ერთეულებისთვის (Ribble M. , 2015).

გამოკითხული პედაგოგების 88%-ი ამბობს, რომ ყოველთვის ამოწმებს და აფასებს ონლაინ ინფორმაციას საიმედოობის, სიმართლისა და სიზუსტის მხრივ.

მასწავლებლების 6%-ი ამბობს რომ ზოგჯერ ინტერნეტიდან ტვირთავს ისეთ მასალებს, ფილმებს, რომელიც იცის რომ არ არის ლეგალური.

მოსწავლეების 65%-ი ამბობს, რომ მშობლები მათ ონლაინ აქტივობებს არ აკონტროლებენ. არ აქვთ ცოდნა და ინფორმაცია, როგორ შეიძლება ავნოს მოსწავლის ჯანმრთელობას დიდი ხნის განმავლობაში ონლაინ აქტივობაში.

გრაფიკი №8 – მშობლები და მოსწავლეთა ონლაინ აქტივობა



მოსწავლეების 39%—ი ამბობს, რომ მხოლოდ ასაკის შეუსაბამო გვერდებს უბლოკავენ მშობლები. მოსწავლეების მიხედვით, ეს დროის კონტროლთან ერთად, მეორე დასახელებული ხერხია, რითიც მშობლები მათ ონლაინ აქტიურობას აკონტროლებენ.

კვლევამ გამოამჟღავნა, რომ სასკოლო საზოგადოება შესწავლილ სკოლებში მოსწავლეებს ინფორმაციას არ აწვდის ციფრული კომერციის შესახებ. არადა, თუ მასწავლებლებს სურთ მოამზადონ წიგნიერი ციფრული მოქალაქე, ეს საკითხი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია (Suson, 2019). ნებისმიერი, ვინც აქტიურად მუშაობს, თამაშობს ან ყიდულობს პროდუქტებს ონლაინ, არის არა მხოლოდ ციფრული საზოგადოების წევრი, არამედ ეკონომიკურად აქტიური ადამიანი. გარდა ამისა, მოსწავლეებმა უნდა გააცნობიერონ, რომ მათი ონლაინ მოქმედება შეიძლება განაპირობებდეს და ზეგავლენას ახდენდეს მათ ცხოვრებაზე (მაგ., საკრედიტო ბარათების დავალიანების გამო, შესაძლოა, სრულად დაებლოკოთ ანგარიშები და ა.შ.). თუ მასწავლებლებს სურთ ხელი შეუწყონ მოსწავლეთა მოქალაქეობრივ წიგნიერებას, მათ აუცილებლად უნდა

უზრუნველყონ ისინი ციფრული ეკონომიკისა და კომერციის შესახებ ცოდნითა და ინფორმაციით (Ribble M. , 2015). ელექტრონული კომერციის შესახებ მოსწავლეზე მორგებული ცოდნა უნდა დაინერგოს სკოლებში, რაც ხელს შეუწყობს პასუხიმგებლიანი ციფრული მოქალაქეებიდ ჩამოყალიბებას. კვლევამ გამოამჟღავნა, რომ ციფრული კომერციის შესახებ საუბარი და მსჯელობა შესწავლილ სკოლებში ჯერ დაწყებულიც არ არის, რადგან მასწავლებლებსა და დირექტორებს ამის შესახებ არ აქვთ საკმარისი და ობიექტური ინფორმაცია. ამას გარდა, მშობლებმაც არ იციან, როგორ შეძლონ შვილებთან კომუნიკაცია, რომ თავიდან აიცილონ გაჯეტების უმიზნო მოხმარება და ჯანმრთელობის თანმდევი პრობლემები.

გამოკითხვის დროს პედაგოგები აფიქსირებდნენ საკუთარ პოზიციას შემდეგ შეკითხვაზე: „საჯარო კომპიუტერზე სოციალურ ქსელში შესვლისას ხედავთ, რომ თქვენამდე მომხმარებელი, არ გამოსულა თავისი ანგარიშიდან და მის სოციალურ ქსელში აღმოჩნდით, რას მოიმოქმედებთ?“ კითხვაზე პასუხები შემდეგნაირად განაწილდა:

გამოვალ მისი პროფილიდან სანამ ჩემსაზე შევალ	70%
არაფერს ვიზამ, უბრალოდ სხვა კომპიუტერს გამოვიყენებ	2%
დავბოსტავ ამ სოციალური ქსელის კედელზე იმ იმედით, რომ რომელიმე მისი მეგობარი შეიტყობს ამ სიტუაციის შესახებ	3%
პირად შეტყობინებას გავუგზავნი, ვურჩევ, რომ შემდეგში უფრო ფრთხილად მოიქცეს	24%

დამატებით, გამოკითხული პედაგოგების 22%-ი საძიებო სისტემების გამოყენებისას, ყოველთვის ენდობა პირველივე შემხვედრ ბმულს. ხოლო მათი მხოლოდ 25%-ი არ ამჟღავნებს პერსონალურ ინფორმაციას ინტერნეტში.


გამოკითხული მოსწავლეების 61%-ი ამბობს, რომ თუ სადმე საჯარო კომპიუტერთან დაჯდება და აღმოაჩენს, რომ უცხო ადამიანს ანგარიში დარჩა ჩართული, გამოვა მისი პროფილიდან და შევა თავისაზე, თუმცა, მხოლოდ 31%-ი ამბობს, რომ შეატყობინებს აღნიშნულ ადამიანს, რომ შეცვალოს პაროლი და დაიცვას საკუთარი ონლაინ უსაფრთხოება.

მშობლების 66%-ი ამბობს, რომ თუ შემთხვევით უცხო კომპიუტერზე სხვა ადამიანის ანგარიშს წააწყდება, გამოვა ამ ანგარიშიდან და მხოლოდ შემდეგ შევა თავის ანგარიშზე. მხოლოდ 28%-ი ამბობს, რომ პირად შეტყობინებას

გაუგზავნის ამ ადამიანს, რომ მომავალში უფრო ფრთხილად მოიქცეს.

კითხვაზე მონაწილეობთ თუ არა პეტიციებში, რომელიც მისი, როგორც მოქალაქისა და ციფრული მოქალაქის უფლებებს ეხება, პასუხები შედეგნაირად გადანაწილდა: დადებითი პასუხი აქვს პედაგოგების 10%-ს, მოსწავლეების 3%-ს და მშობლების 9%-ს.

გრაფიკი №9 – პედაგოგები და პეტიციები



კვლევამ გამოამჟღავნა, რომ მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები არ მონაწილეობენ ისეთ მოქალაქეობრივ აქტივობებში, რომელიც გააუმჯობესებს ციფრული მოქალაქეობის მდგომარეობას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში. ამ შემთხვევაშიც, შესაძლოა გავლენა აქვს საზოგადოების თვისებას — ქართულ საზოგადოებაში მოქალაქეები იშვიათად მონაწილეობენ სამოქალაქო აქტივობებში, რომელიც მათ უფლებებსა და მოვალეობებს ეხებათ.

5.5 კვლევის ძირითადი მიგნებები

კვლევის მიზნებისა და ამოცანების, კვლევითი კითხვებისა და ჰიპოთეზისთვის განხორციელებული რაოდენობრივი მონაცემების ანალიზმა მკვლევარები მიიყვანა შემდეგ ძირითად მიგნებებამდე:

- ვინაიდან ციფრული მოქალაქეობა ქართულ კონტექსტში ახალი დარგია,

ჯერ-ჯერობით სამართლებრივი ბაზა ამ მიმართულებით მწირია. რაც შეეხება კიბერუსაფრთხოების სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმას, რომელიც მოიცავს 2021-2024 წლებს, მასზე კვლევის რესპონდენტებს ინფორმაცია ვერ ექნებოდათ, ვინაიდან აღნიშნული კვლევის სავსე სამუშაოები 2020 წელს ჩატარდა. შესაბამისად, რაოდენობრივმა კვლევამ ვერ აღწერა მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლების ინფორმირებულობა ციფრული კანონმდებლობის კუთხით.

- რაც შეეხება, ციფრულ უსაფრთხოებას, მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხული პედაგოგების უმრავლესობას სმენია საფრთხისშემცველი მართული ძალადობრივი თამაშების/სუიციდური ონლაინ გამოწვევების შესახებ (მაგ., „1“, „მომოს გამოწვევა“, „ლურჯი ვეშაპი“ და სხვ.), ისინი არ აკვირდებიან მოსწავლეების აქტივობებს სოციალურ ქსელში. ეს შესაძლოა, მათი ციფრული მოქალაქეობის დონეზე მეტყველებს და კავშირშია იმასთან, რომ გამოკითხულ პედაგოგებს არ აქვთ ინფორმაცია ციფრული მოქალაქეობის შესახებ. ამას გარდა, მშობლებმა არ იციან, როგორ შეიმუშაონ ოჯახური წესები ინტერნეტის უსაფრთხო გამოყენებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, ციფრული უსაფრთხოების მხრივ, კვლევამ გამოავლინა, რომ შესწავლილი სკოლების პედაგოგები და მშობლები საჭიროებენ ინფორმირებულობის გაზრდასა და გადამზადებას.
- კვლევის მონაცემების მიხედვით შესაძლოა დავასკვნათ, რომ მასწავლებლებს, მშობლებსა და მოსწავლეებს შორის ციფრული უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით შესწავლილ სკოლებში საუბარი და კომუნიკაცია ჯერ არ დაწყებულა. როგორც მასწავლებლების გამოკითხვამ აჩვენა, ისინი ვერ ერკვევიან ციფრული მოქალაქეობის საკითხებში და ამიტომ ვერ ახერხებენ მოსწავლეებთან აღნიშნულ საკითხებზე საუბარს. გამოკითხული პედაგოგების სრული უმრავლესობა დამატებით გადამზადებას ითხოვს ციფრული მოქალაქეობის მიმართულებით. შესაბამისად, არ არის გასაკვირი, რომ შესწავლილი სკოლების პედაგოგებს არ აქვთ ინფორმაცია ციფრული ეტიკეტის შესახებ.

პასუხი გაცეა კვლევით კითხვებს და დადასტურდა ჰიპოთეზა: აღმოჩნდა, რომ კვლევაში მონაწილე მასწავლებლების ნახევარს ინფორმაცია არ აქვს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე და ეს კავშირში არ არის

სკოლის გეოგრაფიულ მდებარეობასთან. ასევე, აღმოჩნდა, რომ პედაგოგების ნახევარს არ სმენია ციფრული მოქალაქეობის შესახებ და არც ეს აღმოჩნდა კორელაციაში სკოლის გეოგრაფიულ მდებარეობასთან.

შესაბამისად, ჰიპოთეზა, რომ ქართულ საჯარო სკოლებში პედაგოგებს ციფრული მოქალაქეობისა და ციფრული ეტიკეტის შესახებ ინფორმაცია საკმაოდ მწირი აქვთ და ეს არ არის დამოკიდებული მათი სკოლების გეოგრაფიული მდებარეობასთან, დადასტურდა.

კვლევამ გამოამჟღავნა, რომ მასწავლებლებს, მოსწავლეებსა და მშობლებს ხელი მიუწვდებოდა ინტერნეტზე და აქედან შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ინტერნეტიზაცია არ ზემოქმედებს მათი ციფრული მოქალაქეობის ცნობიერებაზე.

კვლევამ გამოავლინა, რომ შესწავლილი რესპონდენტებისთვის უცნობია ციფრული კომერციის, ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის საკითხები.

და ბოლოს, კვლევამ გამოამჟღავნა, რომ მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები ამ ეტაპზე არ მონაწილეობენ ისეთ მოქალაქეობრივ აქტივობებში, რომელიც გააუმჯობესებს ციფრული მოქალაქეობის მდგომარეობას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში.

თავი VI- პრაქტიკის კვლევა

წინამდებარე თავში წარმოგიდგენთ კვლევითი პროექტის ფარგლებში ერთ-ერთ სამიზნე სკოლაში განხორციელებულ პრაქტიკის კვლევის მოკლე ანგარიშს კვლევა განხორციელდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისა და სამიზნე სკოლის დირექტორისა და მასწავლებლების (კვლევის ჯგუფის) მიერ პროექტის მკვლევართა ჯგუფის ხელმძღვანელობით.

6.1. პრობლემის აქტუალობა

პრაქტიკის კვლევის პრინციპებიდან გამომდინარე საკვლევი პრობლემა შეირჩა სკოლის საჭიროებებისა და ინტერესებიდან გამომდინარე. კვლევის ჩატარების პერიოდი დაემთხვა კოვიდ პანდემიას (2020-2021სსწ. წელი), როდესაც სასწავლო პროცესი ძირითადად მიმდინარეობდა ონლაინ ან, უკეთეს შემთხვევაში, ჰიბრიდულ რეჟიმში. არსებულმა მდგომარეობამ და შექმნილმა გარემოებამ შეცვალა როგორც ზრდასრულების, ასევე მოზარდების რეალობა, მათი ყოველდღიური ცხოვრება – ადამიანები მიეჯახნენ გაჯეტებს, პირისპირ ურთიერთობები ჩაანაცვლა ონლაინ კომუნიკაციამ; მეგობრებთან ერთად სტადიონზე ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენბურთისა თუ სხვა თამაშობები ჩაანაცვლა ონლაინ თამაშებმა, ხშირ შემთხვევაში, თანაკლასელი თუ ეზოს მეგობრები ჩაანაცვლეს ვირტუალურმა მეგობრებმა, რომელთა შესახებ თითქმის არაფერი იცოდნენ მოზარდებმა და სხვ. ცხოვრების წესის შეცვლამ საგრძნობლად გაზარდა ადამიანების და, განსაკუთრებით, მოზარდების ონლაინსივრცეში გატარებული დრო.

სამიზნე სკოლის კვლევის ჯგუფთან შეხვედრისას გამოიკვეთა ის პრობლემები, რომელიც იდგა სკოლის წინაშე. როგორც სკოლის დირექტორი და პედაგოგები აღნიშნავდნენ, მოსწავლეებმა, მართალია, შეიძინეს და დღითი-დღე იუმჯობესებენ გაჯეტებთან ურთიერთობის ტექნიკურ უნარებს, მაგრამ გამოიკვეთა სერიოზული პრობლემა კიბერბულინგის, ონლაინსივრცის არასწორი/შეუსაბამო გამოყენების, ასევე ონლაინეთიკის დარღვევის შემთხვევები. მასწავლებლებსა და მშობლებს კი არ ჰყოფნიდათ კომპეტენცია ემუშავათ აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად.

6.2. კვლევის მიზანი და საკვლევი კითხვები

კვლევის ჯგუფის მიერ დასახელებული პრობლემიდან გამომდინარე, ჩამოყალიბდა **კვლევის მიზანი** – სასკოლო საზოგადოების წევრებში ციფრული მოქალაქეობის შესახებ ცნობადობის ამაღლება.

კვლევის მიზიდან გამომდინარე, ჩამოყალიბდა საკვლევი კითხვები პრობლემის დიაგნოსტიკისა და ინტერვენციების ეტაპისთვის.

დიაგნოსტიკის ეტაპის საკვლევი კითხვები:

- როგორია ციფრული მოქალაქეობის (ჩართულობა, კეთილდღეობა და უფლებები ონლაინსივცრეში) შესახებ ცნობადობა სამიზნე სკოლის საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეებში, მათ მასწავლებლებსა და მშობლებში?
- რა არის მოსწავლეებში ციფრული ცნობიერების განმაპირობებელი ფაქტორები?

ინტერვენციების ეტაპის საკვლევი კითხვები:

- გამოვლენილი დეფიციტის საპასუხოდ რა ინტერვენციები იქნება რელევანტური?
- როგორ შევაფასო ინტერვენციების ეფექტიანობა?

6.3 დიაგნოსტიკის ეტაპი

პრაქტიკის კვლევის ფარგლებში, დიაგნოსტიკის ეტაპზე, განხორციელებულია როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი კვლევა. რაოდენობრივი კვლევა განხორციელდა საბაზო-საშუალო საფეხურის ყველა მოსწავლესთან. რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში გამოყენებულია თვითადმინისტრირებული კითხვარები მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლებისთვის (იხ. დანართი 2, 3, 4). კითხვარები შემუშავდა ევროსაბჭოსთან არსებული განათლების პოლიტიკის დეპარტამენტის მიერ შემოთავაზებული კითხვარების ადაპტირების საფუძველზე. კითხვარების ანალიზის შედეგად ძირითადად პასუხი გაცეა დიაგნოსტიკის ეტაპის პირველ საკვლევ კითხვას – როგორია ციფრული მოქალაქეობის (ჩართულობა, კეთილდღეობა და უფლებები ონლაინსივცრეში) შესახებ ცნობადობა სამიზნე სკოლის საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეებში, მათ მასწავლებლებსა და მშობლებში?

დიაგნოსტიკური ეტაპის ძირითადი მიგნებები

მოსწავლეებთან (მონაწილეობდა საბაზო-საშუალო საფეხურის 165 მოსწავლე) ჩატარებული გამოკითხვის ანალიზმა გვიჩვენა, რომ დაბალია ცნობადობა ციფრული მოქალაქეობის გარკვეული საკითხების მიმართ. უჭირთ ზოგიერთი ტერმინის სწორად განმარტება, არ იციან, როგორ დაიცვან პერსონალური მონაცემები სოციალურ ქსელში ან ინტერნეტში ინფორმაციის მოძიების დროს. შეინიშნება ონლაინთამაშებზე დამოკიდებულება და სხვ.

მშობლებთან (მონაწილეობდა 123 მშობელი) ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ მათშიც არის ციფრული მოქალაქეობის ცნობადობის დეფიციტი, უმეტესობას არ გაუგია კონტროლის ფილტრების შესახებ და, შესაბამისად, არ იყენებს მათ. შვილების გაჯეტებზე დამოკიდებულებას აკონტროლებენ ისეთი ხერხებით, როგორიცაა: ტელეფონის ჩამორთმევა, ინტერნეტის გათიშვა და სხვა. აგრეთვე, საძიებო სისტემების გამოყენების დროს არ აქცევენ ყურადღებას ვებ-გვერდების სანდობას. მშობლები უმეტესწილად არ ფლობენ ინფორმაციას თავიანთი შვილების ონლაინცხოვრების და ონლაინ მეგობრების შესახებ.

მასწავლებლების (მონაწილეობდა 28 მასწავლებელი) გამოკითხვამ აჩვენა, რომ ისინი მეტ-ნაკლებად იცნობენ ციფრულ ტექნოლოგიებს, აკვირდებიან მოსწავლეების აქტიურობას სოციალურ ქსელში იმ მიზნით, რომ დაადგინონ მათი ინტერესები და შემდეგ ეს გამოიყენონ სასწავლო პროცესში. მასწავლებლები პრევენციის მიზნით ესაუბრებიან მოსწავლეებს ბუღინგის შესახებ. შეუძლიათ ტერმინების სწორად განმარტება. თუმცა, უჭირთ ინფორმაციის სანდობის გარჩევა, ხშირ შემთხვევაში ენდობიან იმ საიტებს, რომლებსაც პირველივე ცდაზე აჩვენებს საძიებო სისტემა. მასწავლებლების პასუხებზე დაყრდნობით შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ მათში ცნობადობა შედარებით მაღალია, მაგრამ ესაჭიროებათ მეტი მხარდაჭერა მეთოდოლოგიური კუთხით – როგორ იმუშავონ მოსწავლეებთან ციფრული მოქალაქეობის კომპეტენციის განვითარებისთვის. კითხვარის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა ორი კლასი, სადაც ცნობადობა ციფრული მოქალაქეობის შესახებ ყველაზე დაბალი იყო. განსაკუთრებით გამოიკვეთა პრობლემა სამი მიმართულებით: მედია და ინფორმაციული წიგნიერება, ეთიკა და ემპათია, პერსონალური მონაცემების დაცვა და უსაფრთხოება. ინტერვენციებიც სწორედ სწორედ ამ მიმართულებით დაიგეგმა და განხორციელდა კვლევისთვის შერჩეულ ორ კლასში. კერძოდ, მერვე და მეთათე კლასებში.

კვლევისთვის შერჩეული კლასების მოსწავლეებთან ასევე ჩატარდა

თვისებრივი კვლევა, კერძოდ, ფოკუს ჯგუფი მშობლებთან, მასწავლებლებთან და სიღრმისეული ინტერვიუ მოსწავლეებთან, რომ დაზუსტებულიყო რაოდენობრივი კვლევის შედეგად გამოკვეთილი ზოგიერთი საკითხი და პასუხი გასცემოდა მეორე საკვლევ კითხვას – რა არის მოსწავლეებში ციფრული ცნობიერების განმაპირობებელი ფაქტორები?

6.4 ინტერვენციების ეტაპი

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის შედეგების ანალიზზე დაყრდნობით, ციფრული მოქალაქეობის თითო მიმართულებიდან გამოვყავით რესპონდენტების მიერ დასახელებული თითო პრობლემური ასპექტი და განვახორციელეთ შესაბამისი ინტერვენციები.

ეს მიმართულებები და ასპექტებია:

- ჩართულობა ონლაინ სივრცეში – მედია— და ინფორმაციული წიგნიერება;
- კეთილდღეობა ონლაინსივრცეში – ეთიკა და ემპათია;
- უფლებები ონლაინსივრცეში – პერსონალურ მონაცემთა დაცვა და უსაფრთხოება.

ინტერვენციები დაიწყო სამ ეტაპად:

პირველი ეტაპი

ზოგადად ციფრული მოქალაქეობის შესახებ ცნობადობის ამაღლების მიზნით სამიზნე აუდიტორიასთან (მოსწავლეები, მასწავლებლები, მშობლები) განხორციელდა შეხვედრები, დისკუსიები, შესაბამისი ვიდეორგოლების, ფილმებისა და სიტუაციური სავარჯიშოების განხილვა, ექსპერტებთან შეხვედრები.

მასწავლებლებთან და მშობლებთან ჩატარებული შეხვედრების მიზანს ასევე წარმოადგენდა საკუთარი როლის გააზრება მოსწავლეების ციფრულ მოქალაქეებად ჩამოყალიბებაში.

მეორე ეტაპი

ამ ეტაპზე კვლევითმა ჯგუფმა დაიწყო ფოკუსირებულად მუშაობა იმ სამ ასპექტზე, რაც გამოიკვეთა დიაგნოსტიკური კვლევის დროს ყველაზე პრობლემურად.

გთავაზობთ თითო ასპექტზე განხორციელებულ თითო აქტივობას და რეკომენდაციებს იმის შესახებ, რაზე უნდა გამახვილდეს ყურადღება მოსწავლეებში ამ კომპეტენციების განვითარებისას.

მედიაწიგნიერება და ინფორმაციური წიგნიერება:

აქტივობის ნიმუში:

მოსწავლეებს დაავალეთ გაკვეთილზე მოიტანონ თავიანთი ნამუშევრები: იქნება ეს ხელნაკეთი, მოქსოვილი, შეკერილი, გამოძერწილი ნივთები, თუ სცენარები, მოთხრობები, ლექსები, ესეები და სხვ. მათ მიერ შესრულებული ნამუშევრების წარდგენა კლასის წინაშე დაავალეთ სხვა თანაკლასელს. შემდეგ ასაუბრეთ ნამუშევრების ავტორები თავიანთი გრძნობების შესახებ.

აღნიშნული აქტივობა დააფიქრებს მოსწავლეებს, რატომ არის მნიშვნელოვანი საავტორო უფლებებისა და სხვისი ნამუშევრის/ნაშრომის დაცვა.

რეკომენდაციები:

- ასწავლეთ მოსწავლეებს, როგორ მოიძიონ ინფორმაცია თუ რესურსები სანდო წყაროებიდან, მათ ასაკსა და შესაძლებლობებზე მორგებული მედიაპლატფორმებიდან;
- აუხსენით მოსწავლეებს ინფორმაციის გავრცელების მექანიზმები და გადამოწმების ხერხები; შეეცადეთ დაანახოთ მათ, თუ როგორ მუშაობს სხვადასხვა მედია გარკვეული საზოგადოებრივი ამრის ჩამოყალიბებაზე;
- ასწავლეთ მოსწავლეებს კრიტიკულად გაიაზრონ წაკითხული, მოსმენილი თუ ნანახი ინფორმაცია;
- ხაზი გაუსვით საავტორო უფლებების მნიშვნელობას, აგრეთვე ნამუშევრის პირველწყაროს მოხსენიებისა და დაცვის აუცილებლობას.

ეთიკა და ემპათია

აქტივობის ნიმუში:

მოსწავლეებს სთხოვეთ გაიხსენონ სკოლაში, თემში, უბანში, სოფელში ან ქალაქში მომხდარი ბოლოდროინდელი უსიამოვნო ინციდენტი, ან ონლაინსივრცეში მოქმედებინათ ნეგატიური დასასრულის მქონე ისტორია. შემდეგ იმსჯელეთ მასზე კლასთან ერთად: დააფიქრეთ მოსწავლეები იმაზე, თუ როგორ შეიძლებოდა კონფლიქტის ან ტრაგედიის თავიდან აცილება. სთხოვეთ მოსწავლეებს საკუთარი თავი დააყენონ მსხვერპლის ან მისი ახლობლების ადგილას და მიეცით საშუალება, იმსჯელონ ამ პოზიციიდან.

რეკომენდაციები:

- ასწავლეთ მოსწავლეებს სხვისი გრძნობების, ღირებულებებისა და დამოკიდებულებების პატივისცემა;
- დააფიქრეთ მოსწავლეები იმაზე, თუ როგორ შეიძლება აისახოს ადამიანის ფსიქიკაზე ქილიკი, კიბერბულინგი, გარიყვა და სხვა ტიპის ემოციური შევიწროება.

პერსონალურ მონაცემთა დაცვა და უსაფრთხოება

აქტივობის ნიმუში:

კლასთან ერთად განიხილეთ კარგი პაროლის კრიტერიუმები: ასწავლეთ მოსწავლეებს, რომ პაროლი შესაძლებელია შედგებოდეს სხვადასხვა სიმბოლოს, ციფრისა და ასოს (აგრეთვე მთავრული და არამთავრული ასოების) კომბინაციისაგან ან შეიცავდეს ფრაზას. განუმარტეთ, რომ პაროლი, უმჯობესია, არ ეფუძნებოდეს ოჯახის წევრების ან შინაური ცხოველების სახელებს, არ მოიცავდეს დაბადების თარიღებს და სხვა მსგავს ინფორმაციას.

რეკომენდაცია:

- განუმარტეთ მოსწავლეებს, რას ნიშნავს პერსონალური მონაცემები და რა ელემენტებისგან შედგება ეს ცნება;
- განუმარტეთ კიბერჰიგიენის წესები და მათი დაცვის აუცილებლობა;
- ასწავლეთ მოსწავლეებს, რომ პერსონალური მონაცემების გასაჯაროება ინტერნეტში ან პაროლებისადმი დაუდევარი დამოკიდებულება, შეიძლება გახდეს კიბერბულინგის, თაღლითობის ან სხვა სახის პრობლემის მიზეზი.

მესამე ეტაპი

მოსწავლეებმა დამოუკიდებლად დაგეგმეს, განახორციელეს და სასკოლო საზოგადოებისა და თემის წარმომადგენლების წინაშე წარადგინეს პროექტები, რომელთა მიზანი იყო სასკოლო საზოგადოების და თემის ცნობადობის ამაღლება ციფრული მოქალაქეობის შესახებ.

კერძოდ, მოსწავლეებმა:

- შექმნეს პოსტერები და წარადგინეს პრეზენტაციები მედიაწიგნიერების შესახებ, რომლის მიზანი იყო ამ მიმართულებით ცოდნის გავრცელება სასკოლო საზოგადოებაში;
- შექმნეს ანიმაციები კობერბულინგის თემაზე და მოაწყვეს დისკუსია თანატოლებთან, რომლის მიზანი იყო კობერბულინგის მაგალითების, მისი სავალალო შედეგების ჩვენება და თანატოლებთან ერთად პრობლემების დაძლევის, მათი გადაჭრის გზების ძიება;
- გადაიღეს ვიდეო პერსონალური მონაცემების დაცვაზე და ჩაატარეს ტრენინგი თანატოლებთან ამ თემაზე.

6.5 ინტერვენციების შედეგების შეფასება

ინტერვენციების შედეგები შეფასდა:

1. მოსწავლეებთან დიაგნოსტიკის ფაზაზე გამოყენებული კითხვარით. განხორციელდა კითხვარების ადაპტირება – კითხვარში დარჩა მხოლოდ ის მიმართულებები, რაზეც განხორციელდა ჩარევა.
2. კვლევაში ჩართული მასწავლებლების რეფლექსიური დღიურებით, რომელსაც ისინი აწარმოებდნენ კვლევის პროცესში.
3. მოსწავლეთა მიერ განხორციელებული პროექტებით.

ინტერვენციების შედეგების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ მნიშვნელოვნად არის გაზრდილი სამიზნე ჯგუფებში ციფრული მოქალაქეობის შესახებ ცნობადობა, მასწავლებლები და მშობლები აცნობიერებენ მათ პასუხისმგებლობას, ხელი შეუწყონ ბავშვებს ჩამოყალიბდნენ ციფრულ მოქალაქეებად.

- მოსწავლეთა გაზრდილ კომპეტენციაზე მეტყველებს მათ მიერ განხორციელებული პროექტები.
- მასწავლებელთა კითხვარისა და რეფლექსიური დღიურების ანალიზმა ცხადყო, რომ მათ აქვთ მეტი ინფორმაცია ციფრული მოქალაქეობის შესახებ და შეუძლიათ მოსწავლეებამდე მიიტანონ ეს ცოდნა.

- მშობლებს აქვთ მეტი ინფორმაცია კიბერბულინგზე, პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე და, რაც მთავარია, ინტერესდებიან შვილების ონლაინ ცხოვრებით – იციან, როგორ ესაუბრონ შვილებს ონლაინეთიკზე, კიბერბულინგზე, პერსონალური მონაცემების დაცვის აუცილებლობაზე, როგორ დააკვირდნენ მათ სოციალურ ქსელში და ა.შ.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მართალია მკვლევართა ჯგუფის მიერ ჩატარებულ ინტერვენციებს ჰქონდა დადებითი ეფექტი, მაგრამ თუ არ გაგრძელდება ამ მიმართულებით მიზანმიმართული და თანმიმდევრული მუშაობა და არ გავრცელდება მთელ სასკოლო საზოგადოებაზე, ეს ეფექტი იქნება მოკლევადიანი და ვერ ვისაუბრებთ მის მდგრადობაზე.

7. კვლევის შედეგების გავრცელება საერთაშორისო დონეზე

კვლევითი პროექტის ერთ-ერთი მიზანი გახლდათ კვლევის მიგნებების გავრცელება როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე და ამ დარგის სპეციალისტებთან პროფესიულ დიალოგში ჩაბმა. სწორედ ამიტომ, კვლევის შედეგები წარდგენილი იყო საერთაშორისო დარგობრივ კონფერენციებზე და გამოქვეყნდა სამეცნიერო სტატიები მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში.

წინამდებარე თავში წარმოგიდგენთ ორივე სტატიას სრული სახით, რომლებიც ფაქტიურად აჯამებენ რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ მხარდაჭერილი ფუნდამენტური კვლევის – „ციფრული მოქალაქეობა საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში: გამოწვევები და დანერგვის გზები“ – შედეგებს.

7.1. DIGITAL CITIZENSHIP IN GEORGIA’S TEACHERS, STUDENTS AND PARENTS

INTRODUCTION

Significance and Theoretical Foundations

In the beginning of the 21st century the digital revolution marked a deep societal shift in how people think, what they think about, how they communicate, how they relate to the material environment and to each other, how they organize their working conditions, and how they build their societies at all (Jansen, 2002). Jansen’s words are still relevant nowadays, in a world marked by social acceleration driven by the economy and supported by technological development, which governments try to control through new laws and digital weapons, often without progress (Bonilla & Rosa, 2015).

If technology opens doors to the “participatory culture” (Jenkins, 2009), it should be noted that participation implies previous and lifelong empowerment through education, whether formal, informal or non-formal. Empowerment is key to benefit from the opportunities (e.g., communicate, play, be informed, learn and work) avoiding the risks (e.g., privacy, security, health, consumption, ...). This subject concerns every citizen, even those who are disconnected, since the boundary between online life and ‘real life’ blurred and “it is not appropriate to think only about ‘digital’ or ‘analogue’, or ‘online’ and ‘face-to-face’” (Netsafe, 2018).

The development of digital citizenship competencies is of particular importance from the early childhood education. Accordingly, the general educational institution should take care of its development from the very first level. Researches show that sufficient and inclusive access to relevant programs at school ensures the formation of a sustainable digital citizen (Ghosn-Chelala, 2019; Lauricella, 2022). The importance of the mentioned competencies has increased even more in the conditions of the global COVID-19 pandemic when the teenager generation was left face to face with large volume of unfiltered information in the internet space. Both the family and the school and the community as a whole were unprepared to help the younger generation cope with the challenges they were suddenly faced and consider the force majeure situation as an opportunity for digital development (Akcil & Bastas, 2021; Buchholz et al., 2020; Martin et al, 2022).

The Council of Europe's model on Digital Citizenship Education has at its basis the 'Competencies of Democratic Culture' model (Council of Europe, 2018), which considers that being an active and responsible citizen implies the development of a set of lifelong competencies both online and offline, and at various levels, from local to global. Also known as the "The butterfly of competences for democratic culture", it consists of several competence items organized into four areas, namely: Values: Valuing human dignity, rights, diversity, democracy, justice, fairness, equality and the rule of law; Attitudes: Openness and tolerance to cultural differences and to other beliefs, viewpoints and social practices; Skills: Autonomous learning, Analytical and critical thinking skills, skills of listening to others and observing your life practices, empathy, flexibility and adaptability, conflict-resolution skills, etc.; finally, knowledge and critical understanding of the self, language and communication used during life cycle, politics, law, human rights, cultural and religious diversity, history, media, economies and environment. According to the "The butterfly of competences for democratic culture", which integrates a set of descriptors per item and whose application has been tested in formal learning contexts, the competence items are teachable, learnable and this learning is measurable. Taking the 'Competencies of Democratic Culture' (Council of Europe, 2018) as a fundamental reference, the Council of Europe started the project Digital Citizenship Education in 2016, whose expert group had in mind to build the 10 digital citizenship domains: Being online includes access and inclusion, learning and creativity and media and information literacy. Well-Being online includes ethics and empathy, health and wellbeing issues, e-Presence and

online interactions and finally rights online refer to active participation, rights and responsibilities, privacy and security and consumer knowledge (Council of Europe, 2018).

The domains are also the appropriate way to develop democratic culture competences in the digital environment, which implies policy development, the involvement of multiple stakeholders, following contextualized and adapted strategies to the specific contexts, having in mind the available infrastructures and resources. Finally, all the actions taken must be monitored and assessed, to come up with results that are crucial to improve the model. The study given below is based on these 10 domains and its areas.

